# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

№ 223 (5564)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




# წყალმაღლმა კოკოითია, გამოღმა – სანაკოევი, შუა ჩაუდით მდინარე

3



## საპრეზიდენტო არჩევნები ცხინვალსა და ერედვში

3 8 10

**ბიუროს სხდომა**

2

### ბოკერიას დაქცეულ უნივერსიტეტს კონტროლის პალატა 2007 წელს შეამოწმებს

**პოზიცია**

4

### „ომი სისულელეა, მთავარი მანევრებია!“

**ვანდალიზმი**

7

### შინმოუსვლელთა ძეგლებსაც მიადგნენ?!

## „მძიმე“ ოქრუაშვილი, „მსუბუქი“ სვიმონიშვილი და სხვანი

**გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, მთავრობაში მორიგი საკადრო ცვლილებები უნდა განხორციელდესო. კერძოდ, ჯანდაცვის მინისტრის პოსტს ჭიპაშვილის ამჟამინდელი მოადგილე დავით მესხიშვილი დაიკავებსო; იუსტიციის მინისტრს პარლამენტარი ნაზი არონია შეცვლისო; ნიკა გვარამია – ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს გია ხევიაშვილსო; კონტროლის პალატის თავმჯდომარედ კი გარემოს დაცვის მინისტრი დავით ტყეშელაშვილი ან საქართველოს ელჩი გაეროში ირაკლი ალასანია დაინიშნებაო.**

ჩვეულებრივ, უმრავლესობა მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს უარყოფს, თუმცა მოარული ხმები ხშირად მართლდება ხოლმე. ასე იყო რამდენიმე დღის წინათაც, როცა სამთავრობო კარუსელი საღამო ხანს დატრიალდა.

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ მხოლოდ ის დაგვიდასტურა, რომ მართლაც მიმდინარეობს კონსულტაციები სამინისტროების ოპტიმიზაციაზე. კერძოდ, უახლოეს მომავალში ეკონომიკის და ენერგეტიკის, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები გაერთიანდება.

პარლამენტში უკვე შეტანილია პროექტი საბაჟო, საგადასახადო დეპარტამენტებისა და ფინანსური პოლიციის გაერთიანებაზე, ერთი დიდი სტრუქტურა – საგადასახადო შემოსავლების სამსახური შეიქნება. ითქვა, თითქოს კონტროლის პალატაც ამ სტრუქტურას შეუერთდებოდა, მაგრამ ბოკერიამ ეს კატეგორიულად უარყო, რადგან კონტროლის პალატის ფუნქცია განსხვავებულია, ის პარლამენტის მაკონტროლებელი ორგანოა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

მთავრობაში განხორციელებული ბოლო ცვლილებები უმრავლესობისთვის სრულიად მისაღებია. ოპოზიცია კი ქართულ ტრადიციულ კარუსელს სხვაგვარად ხსნის.

1 იანვრის მოახლოებასთან ერთად, მთელი საქართველო ელოდა, თუ როგორ გადაწყდებოდა საკითხი – 1 იანვარი, ოქრუაშვილი და ცხინვალი. მემარჯვენე მანანა ნაჭყებიას თქმით, პრეზიდენტის გადაწყვეტილება ოქრუაშვილის ეკონომიკის მინისტრად დანიშვნის თაობაზე ამ სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი იყო.

„ცნობილია, რომ დასავლეთი და აშშ კატეგორიულად მოითხოვდნენ ოქრუაშვილის პოსტიდან გადადგომას. პრეზიდენტმა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა: დასავლეთს დაუჯერა – თავდაცვის მინისტრი მოხსნა – და მეორეს მხრივ, ეს გააკეთა სწორედ იმ დროს, როდესაც ეს ნაბიჯი რუსეთისთვის „წითელი კოჭის გაგორებად“ აღიქმება. ჩვენმა პრეზიდენტმა რუსეთს მიანიშნა, რომ საქართველოსთვის, ამ ეტაპზე, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება, ვიდრე ოქრუაშვილის ამ პოსტზე ყოფნა“.

იხ. 2 გვ.

**თქვენ ეს იცოდით?**

## კონსტანტინე გამსახურდიას თურმე საპროფესოროდ ამზადებდნენ

15



- ამბობენ, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის ერთ-ერთი კონკურენტი ირაკლი ოქრუაშვილი იქნებაო. თუმცა მანამდე მას ეკონომიკის მინისტრობა მოუწევს
- უნივერსიტეტში შემაშფოთებელი ვითარებაა შექმნილი



№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

◉ სამთავრობო კარუსელი

# „მძიმე“ ოქრუაშვილი, „მსუბუქი“ სვიმონიშვილი და სხვანი

## მთავრობა თითქმის მთლიანად შეიცვლება?!

(პირველი გვერდიდან)

საგულისხმოა ისიც, რომ ბატონი ოქრუაშვილის რეიტინგი კარგა მაღალი იყო. ლაპარაკობდნენ იმაზეც, რომ, რადგან იგი პიროზას ვერ ასრულებდა, თანამდებობიდან გადადგებოდა. ნაჭყებიას აზრით, ეს კიდევ უფრო აუმაღლებდა მას რეიტინგს, რაც პრეზიდენტისთვის შემაშფოთებელი იქნებოდა. იმასაც ამბობენ, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის ერთ-ერთი კონკურენტი ირაკლი ოქრუაშვილი იქნებაო. თუმცა მანამდე მას ეკონომიკის მინისტრობა მოუწევს. იმ სამინისტროს ხელმძღვანელი გახდა, რომლის გასაუქმებლადაც ორიოდე წლის წინათ კახა ბენდუქიძე აქტიურობდა. სახელდობრ, ამბობდა, რომ ორ წელიწადში ყველა გასაყიდი ობიექტი გაიყიდება, კანონმდებლობა კი ისეთ საფუძველს შექნიდა, რომ ქვეყანაში გამართულ ეკონომიურ სისტემას მივიღებდით და ეს სამინისტრო საჭირო აღარ იქნებაო. ეს კარგად ახსოვს მანანა ნაჭყებიასაც და ქილიკობს: „ბენდუქიძის წინასწარმეტყველებიდან გამომდინარე, ოქრუაშვილს, დამსახურებების გამო, შეუძლია ეკონომიკის სამინისტროში მინისტრის პოსტზე დამსახურებულად დაისვენოს და თავისი ნამოღვაწარი გაიხსენოს. შეიძლება მემუარების წერასაც კი შეუდგეს.“



გიგა ბოკერიას თუ დავუჯერებთ, ოქრუაშვილის გადაყვანა ახალ თანამდებობაზე მისივე ინიციატივით მოხდა:

„საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური ვითარების გამო, ასეთი პოლიტიკურად მძიმეწონოსანი ადამიანის დანიშვნა ამ პოსტზე სავსებით ლოგიკურია. ჩოგოვაძის მუშაობით კმაყოფილნი ვართ, მაგრამ, ფაქტია, რომ ამ პოსტზე ის ოქრუაშვილს კონკურენციას ვერ გაუწევდა“.

პოლიტიკურად რა მოგახსენოთ, მაგრამ ფიზიკურად მძიმეწონოსანი სვიმონიშვილი გურიაში სწორედ ბუმბულივით მსუბუქად გაუშვეს. სვიმონიშვილი პრეზიდენტმა დანარჩენებს ხურდაში მიაყოლაო, ასე აფასებს ნაჭყებია მის გურიაში გაშვებას. უმრავლესობაში აღიარებენ, რომ სვიმონიშვილის მიმართ შენიშვნები ჰქონდათ, თუმცა, მისი მუშაობით მაინც კმაყოფილნი არიან. უბრალოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო განვითარების ახალ ეტაპს იწყებს და ახალი ძალის ჩანაცვლებაც ამიტომ გახდა საჭიროო.

ეს ახალი ძალა ნაცმოძრაობის პიონერი, „რთველის პოლკოვნიკი“ პეტრე ცისკარიშვილია. „ცისკარიშვილის ჩამოყვანაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ პრეზიდენტს ზაზა ბეგაშვილისთვის სჭირდებოდა ადგილი, რადგან ბეგაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ მისთვის მიუღებელი იყო. პრეზიდენტი ბეგაშვილის კახეთში გადაყვანით მისთვის უფრო ახლობლური გარემოს შექმნას შეეცადა“, – თქვა ნაჭყებიამ.

მისივე თქმით, კეზერაშვილმა ფინანსურ პოლიციაში საკმაოდ ძლიერი აპარატი შექმნა და ამ სტრუქტურის ხელში დიდი თანხების კონცენტრაციაც შეძლო. სწორედ ამიტომ, პრეზიდენტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა კეზერაშვილის დანიშვნა გაერთიანებული სტრუქტურის – საგადასახადო შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე:

– „ნებისმიერი დიქტატორი არ დაუშვებს ერთი სტრუქტურის იმ დონეზე გაძლიერებას, რომ მან მის ძალაუფლებას პრობლემები შეუქმნა. ამ მეთოდს წარმატებით იყენებდა სტალინიც. სააკაშვილმაც არ დაუშვა კეზერაშვილის და მისი სტრუქტურის ზომაზე მეტად გაძლიერება. ახლა კი, ფინანსური პოლიციის ეს მძლავრი აპარატი შეივსება ახალი ადამიანებით, რომლებსაც პრეზიდენტისთვის საშიშ სტრუქტურად ჩამოყალიბებისთვის დრო დასჭირდებათ“.

**ლელა ხვადაგიანი**

◉ პარლამენტის ბიუროს სხდომა

# „ბოკერიას დაქცეულ უნივერსიტეტს“ კონტროლის პალატა 2007 წელს შეამოწმებს

**პარლამენტის ბიურომ განიხილა 21,22,24 ნოემბრის პლენარული სხდომების დღის წესრიგი. სხდომაზე „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელმა მანანა ნაჭყებიამ, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიმართვის საფუძველზე, პარლამენის ბიუროს წინაშე დააყენა წინადადება, უნივერსიტეტში საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზანშეწონილობა კონტროლის პალატამ შეისწავლოს.**

მანანა ნაჭყებიამ მეორე საკითხიც წამოსწია: უნივერსიტეტში შემაშფოთებელი ვითარებაა შექმნილი. გაურკვეველია, რა ხდება დოქტორანტურისა და მაგისტრატურის სფეროში. ოპოზიციონერმა დეპუტატმა ბატონი ბოკერიას საეჭვოდ ჩატარებული კონკურსიც ახსენა, უნივერსიტეტის ერთ-ერთი „მესვეური“ ივანე ბოკერია პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მიხეილ მაჭავარიანს გიგა ბოკერია ეგონა, რამაც ბიუროს წევრებს ღიმილი მოჰგვარა.



მანანა ნაჭყებიამ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს უნივერსიტეტის ორივე მხარის მოწვევა მოსთხოვა, რათა ერთხელ და საბოლოოდ გაირკვეს, დაიქცა თუ აშენდა უნივერსიტეტი.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა მიუგო, რომ უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნის პირველივე დღეს, გია ხუბუამ წერილობით მიმართა კონტროლის პალატას, რათა უნივერსიტეტის ფინანსური ნაწილი შეემოწმებინათ. მაგრამ უარი მიუღია იმ მოტივით, რომ კონტროლის პალატას უნივერსიტეტის გეგმური შემოწმება 2007 წელს უწევსო.

ნოდარ გრიგალაშვილმა ეს საკითხი უნივერსიტეტის „ღია კარის მტერევად“ მიიჩნია. მისი აზრით, თუ შემოწმებაში კონტროლის პალატის არაგეგმური შესვლა იგულისხმება, რა სახარბიელოა, იქ ყოველ თვე რევიზორები ისხდნენო.

გადაწყდა, რომ უნივერსიტეტს კონტროლის პალატა 2007 წელს გეგმურად შეამოწმებს.

მიხეილ მაჭავარიანი ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ჩატარებული არჩევნების თაობაზე განცხადებით გამოვიდა. მისი თქმით, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ოსებმა საქართველოს ისტორია არ იციან და ყველაფერი კრემლში წინასწარ დაიგეგმა... „კრემლია კონფლიქტების მოგვარებაში შუამავალი, მაგრამ სეპარატისტთა მფარველად გვევლინება. რაც მთავარია, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს არჩევნები არ ცნო...“

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თქმით, ნინო ბურჯანაძე მონაწილეობას მიიღებს ღსთ-ს საპარლამენტო ასამბლეაში. იგი იქ ილაპარაკებს რუსეთის მიერ ხელოვნურად შექმნილი პრობლემების თაობაზე.

სხდომის დასრულების შემდეგ, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა ეს ამრჩევნები ორმხრივად შეაფასა. კოკოითის გუნდისა და რუსეთის არჩევნები ნაპრალის გაჩენას ემსახურებოდა, ჩვენი მეგობარი ოსების არჩევნები კი – მშვიდობას, მეგობრობასა და წესრიგის დამყარებასო. „ერთის მხარდამჭერი ხალხია, მეორესი კი – კრემლი. ეს შედეგი მივიღეთ“.

კოტე გაბაშვილის აზრით, ამ არჩევნებმა ადამიანების განწყობა წარმოაჩინა, მათ შორის იმათი, ვინც ჩუმად გამოაგზავნა ხმა, ეშინოდა, არ დასჯილიყო. „ამ ადამიანებმა მხარი დაუჭირეს სანაკოევს, რომლესაც უნდა სიკეთე ოსი ხალხისთვის, საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა, ავტონომიის კიდევ უფრო გაძლიერება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. კოკოითს კი არაფერი უნდა, მტრობის გარდა. იგი ოსური მოსახლეობის დიდ ნაწილს საზარბაზნე ხორცად იყენებს. კოკოითს არ აღელვებს მოსახლეობის პრობლემები და სულელური განცხადებებით გამოდის, ვითომდა, დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდეს“, – დაასკვნა მან.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეც იმედს ამყარებს ნინო ბურჯანაძის გამოსვლაზე ღსთ-ს საპარლამენტო ასამბლეაზე, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე მონაწილეებს საჭირო ინფორმაციას მიაწვდის.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ კომპეტენტური აზრი

# ამ გადასახედიდან შედეგები ძნელი სავარაუდოა

## ორპრეზიდენტობა

**12 ნოემბრის არჩევნები უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები ვარაუდობდნენ. ე.წ. სამხრეთ ოსეთს უკვე 2 პრეზიდნეტი ჰყავს და ორთავე – ხალხის არჩეული. რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას? დაგვაბრუნებინებს შიდა ქართლს თუ უფრო გაართულებს ამ პროცესს? ამ საკითხებზე კომენტარი ვთხოვეთ პოლიტოლოგ შალვა ფიჩხაძეს.**

– ჯერჯერობით, შედეგებზე საუბარი ნაადრევია. ფაქტია, რომ არჩევნები ჩატარდა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. რა თქმა უნდა, არჩევნები არაკანონიერი იყო საერთაშორისო ნორმებითაც და ქართული კანონმდებლობითაც, მაგრამ შედეგი ძალზე მნიშვნელოვანია კონფლიქტის მოსაგვარებლად. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან პრეზიდენტები, რამდენად მოიგებენ ხალხის გულს. ვინც უფრო მეტად იზრუნებს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სწორედ ის მოიპოვებს მეტ ნდობას. და, შესაბამისად, მეტი მომხრეც ეყოლება.



**– კოკოითის ხელისუფლება ამბობს, სანაკოევი ქართული სპეცსამსახურების მოსყიდულიაო...**

– მოსყიდვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, საქართველომხარს უჭერდა სანაკოევს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მისაღებ კანდიდატს. ბოლოს და ბოლოს, ის მომხრეა, რომ ქართველები და ოსები შერიგდნენ და ერთსახელმწიფოში, საქართველოში იცხოვრონ.



**– ამ ვითარებამ კიდევ უფრო რომ გაამწვავოს დაპირისპირება ისტორიული შიდა ქართლის მკვიდრთა შორის?**

– დაპირისპირება უკვე არის: სანაკოევს ჰყავს თავისი მომხრეები (ოსებს შორისძ, კოკოითს კი – თავისი. მათ შორის კონფრონტაცია მართლაც არ არის გამორიცხული. თუმცა, შეიძლება ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდეს. წინასწარ ამის განსაზღვრა ცოტა ძნელია.

სახარებაში წერია, ხე ნაყოფით იცნობაო. ეს მოვლენაც თავის ნაყოფს გამოიღებს, ისევე, როგორც 2004 წლის მოვლენებმა გამოიღო ნაყოფი.

**– მაინც როგორ შეაფასებდით მაშინდელ მოვლენებს?**

– ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გზაზე. უფრო მკაცრადაც ვიტყვი: ეს იყო დიდი სისულელე... გაიხსენეთ, რა ურთიერთობა გვქონდა 2004 წლამდე ოსებთან: ქართველები თავისუფლად ჩადიოდნენ ცხინვალში, ჰქონდათ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, ვაჭრობდნენ, ოსები ლამის თბილისიდან იძახებდნენ სასწრაფო დახმარების მანქანებს, ერთი სიტყვით – ყველაფერი შერიგებისკენ მიდიოდა. საჭირო იყო მხოლოდ სწორი, გათვლილი პოლიტიკა. 2004 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ კი ყველა აღდგენილი ხიდი ჩაინგრა, ქართველები და ოსები ხელმეორედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ვიმეორებ, ეს ჩვენი ხელისუფლების ძალიან დიდი შეცდომა იყო. განა, შეიძლებოდა ისეთი „ოაზისის“ გაუქმება, როგორიც ერგნეთის საგუშაგო იყო?

**– და მაინც, დადებით მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ მომხდარი, თუ პირიქით – უკანადახევად?**

– ვიმეორებ, წინასწარ ამის თქმა ძნელია. არჩევნების შედეგებს დრო და ისტორია წარმოაჩენს.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**P. S. 12 ნოემბრის არჩევნებზე ჯერჯერობით მართლაც ვერაფერს ვიტყვით. იმედი ვიქონიოთ, რომ რაც მოხდა, შიდა ქართლის დაბრუნების წინაპირობაა. მანამდე კი კოკოითი ისევ ცხინვალში „იმეფებს“, სანაკოევი კი ერედვში დაიდებს ბინას.**

**ხ. ჩ.**

- ურთიერთშემწყნარებლობის, ეროვნული იდეალებისადმი ერთგულების ნიშნით ჩაიარა იმ დღეს ქართულ-ოსურმა მიტინგმა ერედვში
- ხალხს ომი მობეზრდა და ხმას მშვიდობას აძლევს



◎ კონფლიქტის ზონა

# წყალგაღმა კოკოითია, გამოღმა – სანაკოევი, შუაში ჩაუდით მდინარე

## 12 ნოემბერს ცხინვალსა და ერედვში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა

**დრო კურნავს, მაგრამ დრო კიდევაც კლავს. ჩვენ იმ დროზე ვისაუბრებთ, რომელიც კურნავს.**

ამ ორიოდე კვირის წინათ რედაქციის დავალებით კონფლიქტის ზონაში, ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში ვიყავი. ერედვში რომ შევედით, სოფლის მოედანზე ხალხი ირეოდა; ხუთი თუ ექვსი ფორმიანი ავტომატმომარჯვებული ახალგაზრდა ერთმანეთის მოშორებით იდგა და ყურადღებით აკვირდებოდა, თუ რა ხდებოდა მოედანზე.

— ეგენი ოსები არიან, — მითხრა მძღოლმა. — არ გიკვირთ?

გამიკვირდა და მერე როგორ!

სულ თხუთმეტიოდე წლის წინათ ამ მხარეში ავტომატები კაკანებდა და ნაღმებს აფეთქებდნენ. ქართველები და ოსები (ვაი, სირცხვილო!) ერთმანეთს ესროდნენ, კლავდნენ და სასტიკი წამებითაც უსწრაფავდნენ სიცოცხლეს. ხეობაში მტრობა და სიძულვილი დათარეშობდა. ავტომატიანი ოსი ერედვში კი არა, მის შორეულ სანახებშიც ვერ გამოჩნდებოდა. ახლა კი ისინი სოფლის შუაგულში იდგნენ და არავის უკვირდა ეს. მეტიც: პატარებს, უფროსებთან ერთად, კულტურის სახლთან რომ შექუჩულიყვნენ, ხელში ყვავილების თაიგულები ეჭირათ და საქართველოს დროშებს აფრიალებდნენ. სოფლელებს „ზემოდან“ არანაირი დავალება არ ჰქონდათ მიღებული, გულის კარნახით მოსულიყვნენ აქ, რათა შერიგების ხელი გაეწოდებინა მისთვის, ვინც ასევე შერიგებისთვის იყო მოსული.



ურთიერთშემწყნარებლობის, ეროვნული იდეალებისადმი ერთგულების ნიშნით ჩაიარა იმ დღეს ქართულ-ოსურმა მიტინგმა ერედვში. მოსახლეობამ — მასწავლებლებმა, გლეხებმა, მოსწავლე ახალგაზრდებმა, დიდმა თუ პატარამ თავისი გულისნადები გამოხატა — კმარა ომი და შიში, უნდობლობა და ერთმანეთზე წასისინება, ვიცხოვროთ ერთ მიწაზე და ჩვენივე ხელით ვაშენოთ ჩვენი მომავალი. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის ალტერნატიული კანდიდატი **დიმიტრი სანაკოევი.**

რა ხდებოდა ამ დროს ცხინვალში?

კოკოითის რეჟიმს წყალი რომ აქვს შემდგარი, ყველა ხედავს. ცხინვალის და ჯავის რაიონის გაპარტახებულ სოფლებს, კოკოითის „სახელმწიფო“ ჰქვია, და რუსეთის მოქალაქეები და ოსი კრიმინალები მართავენ. თავიდანვე არ იყო ეს რეჟიმი სიცოცხლისუნარიანი. ამიტომ არავის გაჰკვირვებია, თავად ოსი ხალხის წიაღში რომ დაიბადა ის ჯანსაღი და დემოკრატიული ძალა, წინ რომ აღუდგა ცხინვალის მარიონეტულ ხელისუფლებას და 12 ნოემბრის არჩევნებს ალტერნატიული არჩევნები დაუპირისპირა.

„თანახმა ხართ თუ არა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ფედერალურ ურთიერთობებზე“?

ეს იყო მთავარი კითხვა, რომელზეც უნდა ეპასუხა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ჩატარებულ ალტერნატიულ არჩევნებზე მოსულ ელექტორატს. მასვე უნდა აერჩია სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული პრეზიდენტიც. კანდიდატი კი ხუთი იყო: თამარ ჩახაევა, გიორგი ჩიგოევი, თეიმურაზ პერანოვი, მაია ჩიგოევა-ცაგოშვილი და დიმიტრი სანაკოევი.

12 ნოემბერს კონფლიქტის ზონაში — ცხინვალსა და ერედვში ორი არჩევნები ჩატარდა, ორივე საპრეზიდენტო, მაგრამ ორივე არალეგიტიმური. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე კენჭი იყარა ედუარდ კოკოითმა, მარცხენა ნაპირზე — დიმიტრი სანაკოევმა. იმ დღეს კოკოითის ქალაქს ისეთი რკინის ფარდა ჩამოაფარეს, რომ ჩიტი ვერ შეფრინდებოდა შიგ. ჩვენც დიდხანს ვიდექით ცხინვალის შესასვლელში იმ იმედით, რომ შეგვიშვებდნენ. ფარდის იქითა მხარეს ბი-ბი-სის ჟურნალისტებიც დიდხანს იდგნენ იმ იმედით, რომ გამოუშვებდნენ — ალტერნატიული არჩევნების საარჩევნო უბნებზე უნდოდათ მისვლა. რუსულ-ოსური ომონი მკაცრად იცავდა ქალაქის შესასვლელ-გასასვლელებს და არაფერი გამოგვივიდა — უკან დავბრუნდით.

თუმცა დილა იყო, ერედვის, მამისაანთუბნის, ბერულის, ერგნეთის, ვანათისა თუ სხვა საარჩევნო უბნებზე ხალხი ირეოდა. ბერულის № 11 საარჩევნო უბანზე 84 წლის ვერა გასაევა თბილისელ ტელეჟურნალისტებთან საუბრობდა.

იხ. 8 გვ.

◎ ინფორმაცია

### რუსული იარაღის ჭღარუნი საქართველოს დასაშინებლად

**გუშინ, 13 ნოემბერს, ჩრდილოეთ კავკასიაში მასშტაბური ანტიტერორისტული სამხედრო სწავლება დასრულდა, რომელშიც 5 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, ათასი ერთეული საბრძოლო ტექნიკა და 20 თვითმფრინავი მონაწილეობდა. ამის შესახებ რუსეთის ქვეითი ჯარების პოლკოვნიკმა იგორ კონაშენკოვმა განაცხადა.**

**როგორც ექსპერტები მიუთითებენ, შეიარაღებული ძალების ამგვარი აქტივობა ჩრდილოეთ კავკასიაში, მით უფრო საქართველოს საზღვართან და ისიც ნოემბერში (!) საკმაოდ უჩვეულოა, რადგან რუსეთის არმიის სასწავლო წელი უკვე დასრულებულია.**

**რეგლამენტის თანახმად, ამ დროისთვის ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის ზამთრის სეზონის ექსპლუატაციისთვის მომზადება უნდა მიმდინარეობდეს. ეს ტრადიციაც დარღვეულია, რასაც აღნიშნულ ოლქში 1994 და 1999 წლებში ჰქონდა ადგილი. მაშინ ჯარები ჩეჩნეთში ბრძოლისთვის ემზადებოდნენ.**

**ექსპერტები წერთნებს საქართველოში არსებულ ვითარებასა და ე.წ სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ რეფერენდუმსაც უკავშირებენ.**

### ოღონდაც, წადით...

**რუსეთის არმიის თბილისის გარნიზონის ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც საქართველოს წლის ბოლომდე დატოვებენ, საცხოვრებლით უზრუნველყოფილნი იქნებიან. ამის შესახებ რუსეთის არმიის განსახლებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელმა ანატოლი გრებენიუკმა განაცხადა.**

**მისი ინფორმაციით, თბილისის გარნიზონში 329 სამხედრო პირი მსახურობს.**

**მათთვის საცხოვრებელი სახლები ვორონეჟში, კურსკში, ტამბოვში, კალუგაში და სხვა ქალაქებში გამოძებნეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ ალტერნატიული არჩევნები

# გუშინწინ, ცხინვალთან ახლოს...

*კვირას, სასტუმრო „აფხაზეთის“ წინ მდგარი რამდენიმე „იკარუსის“ ტიპის ავტობუსი ცხინვალიდან დევნილებით უმალ შეივსო და გეზი კონფლიქტის ზონის მიმართულებით აიღო.*

*სოფელ მეღვრეკისთან მდგომი რუსი „მშვიდობისმყოფელები“ შეუფერხებლად ატარებენ ამომრჩევლების კოლონას.*

*სოფელი ერგნეთი. აქედან სულ ორ კილომეტრშია მშობლიური სახლი, მშობლიური ქალაქი... ცხინვალის საარჩევნო ოლქის №26 უბანი. ეზო სავსეა ცხინვალის რეგიონიდან დევნილებით. აქ პრეზიდენტობის კანდიდატის ხმის მისაცემად ჩამოსულან ყოფილი ზნაურის რაიონიდან იძულებით გადაადგილებული ქართველები და ოსები.*

*თავიანთ აზრს ისინი გულახდილად უზიარებენ ერთმანეთს:*

**რობერტ მამისაშვილი:** — დღევანდელ მოვლენას ისტორიულს ვუწოდებ საქართველოს ცხოვრებაში, ვინაიდან დღეს უკვე მოხდა ოსი ხალხის თვითგამორკვევა, რადიკალურად შეიცვალა აზრი ოსმა მოსახლეობამ. დიდი ნაწილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათ ერს მხოლოდ და მხოლოდ ქართველებთან თანაცხოვრება გადაარჩენს. მათ შორის არიან ოსთა ინტელიგენციის დიდი ნაწილი, გამოცდილი პოლიტიკოსები... სეპარატისტები კი ერთ მშვენიერ დღეს დარჩებიან უმცირესობაში და წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევენ იმ საღ აზრს, რომელიც დაუპირისპირდა ანტიქართულ და ანტიოსურ მოძრაობას.

**ეთერ ალბოროვა, ცხინვალიდან დევნილი:** — 16 წლის შემდეგ ახლა პირველად ალაპარაკდა ხელისუფლება სამაჩაბლოზე. ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება, მაგრამ უფრო ადრე იგივეს გაკეთება განა შევარდნაძეს არ შეეძლო, — ლუდვიგ ჩიბიროვის დროს, როცა ისინი თითქმის მეგობრულად ხვდებოდნენ ერთმანეთს... გამოჩნდა, რომ საღად ოსების დიდი ნაწილი აზროვნებს. დიმიტრი სანაკოევს ჩვენ ძალიან ვენდობით. უკვე დროა, რომ ოსები და ქართველები შევრიგდეთ.

**ვალია გობოზოვა, ზნაურიდან დევნილი:** — ძალიან მიხარია, რაც ახლა ხდება. შერიგების გზა იხსნება. ღმერთმა ქნას, ამის შემდეგ სიკეთით წარმართულიყოს ეს პროცესი.



**დალი დოიჯაშვილი, ცხინვალის თეატრის მსახიობი:** — იმედი გაგვიჩნდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება. მშვიდობას დაიბრუნებს საქართველო, ჩვენც მალე დავბრუნდებით ჩვენს სახლში.

დღის ორი საათია. ამომრჩეველთა აქტივობა პიკს აღწევს. ცხინვალის ოლქის №26 საუბნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **თამაზ გვიმრაძე** გვეუბნება:

— დილიდანვე ამომრჩეველთა რიგი დგას, ეს კი მოწმობს, რომ ხალხს ომი მობეზრდა და ხმას მშვიდობას აძლევს. ისინი დღეს აირჩევენ პრეზიდენტს, უპასუხებენ კითხვას, სურთ თუ არა, რომ დაიწყოს მოლაპარაკებები ე.წ. სამხრეთ ოსეთმა საქართველოსთან... ჩვენს უბანზე 2554 ამომრჩეველია. ამ მომენტისთვის უკვე დაახლოებით მათი ნახევარია გატარებული. გარეთ კი, ხედავთ, ისევ რიგია, მოდის და მოდის ხალხი. ყოფილი ოლქის მთელ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენი იურისდიქცია ვრცელდება, მოსახლეობა ყველგან აძლევს ხმას, რადგან ყველგან არის გახსნილი საარჩევნო უბნები... მათ გარდა, ისეთი ადამიანებიც გადმოდიან სეპარატისტების კონტროლირებადი ტერიტორიიდან, რომ არც ველოდით. ეს კი ადასტურებს იმას, რომ ამ დღეს ყოველი ამომრჩეველი დიდი ხანია, ელოდა.

როგორც შემდეგ ამომრჩევლები საუბრობდნენ, მათ ხმა მისცეს დიმიტრი სანაკოევის კანდიდატურას. თბილისის ტურბაზა „ვაკეში“, სასტუმროებში — „აფხაზეთსა“ თუ „კოლხეთში“ მცხოვრები დევნილები, იმ დიდი გაჭირვების მიუხედავად, რაც მათ ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში გადაიტანეს, უკვე მოუთმენლად ელოდებიან იმ დღეს, როცა ისინი მშობლიურ სახლ-კარში დაბრუნდებიან.

თუმცა, როგორც ამბობენ, ეს არჩევნები მხოლოდ დასაწყისია. მთავარი ბრძოლა, გონივრული ბრძოლა მშვიდობისათვის კი ახლა იწყება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია. დევნილები ამ მიზნისკენ გადადგმულ ყოველ სასიკეთო ნაბიჯს მიესალმებიან.

**ლია ჭიღლაძე**

**თბილისი-ერგნეთი-თბილისი**

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

# როგორ ვცხოვრობთ?

● ასე რომ, არც „ნატო“, არც „გაერო“ და არც ჯეობარელი ვლასი, არაფერ შუაში არ არიან. იმ პრობლემაში, რაც საქართველოს მოსახლეობას ექმნება, დამნაშავეა საკუთარ ხალხთან ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება

◎ პოზიცია

# „ომი სისულელეა - მთავარია მანევრები!“

## ანუ ვინ იბნევა და ზარალდება უფრო მეტად: მტერი თუ ჩვენი მოსახლეობა?

***ალბათ, მკითხველს ახსოვს ფრაგმენტი ფრანგული ფილმიდან „ფან-ფან-ტულპანი“, რომელშიც საფრანგეთის მეფე მტრის დასაბნევად მეტად „შესანიშნავ“ მანევრებს ჩაატარებს. ფრონტის მარცხენა ფლანგს მარჯვენაზე გადაიყვანს, მარჯვენას – მარცხენაზე, ხოლო ცენტრი კი ზურგს მიუშვერს მტერს. მტერი დაიბნევა.***

***წერილის სათაურში მოყვანილი ე.წ. ფრთიანი გამონათქვამი რუსულ ენაზე გაცილებით უფრო –„შიშხათიანად“ ჟღერს და ვერ შემოგთავაზეთ. ჩემგან განსხვავებით, ჩვენი ხელსიუფლება ყოველ დილით იმეორებს ამ ფრაზას, რომელიც, ალბათ, იმ სახელმწიფო მინისტრისგან ისწავლა, რომელიც წესით ქართული ეკონომიკის განვითარებაზე უნდა ფიქრობდეს, მას კი ბაზრობის გამყიდველის ფუნქციები შეუთავსებია და გამალებული ჰყიდის ყველაფერს, რაც კი ოდესმე ამ ქვეყანაში აშენებულა.***

ომი რომ სისულელეა, ეს ყველამ კარგად იცის, თუმცა, მტრისა რა მოგახსენოთ და, დაბნევით ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენი მოსახლეობა იბნევა.

ხელისუფლების მიერ ამ ბოლო თვეებში განხორციელებული მანევრებიდან ყველაზე ეფექტიანი რუსეთთან ურთიერთობის უკიდურესობამდე გამწვავება იყო. რუსეთი რომ ჩვენი ძმა და დიდად მოსიყვარულე მეზობელი არ არის, უკვე 200 წელზე მეტია ცნობილი (ეს პოლიტიკურ ასპექტში, თორემ ჩვენს „წითელ“ ინტელიგენციას დღესაც დიდი მეგობრობა და ძმობა აქვს მისთვის შეფიცული). ის ფაქტიც, რომ არავითარი „ორი რუსეთი“ არ არის, პირადად ჩემთვის ლენინგრადში სწავლის პერიოდში გახდა ცნობილი. იქ საკმაოდ საინტერესო შეხვედრები მქონდა სხვადასხვა კალიბრის დისიდენტებთან. მათთან საუბრებში ნათლად ჩანდა, რომ მათი დისიდენტობის მთავარი მიზანი კომუნისტური რეჟიმის დამხობა იყო და, როდესაც საუბარი რესპულიკების დამოუკიდებლობის აღიარებაზე მიდგებოდა, ისინი ზუსტად ისევე აზროვნებდნენ, როგორც ბაბურინი ან ჟირინოვსკი. გამომდინარე იქედან, რომ რუსების 90 პროცენტი იმპერიულად აზროვნებს (პუტინიდან დაწყებული, ჭორიკანა „ბაბუშკებით“ დამთავრებული), ცხადია, რომ მათი „აგდება“ არც თუ ძნელია. ჩვენ კი ვნახოთ, თუ რაში სჭირდება საქართველოს ხელისუფლებას რუსეთისგან მართლაც რომ არანორმალური მოქმედების გამოწვევა და რა შედეგი მოჰყვება ამ „მანევრებს“.

პირველი და ყველაზე მთავარი: **ნებისმიერი ქართველი, ვისთვისაც საქართველო „სამშობლოა“ და არა „სახელმწიფო“, დაუფიქრებლად გადადებს ყველა თავის პრობლემას და მხარს დაუჭერს ხელისუფლებას იმ დათვთან ჭიდაობაში, რომელიც მართლაც ამოუვიდა ყელში მთელს საქართველოს, მაგრამ (ისევ ეს ოხერი მაგრამძ ეჭიდავება კი ჩვენი ხელისუფლება იმ დათვს?**

იმ მიზეზებზე, რამაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გაამწვავა, არ შევჩერდები. ყურადღებას გავამახვილებ ყველაზე ცუდ ფაქტზე,



რომელიც ხელისუფლებამ წარმოგვიდგინა, როგორც რუსეთის მიერ საქართველოს დასასჯელად გადადგმული ნაბიჯი. ეს არის ბუნებრივი გაზის ფასის გაძვირება. გამოცხადდა ახალი ფასი – 230 დოლარი 100 კუბურ მეტრზე და ატყდა ერთი რიარია. **„გვსჯიან იმიტომ რომ ნატოში შევდივართო“, „აფხაზეთს და სამაჩაბლოს რომ არ ვუთმობთო“, „გაერომ ჩვენთვის სასარგებლო რეზოლუცია რომ მიიღოო“...** თურმე ეს სულ ტყუილია. როგორც „გაზპრომის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მედვედევმა განაცხადა, გაზის გაძვირების შესახებ ინფორმაცია ჩვენი ხელსიუფლებისთვის საკმაოდ დიდი ხნის წინათ ყოფილა ცნობილი. უფრო მეტიც, თურმე გარკვეული ხელშეკრულებები უკვე არსებობდა. **ასე რომ, არც „ნატო“, არც „გაერო“ და არც ჯეობარელი ვლასი, არაფერ შუაში არ არიან. იმ პრობლემაში, რაც საქართველოს მოსახლეობას ექმნება, დამნაშავეა საკუთარ ხალხთან ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება.** არ ვიცი, რას ფიქრობდა ბატონი ნოღაიდელი, როცა ჩვეულ სტილში, ილიმებოდა და თითქმის ბენდუქიძისეული ეპითეტებით ამკობდა ოპოზიციას, რაკი მან გაბედა და გაზის პრობლემაზე კითხვები დასვა. სამაგიეროდ ვხვდები, თუ რას ფიქრობს ბატონი კახა. ისიც ილიმება და ამ ოპერაციიდან მიღებულ საკუთარ მოგებას ითვლის.

ასე რომ, „მანევრმა“ დევიზით – „ძირს ბოროტი დათვი“ – თითქმის გაამართლა. რომ არა გაზპრომელი მედვედევი, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ აღმოჩნდებოდა ზემოთ ნახსენებ ფილმში ჩატარებული „მანევრის“ მსგავსი „მანევრის“ მსხვერპლი (პრინციპში, მსხვერპლი უკვე ვართძ.

ამ „მანევრმა“ კიდევ ერთი დიდი საქმე გაუკეთა ხელისუფლებას. გამოიწვია ხალხის მობილიზება ხელისუფლების გარშემო, რის გამოც ისედაც „გაფარჩაკებული“ ოპოზიცია ვეღარ „აჩმახებს“, რადგან ხელისუფლების საწინააღმდეგო ნებისმიერ გამოსვლას უმრავლესობის ცნობილი ოთხეული (ბოკერია, სამყურაშვილი, ნადირაძე, კალანდაძეძ მაშინვე მიაკერებს „რუსეთის მეწისქვილის“ იარლიყს. ჰოდა, ვინ გაბედავს და გამოგლეჯს ხელიდან გასაყიდად გამზადებულ ტექნიკური უნივერსიტეტის შენობას, საქართველოს ხელისუფლებაში დამკვიდრებულ რუსული კაპიტალის მშვენებას, ვინ გაბედავს და იკითხავს, რამდენი ლარია გამოყოფილი 2007 წლის ბიუჯეტში უმუშევართა დახმარებისთვის, ან ვინ გაბედავს და ამოიღებს ხმას იმ კანონპროექტის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 12 წლის ბავშვსაც შეიძლება დაეკისროს (სხვათა შორის, ადამიანის უფლებების დამცველთა ის ფართო სპექტრი, რომლითაც საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი ქართული არასამთავრობო სექტორი, საერთოდ ხმას არ იღებს ამ პრობლემაზე. არადა, სტალინს ხრუშჩოვმა ერთ-ერთ ბრალდებად 12 წლის ბავშვებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებაც წაუყენა. ნუთუ ნიკიტა სერგეევიჩი უფრო ტოლერანტული იყო, ვიდრე ჩვენი უფლებათადამცველები არიან?ძ.

არავინ იღებს ხმას. არავინ. იმიტომ, რომ ოპოზიცია ან „ფარჩაკია“, ან „ჯიბისაა“. ხელისუფლება „მანევრებს“ ატარებს, ჟურნალისტები ინტერნეტში ეძებენ მასალებს. ხალხი კი დარბის, დარბის, რათა იქნება შეშის „ფეჩი“ იშოვოს და გაზაფხულამდე არ გაიყინოს.

**გია გაბრიჭიძე**

◎ ინფორმაცია

## იელოვას მოწმეთა ახალი თაღლითობანი

**„თელასის“ ქვითრებში ე.წ. იელოვას მოწმეთა სააგიტაციო ბროშურებია განთავსებული**

**კომპანია „თელასის“ მიერ მოსახლეობისათვის დარიგებულ ელექტროენერგიის ქვითრებში ე.წ. იელოვას მოწმეთა მიმდევრების მიერ ხდება მათი სააგიტაციო ბროშურების განთავსება.**

**როგორც „თელასის“ პრესსამსახურიდან „ჯი-ეიჩ-ენს“აცნობეს, ბოლო ორი დღის განმავლობაში ასეთ ფაქტებს მასობრივი ხასიათი მიეცა საბურთალოს რაიონში, რაც ყოვლად აღმაშფოთებელია.**

**„თელასი“ იელოველთა ლიტერატურის გავრცელებასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ იელოველთა ლიტერატურის ელექტროენერგიის ქვითრებში განთავსება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპანიის თანამშრომლები ქვითრებს საცხოვრებელ სახლებში ტოვებენ (გადაკეცილ ელეექტროენერგიის ქვითრებში შემდეგ იელოველთა ლიტერატურის ჩადება ხდებაძ.**

**კომპანია აღნიშნულთან დაკავშირებით აცხადებს, რომ იელოველთა ლიტერატურის გავრცელებასთან არარნაირი კავშირი არ გააჩნია და იელოველთა ქმედებებით აღშფოთებულია.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ ვეტერანები

# წითელი ჯვარი ჩვენი მეგობარია

**დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭო აერთიანებს სხვადასხვა კატეგორიის 2464 სამამულო ომის ვეტერანს, მათთან გათანაბრებულ პირებს და მარჩენალდაკარგულებს, აგრეთვე საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლების მონაწილეებს და მათი ოჯახის წევრებს.**

ომის ვეტერანთა ეს კატეგორია უზრუნველყოფილია სათანადო პენსიებითა და გარკვეული შეღავათებით, მაგრამ არის კიდევ ომის ვეტერანების ისეთი კატეგორია, რომლებიც უკიდურესად ხანდაზმულნი არიან, მრავალი მათგანი მიჯაჭვულია ლოგინს, ზოგიერთი კი მარტოხელაა.

ვეტერანთა ეს კატეგორია ყურადღებას, სითბოს და ტკბილ სიტყვას საჭიროებს.

მწოლიარენი, მარტოხელები და ხანდაზმულნი რაიონის ომის ვეტერანთა საბჭოს განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი, მათ მუდმივად მეთვალყურეობენ ვეტერანთა პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეები, სხვებიც ამხნევებენ, ეფერებიან, იმედს აძლევენ, მაგრამ ხშირად ეს საკმარისი არ არის.

სამწუხაროდ ვეტერანთა რაიონული საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ვეტერანთა ამ კატეგორიას.

ასეთ ვითარებაში მათ მხსნელად და დამხმარედ მოევლინათ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის **წითელი ჯვრის ორგანიზაციის პროგრამა, რომელსაც ბელა ზურაბაშვილი ხელმძღვანელობს,** ქალბატონმა ბელა ზურაბაშვილმა შემოიკრიბა რაიონის გამგეობის მუშაკებისგან შემდგარი მოხალისეები და ომის ვეტერანთა საბჭოსთან ერთად დააზუსტა მწოლიარე და მარტოხელა ხანდაზმულ ვეტერანთა სიები და საცხოვრებელი ადგილების გადამოწმების შემდეგ ისინი შეიყვანა რაიონის წითელი ჯვრის დახმარების პროგრამაში. დღეისათვის ამ სიაში 33 კაცია. 2006 წელს ვეტერანთა ეს კატეგორია თვეში ერთხელ იღებს სასურსათო (ზეთი, ბრინჯი, შაქარიძ და პირველი მოხმარების ჰიგიენური საგნების (საპონი, სარეცხის საშუალებები და სხვაძ დახმარებას.

ხანდაზმული და მწოლიარე ვეტერანები თითქმის ყოველ დღე გვიკავშირდებიან ტელეფონით და მადლიერებას გამოსთქვამენ წითელი ჯვრის რაიონული ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ.

რა შეიძლება იყოს იმაზე კეთილშობილური საქმე, რომ დაეხმარო გაჭირვებულს, გვერდში დაუდგე და გაამხნევო მწოლიარე და ხანდაზმული ომის ვეტერანი?!

ბარაქალა შენ, ქალბატონო ბელა ზურაბაშვილო, ბარაქალა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის წითელი ჯვრის მოხალისეებო ნაზი გაგუა, ვარდო ჭუმბურიძე, დარეჯან შაკიაშვილი და ნონა ერაძე, ბარაქალა ყველას, ვინც საკუთარ დროს არ იშურებს მწოლიარე და ხანდაზმული ვეტერანების ბინაზე მონახულებისათვის, მადლობის მეტი რა გვეთქმის წითელი ჯვრის რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელი პროგრამის მისამართით, რომლის მხარდაჭერას რაიონის ომის ვეტერანები ყოველთვის გრძნობენ.

**ა. ვაშაკიძე**

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, პოლკოვნიკი**

◎ ინფორმაცია

## იმერეთში საეკლესიო გალობის ისტორია

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო არქივების დეპარტამენტის ქუთაისის ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა, ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერით, გამოსცა არქივში დაცული დოკუმენტების კრებული – „დოკუმენტები იმერეთში საეკლესიო გალობის ისტორიისათვის“.**

**როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს, კრებული მოიცავს 1821-1920 წლების მასალებს, რომელთა უმეტესობა პირველად გამოქვეყნდა. საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ საეკლესიო გალობის ზოგად საკითხებსა და საეკლესიო გალობის სწავლებაზე.**

**კრებული განკუთვნილია ქართული მუსიკისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის.**

**წელსვე ქუთაისის ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა გამოაქვეყნა გელათის სამონასტრო ცხოვრების ამსახველი, XIX-XX საუკუნის დოკუმენტები – „გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს“.**

**გამოკვლევას დართული აქვს გელათის მონასტრის ქონების 1841 და 1923 წლების აღწერათა სია, რომელიც პირველად გამოქვეყნდა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

● ხელისუფლებას ვთავაზობთ დააფუძნოს მონარქიული რესპუბლიკა, რომელიც არის სრულიად ახალი (არნახული!ძ დემოკრატიზმი.

● ამიტომ, ჭეშმარიტად ვერავინ დაგვძრახავს, თუკი გავბედავთ და თავს ვუწოდებთ სიცოცხლის სიხარულის მახარობელ ერს!!



მოსაზრება

*რუსულ-ქართულ ურთიერთობათა მორიგი (!ძ უგუნური გამწვავების ჟამს, რა თქმა უნდა, ყველას გვახსენდება, რომ რუსულ-ქართულ 237-წლიან ურთიერთობათა „ანი“ და „ბანი“ იწყება სწორედ ისტორიულად, სამართლებრივად და პოლიტიკურად ღრმა მონარქიული ურთიერთობებიდან. მით უმეტეს, როცა ახლახან ქ-ნმა სალომე ზურაბიშვილმა სატელევიზიო ინტერვიუში შემოგვთავაზა შესაძლებლობანი ქართული კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებისა. მაგრამ არა მხოლოდ მისი გამოსვლის „ექოდ“ გთავაზობთ ინტერვიუს კინორეჟისორ ლერი სიხარულიძესთან, ახალი ქართული მონარქისტული იდეოლოგიის პიონერთან.*

*მართალია, ბატონ ლერის ჩვენი რედაქციის კარზე „დაკაკუნება“ ტრადიციულად არ სჭირდება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი მორიგი თაოსნობის ბიძგი სწორედ რუსეთის პრეზიდენტის ქრესტომათიული გამოსვლა იყო რუსეთის ტელევიზიით, რომლითაც მან გვაუწყა საქართველოს ვალდებულებანი მის მიერ დაპყრობილ ოსებთან, აფხაზებთან და, რა თქმა უნდა, საქართველოსავე ნებაყოფლობით ჩახუტებაზე რუსეთთან. აქვე ვიტყვით, რომ ბატონი ლერი არის, საკმაოდ ცნობილი კინორეჟისორი (35-მდე ყველა ჟანრის ფილმისაძ, ყოფილი გეოლოგი, ყოფილი პროფესიონალი მოცეკვავე (მსოფლიო კონკურსის ლაურეატიც – კიძ, მხატვარ-კარიკატურისტი (ნახატი იუმორის წიგნის ავტორიძ, თემატურად მრავალჟანრიანი პუბლიცისტი და, რაც ჩვენთვის დღეს მთავარია, ახალი ქართული მონარქისტული იდეოლოგიის (მისებურად, ნეომონარქიზმისძ აპოლოგეტი და დაუღალავი პროპაგანდისტი.*

# რას ვაქნევთ მონარქიას და „რაისად“ – „ნეომონარქიას“ დიდ რუსეთთან ურთიერთობაში?



**– 17 წლის წინათ, უფრო ზუსტად 1989 წელს, გაზეთ „ქართული ფილმის“ მკითხველთ სტატიაში „ღიად დახურვაზე“ თქვენ აუწყეთ, რომ ქართველთა სამომავლო სახელმწიფოებრიობის ყველაზე გონივრულ პოლიტიკურ სისტემად (ფორმადძ მიგაჩნიათ დამკვიდრება კონსტიტუციური (ანუ „შეზღუდული“ძ მონარქიის, რა თქმა უნდა, ბაგრატიონული დინსტიის ქვეშევრდომობაში...**

– ქართული მონარქიის თუნდაც ლეგიტიმურობის ოფიციალური აღიარება სრულიად ახალ ძალმოსილებას შესძენდა საქართველოსაც და მის მმართველ ხელისუფლებასაც საკუთარ თავთან, საკუთარ ერთან და, სხვათა შორის, რუსეთთან ურთიერთობაშიც.

**– მაშინ გამოდის, რომ ტახტის მემკვიდრის დასახელებაც გვაკლია...**

– აი, მაგ საკითხში კი მეჩეჩი და ხაფანგი არაერთი გველოდება, რამეთუ ჯერჯერობით რუსეთის ცარისტულ და საბჭოურ საიდუმლო და აშკარა სამსახურთა წყალობით, არც ბაგრატიონთა ერთიანი ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრეა ცნობილი და არც დინასტიური პრეტენდენტი. მით უმეტეს, რუსეთმა საქართველო შეიერთა მრავალსახა და მრავალტახტა „პოლიტიკურ თანამეგობრობად“ დადიანებისა, დადეშქელიანებისა, გურიელებისა, შერვაშიძეთა და ჯაყელთა მონარქულად სამართლებრივი ტრადიციებით.

**– თქვენს კონცეფციაში ხშირად გაისმის მოულოდნელი ცნება „ნეომონარქიზმი“!**

– მის გააზრებაში მე არ ვგულისხმობ არც აღდგენას აბსოლუტური მონარქიისა და არც დამკვიდრებას კონსტიტუციური ან შეზღუდული მონარქიის, რამეთუ ნეომონარქიზმის შინაარსი ჩემთვის სწორედ რომ ნიშნავს ახალ, უჩვეულო, სინთეზს მონარქიისა, ეკლესიისა და, რა თქმა უნდა, დემოკრატიისა.

ანუ ხელისუფლებას ვთავაზობ დააფუძნოს სადვთო მონარქიული რესპუბლიკა, რომელიც, ჩვენი აზრით, არის სრულიად ახალი (არნახული!ძ დემოკრატიზმი. საქმე ის არის, რომ ყოვლად უჩვეულო ბედ-იღბალის მქონე ქართველი ერი და ქვეყანა საქართველო ნამდვილად იმსახურებს ასევე „უჩვეულო პოლიტიკურ სტრუქტურას“, რამეთუ მის ფარგლებში მონარქიული ბირთვის დაფუძნება, ზემოთ მოხსენიებულ მცირე მონარქიათა ტრადიციების გამოყენებით (!!ძ, აგვაცილებდა ავადსახსენებელ ფედერალიზმს, ანუ არაქართული ავტონომიების დაფუძნების საფრთხეს ტრადიციული ქართული კუთხეების თანაბრად.

ასე რომ, არა მხოლოდ ჩემი აზრით, ახალი ქართული სახელმწიფო მსოფლიო საზოგადოებას უნდა წარუდგეს როგორც სამათასწლოვანი უწყვეტი (!ძ სახელმწიფოებრიობის ღირსეულად მემკვიდრე ერი. ხაზს ვუსვამ „უწყვეტობას“, რამეთუ დღესაც შემოგვრჩა „კომკავშირულად“ მოაზროვნე მოღვაწენი, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიიდან „აქევებენ“ მცირე მონარქიებს (როგორც უზურპატორებს და ექსპლოატატორებსძ, თუმცა, ჩემი აზრით, აფხაზეთის თუ სამცხე-ჯავახეთის ერთ დროს მუსლიმური ერთეულებიც კი, თავისი ისტორიული და ეთნიკური ძირების გამო, მაინც ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიულ ერთიანობაში უნდა იქნეს განხილული.

ამდენად, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული მონარქიის აღდგენა უნდა მოხდეს ბაგრატიონთა წინამძღოლობით და ტახტის მემკვიდრეობის ქართული მონარქიული ტრადიციების მკაცრი დაცვით:

აძ მემკვიდრეობითობის ვაჟური ხაზის უპირატესობით. (ის, რომ „ლეკვი ლომისა სწორია“, მიუთითებს, ლეკვში იგულისხმება მხოლოდ ბოკვერი ლომისა და არა ლეკვი მგლისა ან აფთრის!ძ.

ბძ ხოლო, რაც შეეხება ხვადს და ძუს, მათ უფლებებს მიჯნავს რუსთველის მომდევნო სტროფი, რომელიც ბოდიშის მოხდის მაგვარი რევერანსით ამკვიდრებს იდეას დინასტიაში ქალური შტოს მეორადობის მიმართ: „სხვა ძე არ ესვა მეფესა მართ ოდენ მარტო ასული...“ მით უმეტეს, ქართულ დინასტიურ ისტორიაში ტახტზე ქალის ასვლის უიშვიათესი შემთხვევები მიუთითებს წესებიდან მათ გამონაკლისობას (და არა სამართლებრივ კანონზომიერებას ან აუცილებლობასძ.

გძ მართალია, ევროპულ დინასტიურ ტრადიციებში გვხვდება მაგალითები არათანასწორუფლებიანი (მორგანატულიძ ქორწინებებისა, მაგრამ ასეთი ქორწინებების მომხრენი აშკარად ივიწყებენ პაწია ნიუანსს, რომ ასეთ შემთხვევაში სასიძოს არა ჭირს რა აღსადგენი, რამეთუ იგი უკვე ლეგიტიმური მეფე ან ლეგიტიმური ტახტის მემკვიდრე პრინცია და თავისუფალი არჩევანის უფლებაც თითქმის განუსაზღვრელი აქვს, შედარებით დღავანდელ ბუნდოვანი ძალმოსილების მემკვიდრე ბაგრატიონ პრეტენდენტებთან (და არა მტკიცედ განსაზღვრულ ლეგიტიმურ მემკვიდრესთანძ.

არათანასწორუფლებიანი სამეფო ქორწინების დასაშვებად ბელგიის კონსტიტუციაში შეიტანეს შესაბამისი შესწორება, თუმცა მეფე ბოლდუინს თითქოს სრულად გააჩნდა ერთპიროვნული ძალმოსილება ყოველგვარი მეფური სურვილის აღსრულებისა.

სამწუხაროდ, ასეთი ნების აღსრულებისთვის ჩვენ, ჯერჯერობით, არც მეფე გვყავს, არც ლეგიტიმური პრეტენდენტი და არც საქართველოს კონსტიტუციაში ჩანს რაიმე შესაბამისი მუხლი. რაც შეეხება ქართველ ტახტის მემკვიდრეს, მისი ვინაობის დაზუსტებისათვის საჭიროა ეროვნული რეფერენდუმი და არა თავისუფალი ნება პრეტენდენტებისა.

დძ. ტახტის ქართველ პრეტენდენტებს და მათ თანამოაზრეთ იმის გასიგრძეგანებაც მართებთ, რომ დინასტიური ქორწინება საერთოდ და, მითუმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, არ წარმოადგენს სატრფიალო შეთანხმებას ორ დინასტიურ ოჯახს შორის, რამეთუ დინასტიური ქორწინება არის ერთი ან ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესების მქონე მოვლენა.

ასე რომ, კუდაბზიკა ევროპული არისტოკრატია, არა გვგონია მქუხარე აპლოდისმენტებით მიეგებოს დინასტიური ღირსებების და ნათესაობრივი თუ მემკვიდრეობითი ტრადიციების უგულებელყოფას ან დამცირებას თუნდაც შორეულ საქართველოში, მით უმეტეს, რომ 200 წლის მანძილზე ტახტდაკარგულ ბარგატიონებს დღეს აღარავითარი სახელმწიფოებრივად აღიარებული სამართლებრივი ან იურიდიული ლეგიტიმური (კონსტიტუციურიძ მოტივი საკუთარი გვარის მონარქულ ღირსებამდე ასამაღლებლად არა და არ გააჩნიათ, გარდა ამ დინასტიის დიდი ისტორიული პრესტიჟისა.

რაც შეეხება მცდელობას და სურვილს ქართული მონარქიის რამენაირი ფორმით რეანიმაციის თაობაზე, რა თქმა უნდა, დღეს საქართველოსთვის მონარქია არც რამდენიმე პიროვნების ანაქრონისტული ახირებაა და არც დილეტანტური სნობიზმი. ესაა რწმენა, რომ მონარქიზმი ქართველთა სახელმწიფოებრივი სულის, ანუ ერთიანი (!ძ ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და დამკვიდრებისათვის აუცილებელი და ორგანული კრიტერიუმია.

რაც შეეხება ზოგიერთი ქართველის ქედმაღლურ დემოკრატიულობას მონარქიის, როგორც ანაქრონიზმის მიმართ, ვიმეორებ, მე სნობიზმად და განათლების დეფიციტად მიმაჩნია ასეთი „უკუღმართი კუდაბზიკობა“, ცხვირის აბზუება ქართული მონარქიის პრესტიჟსა და შესაძლებლობებზე. ყოველი ერის და სახელმწიფოს ღირსების კრიტერიუმი არის არა კვადრატული კილომეტრები ან არმიათა და ჯარისკაცთა რაოდენობა, არამედ მოცემული სახელმწიფოს ისტორიული ღირსებები და მათი კულტურული და სახელმწფოებრივი თვითმყოფადობის გამძლეობა დროსა და სივრცეში.

ღირსებათა ეს კრიტერიუმი ვრცელდება თითოეული მოქალაქის ან ქვეშევრდომის პირად ღირსებებზეც, რომელთა საფუძველი, რა თქმა უნდა, თითოეული მოქალაქის ის ადამიანური განცდაა, რასაც, არა მარტო ჩემი აზრით, საფუძვლად უძევს ყოვლად ელემენტალური რამ: პატრიოტიზმი (!ძ, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არ საკუთარი ერისა და სახელმწიფოსადმი კერძო მესაკუთრის თუ მფლობელის განცდა.

დიახ, სწორედ რომ კერძო მესაკუთრული განცდა კოლექტივისა (ერისაძ კოლექტიური საკუთრების (ანუ ეროვნულ ფასეულობათაძ მიმართ.

ქართველი ერის ფანტასტური ტანჯვისა და გმირორბის დიად თავგადასავლის გვერდით არცთუ უნებლიედ შეიძლება მოგვაგონდეს მოძმე სომეხთა ჭირთათმენა სპიტაკის მიწისძვრის ჭეშმარიტად ტრაგიკულ დღეებში, როცა უცხოელი კორესპონდენტების თანაგრძნობის პასუხად, გაისმა თავმომწონე პასუხი: სომხები, სპეციალურად ვზრდით ჩვენს პიროვნებაში ჩვენი ისტორიული ჭირთათმენისა და ტანჯვის ამტანობასო!

დიახ, არცთუ უნებლიედ, რადგან არამცთუ უცხოელ კორესპონდენტებს, არამედ ჭეშმარიტად ქრესტომათიული სიტყვები, ქართველ ერს ებრაელი ერივით არ სჭირდება ბიბლიური გოდება ბაბილონის კედელთან მოდგმაზე თავს დატეხილ გვემათა გამოო...

ჩვენ, ქართველმა ერმა, სახელმწიფოს დაკარგვა და სხვა სისხლიანი უბედურებანი სიცილ-სიკისკისით გადავიტანეთ!

სიცილ-სიკისკისითო!

ამიტომ, ჭეშმარიტად ვერავინ დაგვძრახავს, თუკი გავბედავთ და თავს ვუწოდებთ სიცოცხლის სიხარულის მახარობელ ერს!!

– ჩვენ გვატყუებენ, თითქოს ევროპაში საცაა თავის თავს „მოიჭამსო“ მონარქია.

მაგრამ, გადავხედოთ ევროპას, გადავხედოთ რუსეთს, ასე გაჟლენთილებს მონარქიული ტრადიციებით, სადაც მონარქებს რევოლუციებით და დახვრეტა-გილიოტინებით მოუღეს ბოლო!.. და, ამის მიუხედავად, იქვე მივითვალოთ უამრავი მოქმედი (!!ძ ისტორიული ციხე-დარბაზი და სასახლე-კოშკი! გავიხსენოთ, ისიც, რომ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ომი ხალხსა და მონარქიას შორის!

ამდენად, საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის ინაუგურაციის ჟამს (და შემდგომაცძ, დარწმუნებული გახლდით, რომ მთელს მსოფლიოში გახმაურებული საპრეზიდენტო რიტუალი სიტყვისა დავითის საფლავთან, გახდებოდა წინამორბედი ქართული სახელმწიფოებრიობის ერთობისა, რამეთუ ზემოთ ნახსენები ერთობლიობა ყველა კულტურული ერის ცნობიერების არსია (თავის მოტყუებაა, თითქოს ევროპას მონარქია მხოლოდ სიმბოლური არსით შემორჩა, რამეთუ სიმბოლური წარმოსახვანი მტიკცე ზნეობრივი ინსტიქტებით და სასიცოცხლო ინტერესებით წარმართავენ არა მარტო კაცობრიობის ცხოვრებას; სიმბოლოები წარმართავენ ცხოველთ სამყაროს იერარქიისა თუ გამრავლების ინსტიქტებსაცძ.

ამდენად, დარწმუნებული ვიყავი, რომ მტერთა და დამპყრობთა ნებით და ხელით დაბეჩავებული ქართული მონარქია ეკლესიასთან ერთად სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოვების შემდეგ რეალურ ძალად ამოუგდებოდა მხარში ქართულ დემოკრატიას და პრეზიდენტს. მით უმეტეს, რომ თუკი ქართული ეკლესია განგებასთან აერთიანებს ქართულ სახელმწიფოს, 3000 წლის მონარქიული ტრადიციები დღემდე მუდმივად, ორ ზღვას შუა აღმართული ციტადელი ქართული მონარქიული სახელმწიფოებრივი სულიერთ, გვაერთიანებს ჩვენი წინაპარი ძვლებით და სისხლით, გვაერთიანებს – მიწასთან, სულთან ქართული მიწის.

სამწუხაროდ, პრეზიდენტს დაავიწყდა გელათიც და რუსთაველის გამზირიც... თავისი ვეება ენერგიის და „ქარიშხლის და შეტევის“ ჟინით გაჟღენთილს, მხედველობიდან გაურბის, რომ დღესაც ცოცხალი დიდი და მცირე ქართული მონარქიების ძალმოსილება ერთგული შემწეა ქართული დემოკრატიისა.

მაგრამ, საკუთარ პოლიტიკურ „ქველმოქმედებაში“ ნარცისულად შეყვარებულ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ მანქანას არა და არ ასვენებს მძვინვარე კომპლექსი მარად „უმადური“ და მარად მეამბოხე ნახევარი რუსული გუბერნიის ტოლა საქართველოს მიმართ...

ისევე, როგორც, არც რუსეთის მოწყალე „ქველმოქმედებისადმი“ მადლიერება აწუხებთ ქართველთ „საკუთარი არასრულფასოვნების“ მწკლარტე კომპლექსში!

ჭეშმარიტი პარიტეტის უმწვავესი დეფიციტი, – აი, რა აბორგებს დიდი რუსეთის შოვინისტურ სამხედრო მანქანას ერთი მუჭა და ერთი მტკაველა საქართველოს მიმართ.

ამდენად, თუკი ვინმეს აქვს რაიმე სათქმელი დიდ რუსეთთან, ესა აქვს ქართულ მონარქიას და განსაკუთრებით, ნეომონარქიას!

**გიორგი სვანიძე**

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

- სოფელ მსხალდიდში აზერბაიჯანული მოსახლეობაა, მაგრამ ეს მცირეკონტინგენტიანი სკოლა თვით მოსახლეობის მოთხოვნით ქართულენოვანია
- ის, ვინც 12 წელიწადი ერთ სკოლაში მუშაობდა, უთუოდ შეიცვლება



◎ ღვაწლი კაცისა

*ამას წინათ რედაქციაში სანდომიანი ხანდაზმული კაცი გვეწვია და მაგიდაზე მოკრძალებით დაგვიდო კარგად გაფორმებული წიგნი, რომლის გარეკანიდან ლეგენდარული შამილი შემოგვცქეროდა. წიგნის ავტორი ივანე ბუქურაული გახლავთ. აქვე მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ნაშრომმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზეც და ყველა იმაზეც, ვინც ეს ისტორიულ-დოკუმენტური ნაწარმოები წაიკითხა. ალბათ ბევრმა იცნა, რომ ავტორს აქამდე არ იცნობდა. წიგნში თავმოყრილი დოკუმენტური მასალა, რომელიც დაღესტნის სამი იმამის, მეტადრე კი შამილის ცხოვრებას შეეხება, დოკუმენტურ რომანადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი სავსეა ფრიად ამაღელვებელი, ემოციური წიაღსვლებით თუმცა, რეალობას სულაც რომ არ გაურბის.*



# თუშეთიდან — დიდ ქართულ გზაზე

ახლა იმ მოკრძალებულ და სანდომიან კაცს დავუბრუნდეთ, რომელმაც ეს წიგნი მოგვაწოდა. იგი მწერალ ივანე ბუქურაულის ახლო ნათესავი, საენათმეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი მეცნიერ-კავკასიოლოგი, პროფესორი კოტე ჭრელაშვილი გახლავთ. კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის ესოდენ მნიშვნელოვან დარგს — იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერულ შესწავლას მოანდომა. მეცნიერებას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა. იგი წერდა: **„ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ მარტო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართველურენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისათვის ე. წ. კავკასიური ენებისა და ერების ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა... ჩემი ღრმა რწმენით, რაკი გამოირკვა, რომ ეს კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა, ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავისი ერისა და ქვეყნისა, მაშასადამე იმდენი მოთმინება და გულმოდგინებაც უნდა აღმოაჩნდეს, რომ სიძნელეს არ შეუშინდეს და საკითხი საფუძვლიანად შეისწავლოს“.**

დიდი მეცნიერის ამ კვალში ჩადგა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და მის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებული კავკასიურ ენათა კათედრა. გიორგი ახვლედიანთან ერთად კოტე ჭრელაშვილი ამ სახელოვან მეცნიერთა ჭეშმარიტი მემკვიდრე აღმოჩნდა. მან ჯერ კიდევ სტუდენტობიდან მიიქცია ყურადღება და გულმოდგინედ შეუდგა კვლევით მუშაობას ნახოლოგიაში და პარალელურად კითხულობდა ლექციებს. ამ დარგში მან მრავალი სამეცნიერო სტატია და მნიშვნელოვანი მონოგრაფია გამოაქვეყნა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ბატონ კოტეს ნაშრომები მრავლისმეტყველია და გამოირჩევა საკითხების ღრმა და ზედმიწევნითი ანალიზით, ენის სისადავით. მათ შორის საგულისხმოა „ნახური ენების თანამედროვე სისტემა“, „წოვა-თუშური და ქართული ენის ლექსიკისა და მორფოლოგიის ზოგი საკითხი“.

ბოლო წლებში ბატონმა კოტემ ორი ფრიად ფასეული წიგნი გამოსცა. ეს გახლავთ „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია“ და „წოვა-თუშური ენა““.

„ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია“ განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, აგრეთვე ლინგვისტიკის პრობლემებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის. მასში მიმოხილულია ენის შესახებ მეცნიერების ისტორიის ძირითადი პრობლემები ანტიკური ეპოქიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. რაც მთავარია, იგი ქართულ ენაზე დაწერილი პირველი სახელმძღვანელოა, სრულიად ახალი, ორიგინალური კურსის.

**მეცნიერმა მრავალი წლის ნაშრომი და ნაფიქრი ერთგვარად შეაჯამა მონოგრაფიაში „წოვა-თუშური ენა“. იგი ამ ენის ზედმიწევნით, ყოველმხრივ ანალიზს მოიცავს და მეტად ფასეულია უდამწერლო ენათა სფეროში შექმნილ ნაშრომთა შორის. სპეციალისტთა აზრით, ეს წიგნი თეორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით ბევრ სიახლეს შეიცავს, დასმულია და გადაჭრილია მრავალი საკვანძო საკითხი.** ნაშრომმა სათანადო გამოხმაურება ჰპოვა უცხოელ მეცნიერთა შორის. მშობლიური ენის სიყვარულით (ბატონი კოტე თუშია წარმოშობით) გაჯერებულ ნაშრომს 2005 წელს საუნივერსიტეტო პრემია მიენიჭა. ამავე ნაშრომით მეცნიერი აირჩიეს რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ბატონი კოტეს ინტერესები უფრო ვრცელია. იგი ლიტერატურათმცოდნეობაშიც საინტერესოდ მუშაობს. მან რუდუნებით შეაგროვა და გამოსცა ხალხური ლექსების კრებული „თუშური პოეზია“. გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა და ლექსიკონი დაურთო უდროოდ დაღუპული (20 წლის ჭაბუკი კომუნისტებს დაუხვრიტავთძ ქართული პოეზიის ამომავალი ვარსკვლავის არჩილ კიტოშვილის ლექსებს: „სამანელი“ არჩილი ხომ მისი თანაკლასელი იყო ალვანში.

ახლა ისევ მის ბოლო გამოცემას ივანე ბუქურაულის შესანიშნავ ისტორიულ ნარკვევს დავუბრუნდეთ, რომელმაც დაწერიდან 84 წლის შემდეგ იხილა მზის სინათლე.



„შამილის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე, მაგრამ ეს ნარკვევი გამოირჩევა თავისი პათოსით, ფაქტობრივი მასალის სიუხვით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მისი პირველი გვერდიდანვე ჩანს ავტორის თანაგრძნობა და მხარდაჭერა შამილის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი“, —წერს წინასიტყვაობაში კოტე ჭრელაშვილი.

ბატონი კოტე ჩინებული მოსაუბრეა. იმდენი რამ იცის და ისე ნათლად და მომხიბლავად მიამბობს, რომ მასთან საუბარს, მართლაც არაფერი სჯობს.

— ბატონო კოტე, ვინ იყო ივანე ბუქურაული? — ვეკითხები.

— ივანე ბიძად მეკუთვნოდა. იგი დამსახურებული პედაგოგი იყო, სამწერლო ასპარეზზე 1894 წელს გამოვიდა. მისი თხზულებები სხვადასხვა ქართულ გაზეთებში იბეჭდებოდა. იგი თერგდალეულთა იდეებზე იყო აღზრდილი და მისი შემოქმედების ლაიტმოტივიც ეროვნული თავისუფლების სულისკვეთება იყო. ივანეს კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, ბაჩანა... 1922 წელს დაწერილი ნარკვევის „დაღესტნის სამი იმამის“ თავის დროზე დაბეჭდვა რომ ვერ მოახერხა ამის გამო წუხილს გამოთქვამდა ჩემთან. არ მავიწყდება მისი სევდიანი გამომეტყველება. ეს ამბავი მეც მაწუხებდა და ველოდი იმ დროს, როცა ამ სურვილს ავუსრულებდი, ეს ჩემი მორალური ვალიც იყო, — ამბობს ბატონი კოტე.

ვინ იცის კიდევ რამდენ ასეთ მარგალიტს გამოამზეურებს თავისი ხელდასმით ბატონი კოტე, უწინარესად, ივანე ბუქურაულისავე სამტომეულის გამოცემა გაწუზრახავს, რომელიც მოიცავს კავკასიის ხალხთა შესახებ ეთნოგრაფიულ მასალებს, იგი აწ გარდაცვლილ მეცნიერს ლევან ჭრელაშვილს შეუგროვებია, ცხადია, თუ საამისო სახსრები მოიძია და თანაც შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ნებაც იქნება.

**კოტე ჭრელაშვილის პიროვნებას, მის ღვაწლს რომ გავეცანი, გული დამწყდა, შეიძლება კი ასეთი ადამიანები, სპეციალისტები დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში აღარ იყვნენ?**

**რუსუდან მუხიგულაშვილი,**

**სურათზე: კოტე ჭრელაშვილი აკადემიკოს გიორგი ახვლედიანთან ერთად.**

◎ რეფორმა

# რესურსცენტრის პირველი ნაბიჯები

*სკოლა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რომ უნდა გახდეს კარგად ესმით მცხეთის რაიონში. აქ არსებობდა სასკოლო ოლქი, ამავე დროს — მცხეთის რაიონის განათლების განყოფილებაც. ახლა კი ორივე გაერთიანდა და მას მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ჰქვია. რესურსცენტრი ახალგარემონტებულ შენობაშია განთავსებული. აქვს კეთილმოწყობილი ოთახები, ბიბლიოთეკა, საქტო დარბაზი (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით გაკეთდაძ. სულ 5 თანამშრომელია: რესურსცენტრის უფროსი, იურისტი, საქმის მწარმოებელი და განათლების სპეციალისტი. ეს ყველაფერი გაკეთდა განათლების რეფორმის ფარგლებში დევიზით: „ჩვენ ვზრუნავთ სკოლებზე“. განათლების განყოფილებების ნაცვლად 2006 წელს ამოქმედებული რესურსცენტრების ფუნქციაა არა სკოლების მართვა და კონტროლი, არამედ დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა. საგანმანათლებლო რესურსცენტრი სკოლებს დაეხმარება ახალი სასწავლო გეგმების დანერგვაში, ადმინისტრაციულ და ფინანსურ მართვაში, სკოლებში არჩეული სამეურვეო საბჭოების მუშაობაში, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.*

***მცხეთის რესურსცენტრის პირველ ნაბიჯებზე გვესაუბრება მისი უფროსი მამუკა ზანგურაშვილი:***

— მცხეთის რესურსცენტრი ოთხივე მიმართულებით წარმართავს მუშაობას, რაც მას განათლებაში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად ევალება. რესურსცენტრის სამეუშაო გეგმიდან გამომდინარე ახალი პროგრამით ცალკეული საგნების მიხედვით სკოლა თვითონ ადგენს სამუშაო გეგმას და საკითხს მისი სკოლის შესაბამისად შემოქმედებითად მიუდგება (I-VII კლასები სარეფორმო კლასებიაძ.

რესურსცენტრმა ყველა სკოლა უკვე უზრუნველყო სამუშაო დოკუმენტებით. განათლების რეფორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე სკოლებს განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ. (ეს სკოლის დირექტორებმაც დამიმოწმეს, რომლებიც სააქტო დარბაზში იყვნენ შეკრებილი. როდესაც საკითხი სკოლების ოპტიმიზაციის შესახებ დაისმება, პირველ რიგში საკითხი სრულად უნდა იყოს შესწავლილი, რათა ეს პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართოს. მცირეკონტინგენტიანობის შემთხვევაშიც კი არ შეიძლება მისი დახურვა, სოფელს სკოლა უნდა შევუნარჩუნოთ, რადგან სკოლის გარეშე დარჩენილ სოფელს დაცლა ემუქრება. მაგალითად სოფელ მსხალდიდში აზერბაიჯანული მოსახლეობაა, მაგრამ ეს მცირეკონტინგენტიანი სკოლა თვით მოსახლეობის მოთხოვნით ქართულენოვანია.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გაკეთდა, ეს სკოლის ოპტიმიზაციაა. ზოგიერთი სოფლის სკოლა მცირეკონტინგენტიანია (სოფელ ბიწმინდის საბაზო სკოლაში 50 მოსწავლეა, ნავაზშიც იკლო მოსწავლეთა რაოდენობამ, მაგრამ არ იხურება, მას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებსძ.

რაც შეეხება ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას — სკოლების ფინანსურ მართვას, მას სკოლებში მომუშავე ბუღალტრები განაგებენ. მათი მუშაობა ვაუჩერულ სისტემაზეა აგებული.

რაიონში არის დებიტორული სკოლები, რომელთაც ნახევარზე მეტი თანხით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებს (დაპირებული ავტობუსები კი ჩვენი რაიონის სკოლებს ჯერ არ მიუღიათძ.

წლეულს, მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში, მცხეთის პირველი საჯარო საშუალო სკოლის სრული რეაბილიტაციისათვის 1252000 ლარი დაიხარჯა. ამ სკოლის 700 მოსწავლე და 70 მასწავლებელი ახალი სასწავლო წელს განახლებულ სასკოლო გარემოში შეხვდა, სკოლას 15 კომპიუტერიც გადაეცა. ასევე „იაკობ გოგებაშვილის“ პროგრამით გარემონტდა სოფელ წეროვანის პირველი საჯარო სკოლა; ნიჩბისის, გალავნის სკოლები გარემონტდა საერთაშორისო ორგანიზაცია „СФС“ სამშენებლო პროგრამით.

მასწავლებლებზე ხელფასის გაცემა ხდება ვაუჩერული სისტემით. ამ მხრივ მდგომარეობა სტაბილურია. პედაგოგები დროულად იღებენ კუთვნილ ხელფასს. რაიონის 31 სკოლაში 8340 მოსწავლე სწავლობს. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა 970 მასწავლებელი. გაიზარდა მათი სახელფასო ფონდი. თუ დაფინანსების გაზრდამდე რაიონის პედაგოგთა ერთი თვის სახელფასო ფონდი 51200 ლარს შეადგენდა, ამჟამად იგი 125 000 ლარია. 2007 წლის იანვრიდან სკოლებისათვის განკუთვნილი ვაუჩერები მოიმატებს, რაც გარკვეულწილად მცირეკონტიგენტიანი სკოლების პრობლემასაც მოაგვარებს. ასე, რომ პედაგოგების ხელფასი საარსებო მინიმუმის შესაბამისი იქნება.

ჩვენი რაიონის უმრავლესი სკოლების პედაგოგებმა უკვე გაიარეს წვრთნები, თუ როგორ ააწყონ მუშაობა თანამედროვე ახალი სწავლების პროცესში, როგორ დანერგონ ტექნოლოგიები, ასევე საგნობრივი წვრთნები მიმდინარეობს წეროვანის, მუხრანის, ციხისძირის, გალავნის, ზაჰესის, ძეგვის, წილკნის სკოლებში. ტერიტორიულად 3-4 სკოლა ერთიანდება და მწვრთნელები საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტიდან, მისი გენერალური დირექტორის თამარ მეიფარიანის ხელმძღვანელობით წარმართავენ მუშაობას.

გეგმები კი ასეთი გვაქვს:

— 15 ნოემბრიდან დაიწყება სკოლის დირექტორების მოვალეობის შემსრულებელთა ატესტაცია. ის, ვინც 12 წელიწადი ერთ სკოლაში მუშაობდა, უთუოდ შეიცვლება, შემდეგ კი ახლად არჩეული დირექტორების ტესტირება ეროვნული შეფასების ცენტრში 2007 წლის იანვარში ჩატარდება. რესურსცენტრი კი უკვე დამტკიცებულ დირექტორებს დაეხმარება ახალი ეროვნული გეგმის შესრულებაშიც. მათ უთოდ დასჭირდებათ ხელშეწყობა და კონსულტაციები ადმინისტრაციულ, ფინანსურ და სამეურვეო საბჭოების მუშაობაში.

**ნათელა ფაილოძე**
**მცხეთის რაიონი**

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი. 2006 წელი.

- ის დრო წავიდა!.. ქვეყანაში, სადაც უკვე მშობლიური მიწით დაწყებული, ყველაფერი იყიდება, წიგნის მაღაზია ვილას უნდა!...
- კაპოტს თავისი დანიშნულება აქვს. ნუ გამოვიყენებთ საწერ მაგიდად, თანაც შუა ქუჩაში!..



◎ მთელი ხმით

# კვექოსი არ იყოს, წიგნს მოუკვდა პატრონ-მყვარებელი!

წიგნის მაღაზია „საუნჯე“ მთელი საქართველოს წიგნიერი საზოგადოებისთვისაა ცნობილი, მეტადრე, თბილისელთათვის არის იგი ძვირფასი და ახლობელი.

ოპერის პირდაპირ, რუსთაველის გამზირზე მდებარე ამ მაღაზიას, თითქმის ასი წელიწადია, სულ სხვა ანდამატი და მიზიდულობის ძალა აქვს. აქ თავიანთ ნაწარმოებებს მკითხველებს აცნობდნენ ჩვენი მწერლობის ტიტანები, აქ იოსებ იმედაშვილს „საბლიტგამი“ ჰქონდა გახსნილი, აქ თითქმის ყოველდღე შეივლიდნენ ხოლმე გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი...

ის დრო წავიდა!.. ქვეყანაში, სადაც უკვე მშობლიური მიწით დაწყებული, ყველაფერი იყიდება, წიგნის მაღაზია ვილას უნდა!... და თუ ვინმე აქა-იქ კიდევ დარჩა წიგნის მოყვარული და მსურველი, ქუჩაში უფრო ადვილად შეიძენსო, ფიქრობს ჩვენი მთავრობა და თავის წიგნებიანად სწორედ ქუჩაში ჰყრის „საუნჯის“ ოცდაათამდე თანამშრომელს, ხოლო მაღაზიის ფართს იუსტიციის სამინისტროს შენობის (რომელიც უკვე გაყიდულიაძ პირველ სართულზე დღეს განთავსებულ ფირმა „სონისა“ და კაფე „რუსთაველს“ უთმობს!

—ჩვენ ოფიციალური შეტყობინება ჯერ არ მიგვიღია,—მეუბნება „საუნჯის“ დირექტორი **შოთა ბერიძე,** — ეს ყოველივე საინფორმაციო საშუალებებით შევიტყვეთ, მაგრამ უკვე ვიცით, რომ ორ-სამ თვეში აქაურობას უნდა გავეცალოთ. ხომ ნახეთ, მაღაზიის ფასადი უკვე აყრილია, ანუ სარემონტო სამუშაოები ნელ-ნელა იწყება. საერთოდ, ამ მაღაზიის აუქციონის წესით გაყიდვა უკვე რამდენიმე წელია უნდა ეკონომიკის სამინისტროს და აი, მიზეზიც გამოჩნდა — უცხოურ ფირმას ხომ არ აწყენინებენ!..

გვეუბნებიან, სახელმწიფო შენობაა და როგორც გვინდა ისე გამოვიყენებთო. სახელმწიფოსი და რომელიმე ჩინოვნიკის კი არა, ხალხის საკუთრებაა აქაურობა, ქართველი ინტელიგენციისაა, ათეულათასობით მკითხველისაა, რომელთაც, სამწუხაროდ, ყურს არავინ უგდებს! შეიძლება, რომ რუსთაველის ქვეყანაში, რუსთაველის გამზირზე, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არ გაიყიდოს?!. უცხოურმა ფირმებმა უნდა წალეკონ აქაურობა?! სულიერების ნატამალი აღარ უნდა შეგვრჩეს?!! როდესაც იუსტიციის მინისტრი იყო, ჩვენთან ხშირად შემოდიოდა ბატონი მიხეილ სააკაშვილი, გვესაუბრებოდა, წიგნებს ათვალიერებდა... ვერ დავიჯერებ, რომ პრეზიდენტი ამ მაღაზიის გასხვისებას დაეთანხმოს, ჩვენ მისი მხარდაჭერის იმედი გვაქვს!

* * *

სწავლა და წიგნის კითხვა არ უყვარდა რეზოია „კვეჟოს“, თორემ, სხვა მხრივ, რა უშავდა — დედ-მამას ეხმარებოდა, თოხს უზაყუნებდა, სამწყესურში დადიოდა...

ოღონდ წიგნს ნუ დაანახვებდით...

ერთხელ ნინა მასწავლებელს ასე შეეპასუხა: „წიგნს მოუკვდა პატრონ-მოყვარებელი!“

ეეეე... ჩემო „კვეჟო“, როგორ აახდინა ინტერნეტის საუკუნემ შენი კარგა ხნის წინანდელი „ფრთიანი“ ფრაზა, ჩვენს გაუბედურებულ, სულიერებადაკარგულ ქვეყანაში, დღეს წიგნს მართლა მოუკვდა პატრონიც და მყვარებელიც! გამოცემა გაძვირდა, გასაღება გაძნელდა...

ხელისუფლებას კი რა ენაღვლება, რახან უწიგნურების მართვა ადვილია, მგონი, უკვე, ქუჩაშიც კრძალავს წიგნის გაყიდვას!

ასე „შენდება“ ახალი საქართველო!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

*P.S. გუშინ მაღაზია „საუნჯეში“ მისმა დირექციამ გამართა სპეციალური პრესკონფერენცია, რომელზეც ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა დაგმეს „საუნჯის“ გაყიდვის მცდელობა, ხოლო დირექციამ, ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალური მიმართვა გაუგზავნა ქვეყნის პრეზიდენტს.*

◎ ინფორმაცია

## ხელოვნების მუზეუმი რელიგიურ კონფერენციას უმასპინძლებს

14-16 ნოემბერს თბილისში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, რელიგიური კონფერენცია — „ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები“ გაიმართება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ღონისძიება ალავერდის ეპარქიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით ტარდება.

პარალელურად, გაიმართება გამოფენა „X-XI საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნება“.

15-16 ნოემბერს თბილისიდან კონფერენცია კახეთში გადაინაცვლებს და თელავსა და ალავერდში გაგრძელდება.

## გერმანელი ექიმები გვეხმარებიან

თბილისის ვიცე-მერი, მამუკა ახვლედიანი დღეს თბილისთან დაძმობილებულ ქალაქ ზაარბრიუკენიდან ჩამოსულ ექიმებს შეხვდა.

ზაარბრიუკენის წამყვანი სამედიცინო დაწესებულებებიდან თბილისში ჩამოვიდნენ ტრავმატოლოგები, კარდიოლოგები და ფსიქოლოგები.

გერმანელი მედიკოსები თბილისში 17 ნოემბრამდე დარჩებიან, ისინი ლექციებს წაიკითხავენ საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტში. თბილისის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში გერმანელი სპეციალისტები ოპერაციას ჩაატარებენ. შეხვედრაზე განიხილეს თბილისის სამედიცინო დაწესებულებებისთვის სამედიცინო ტექნიკის გადმოცემის საკითხი.

## ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტი უქმდება!

მთავრობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის ლიკვიდაციას გეგმავს.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ აცნობეს, ინსტიტუტის დაფინანსება 2007 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული აღარაა.

სამინისტროში, ასევე, განმარტავენ, რომ ინსტიტუტის ფუნქციონირება საქართველოს ეკონომიკის განვითარების სისტემაში აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. ეკონომიკის სამინისტროსთვის საჭირო ეკონომიკის ანალიზთან დაკავშირებულ ფუნქციებს, ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი ახორციელებს.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ერიჯაა!

## კაპოტი — საწერ მაგიდად შუა ქუჩაში?!

ეს ამბავი, პატივცემულო რედაქცია, გუშინ, 13 ნოემბერს, მოხდა ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე. ჩვენს სამარშრუტო ავტობუსში ოცი ადამიანი მაინც ვისხდებოდით. ასე, დილის ათი საათი იქნებოდა. ყველას სამსახურში მიგვეჩქარებოდა. ავტობუსი საბურთალოდან ვაკეში მიდიოდა. არმისული სპორტულ აკადემიასთან, ჩვენი ავტობუსი პოლიციელებმა გააჩერეს (როგორც მერე შევიტყვეთ, ავტოინსპექტორთა გვარებია აბრამიშვილი და წოწონავა, ხოლო იმათი მანქანის ნომერია — WKW445ძ.

ჩანს, ავტობუსის მძღოლმა მოძრაობის წესი დაარღვია და, ბუნებრივია, უნდა გაეჩერებინათ. მაგრამ ჩვენ სხვა ამბის გამო გწერთ (ალბათ, თვითონ ავტოინსპექტორები არც არიან დამნაშავენიძ. ეს ამბავი კი ის არის, რომ ავტობუსის გაჩერებიდან თითქმის 40 წუთი ადგილიდან ველარ დავიძარით. ავტოინსპექტორებმა ამოიღეს დავთრები, თავიანთი მანქანის კაპოტზე გაშალეს და დაიწყეს აქტის წერა. ოცი კაცის თხოვნა, რომ გვაგვიანდებოდა, და იქნებ მძღოლი ცალკე დაებარებინათ, არ შეისმინეს. სანამ მძღოლს ჯარიმის აქტი არ ჩააბარეს, ფეხი არ მოგვაცლევინეს.

ჩვენ კი გვგონია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა სულ მარტივად შეიძლება. ძალიან კარგია, რომ წესრიგს ვამყარებთ. მაგრამ მოდით ყველაფერში დავამყაროთ წესრიგი. ნუთუ ასე ძნელია იმ უშველებელი აქტის ნაცვლად (რომლის შევსებასაც ესოდენ დიდი დრო სჭირდებაძ, ავტოინსპექტორებს ხელთ ჰქონდეთ დანომრილი ქვითრები — ხელდახელ გამოწერონ, ერთი თვითონ დაიტოვონ, მეორე მძღოლს გადასცენ, და მძღოლმა სწორედ იმ ქვითრის საშუალებით შეიტანოს ბანკში ჯარიმა!

კაპოტს თავისი დანიშნულება აქვს. ნუ გამოვიყენებთ საწერ მაგიდად, თანაც შუა ქუჩაში!..

**მგზავრთა სახელით**

**ბონდო ბიწაძე, გრივერ გიორგაძე.**

◎ ვანდალიზმი

## შინმოუსვლელთა ძეგლებსაც მიადგნენ?!

### აღარც დამნახავია და აღარც გულშემატკივარი?

**ვისაც ჩალაუბნის გადასახვევიდან მაღაროსკენ უმგზავრია, მის ყურადღებას უსათუოდ მიიქცევდა თხუთმეტი მეტრი სიმაღლის მონუმენტური ქანდაკება, რომელიც შორეულ 1982 წელს ხელისუფლების დაკვეთით დაიდგა. ამით უკვდავებით შეიმოსა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 177 მაღარელი ვაჟკაცის ხსოვნა. მათ საბჭოეთის უკიდეგანო ფრონტის სხვადასხვა უბანზე დაამთავრეს სიცოცხლე, რათა საქართველოს გერმანელ ოკუპანტთა ჩექმა ასცდენოდა. სამწუხარო ისიც არის, რომ ბევრი მათგანის საფლავი საერთოდ არ არის ცნობილი — ზოგი შავი ზღვის ტალღებმა შეიწირა, ზოგიც ულმობელმა რეალობამ. ზოგს მომგონებელი დარჩა, ზოგსაც არა. ეს ძეგლი არის მათი ხსოვნაც და უკვდავებაც.**



საქართველოში ოდითგან გამორჩეული მზრუნველობით უვლიდნენ ყველაფერს, რაც მამულიშვილთა სახელის უკვდავებასთან იყო დაკავშირებული. ის კი არა, უბრალო მოკვდავთა განსასვენებელსაც კი აუგად არავინ შეხედავდა. ეს, მე მგონი, საერთოსაკაცობრიო ღირებულებაა, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დღესაც ლოცვასავით ინახავენ. ის კი არა, ბევრგან ხელშეუხებელია დაუძინებელი მტრის სამარეც კი — სიკვდილის წინაშე ყველა პირნათელია!

სამწუხაროდ, არეულმა დრომ ბევრი სიწმინდე წაბილწა. დროის ქარბორბალას ვერც სასაფლაოები და გმირთა უკვდავსაყოფი ძეგლები გადაურჩა. ხან აქ, ხან იქ გაიელვებს ხოლმე ვანდალიზმის გაუგონარი ფაქტები — ძარცვავენ და ანადგურებენ, იპარავენ მემორიალურ დაფებს, ლითონის მესერებს, ქანდაკებათა ჩუქურთმებს. ასეთი შემთხვევები მას შემდეგ გახშირდა, რაც საოცარი ინტენსივობით დაიწყეს ჯართის დამზადება და უცხოეთში გატანა. განსაკუთრებით ფასობს ფერადი ლითონები. გარეწრებისთვის წმინდა და ხელშეუხებელი აღარაფერია: გროშების გულისთვის ანადგურებენ ფასეულობებს, რომლებზეც, როგორც ხელოვნების ნიმუშებზე, თავის დროზე უამრავი თანხა დაიხარჯა...

ეს წერილი კონკრეტულ ფაქტს ეხება.

ჩვენი რედაქციის არც ისე ხშირი, მაგრამ მუდამ სასურველი სტუმარია ცნობილი მოქანდაკე, ღირსების ორდენოსანი უშანგი ქადაგიშვილი. ქიზიყური სიალალე და ზნეობა მისი განუყოფელი სამკაულია. პოეზიასთან წილნაყარს ძალიან უყვარს საუბარი ხელოვნებასა და ლიტერატურაზე. მუდამ სადღაც ეჩქარება, მუდამ რაღაც ახალი იდეა აწუხებს. ეს „სადღაც“ მისი პატარა სახელოსნოა, იდეები— ჩვენი ერის გმირული წარსული. და იღვწის ბატონი უშანგი, ქმნის, ძერწავს, აქანდაკებს, რომ შთამომავლობას რაც შეიძლება მეტი დაუტოვოს...

მაგრამ ამჯერად ხმაში ძველი ეშხი და რიხი აღარ ეტყობოდა. თითქოს რაღაც უძვირფასესი რამ დაკარგა და პოვნის იმედი გადაიწურაო. ბოლოს გამომიტყდა, ჩემი მშობლიური სოფლის — მაღაროს შესასვლელში შინმოუსვლელთა ქანდაკება გაუძარცვავთ, სპილენძის ჭედურობა სანახევროდ შემოუცლიათ, გამკითხავი კი არავინ ჩანსო.

ეს დაახლოებით ისეა, მშობელს შვილი რომ მოსტაცო! ბუნებრივია, აღშფოთება უკიდეგანოა. მოქანდაკესაც — უშანგი ქადაგიშვილს ძალიან აღაშფოთებს ეს ვანდალიზმი. ჯერ ერთი — მრავალწლიანი შრომა წყალში ჩაუყარეს, მეორეც — გმირთა სახელი შეუგინეს! ეს მკრეხელობა, დიახაც, რომ არავის ეპატიება, მაგრამ რა — სდიე ქარს მინდორში! უამრავჯერ დაიწერა, ჯართის მიმღებ პუნქტებზე კონტროლი გაძლიერდეს, მათ უნდა აეკრძალოთ ფერადი ლითონების მიღებაო, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს — არც პოლიცია, არც ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები. ასეა სიღნაღის სინამდვილეშიც. გამაოგნებელი ისიც არის, რომ უშანგი ქადაგიშვილის ზემოხსენებული ქანდაკება გზის პირზეა. აქ ხშირად დაჰქრიან საპატრულო პოლიციის მანქანები, ნუთუ ვერავინ ვერაფერი შეამჩნია? ბოლოს და ბოლოს, ცნობილია მიმღები პუნქტების ადგილმდებარეობაც და იმათი ვინაობაც, ვინც ამ საქმით არის დაკავებული. განა არ შეიძლება მათი მოძებნა, ან, იყო კი საერთოდ ამისი მცდელობა?

ეს საკითხი აწუხებს ყველა რაიონს, ქალაქს, სოფელს, არ აწუხებს მხოლოდ ქურდბაცაცას, რომელიც გროშების გულისთვის „წინაპართა საფლავსაც ხნავს“ და უსაშველოდ ძვირფას ხელოვნების ნიმუშსაც ანადგურებს.

ნუთუ ამ სამარცხვინო ჩვევას ბოლო არ უნდა მოეღოს? ვიმედოვნებთ, რომ სიღნაღის რაიონული გამგეობა, პოლიცია და პროკურატურა ახლა მაინც დაინტერესდება დამნაშავეთა გამოსავლენად და ვანდალიზმის აღსაკვეთად... თუ არა ზნეობის იმ ნამცეცებსაც დავკარგავთ, რაღაც სასწაულით ჯერ კიდევ რომ შემოგვრჩა...

ახლა მიბრძანეთ, ჰქონდა თუ არა უხასიათობის მიზეზი ბატონ უშანგი ქადაგიშვილს?

**ელგუჯა ლებანიძე**

**სურათზე: შინმოუსვლელთა ხსოვნის მემორიალი სოფელ მაღაროს შესასვლელში (მოქანდაკე უშანგი ქადაგიშვილიძ.**

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

● ცხინვალში ქუჩა-ქუჩა დაძრწოდნენ მოხულიგნო-მოფაშისტო ვაჟბატონები და მოქალაქეებს ძალით ერეკებოდნენ არჩევნებზე



◉ კონფლიქტის ზონა

# წყალგაღმა კოკოითია, გამოღმა – სანაკოევი, შუაში ჩაუდით მდინარე

(მესამე გვერდიდან)

– შეიძლება ვერც მოვესწრო, – ამბობდა იგი. – მაგრამ ეგ არ არის მთავარი. მე აქ ჩემი შვილიშვილებისა და იმათი შვილებისთვის მოვედი. მათ ქართველებთან ერთად ერთ მიწაზე, ერთ ოჯახად უნდა იცხოვრონ.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ცისანა ქაბულოვა სიხარულს ვერ მალავდა:



– ასეთი რამ იშვიათად ხდება, დღის პირველი საათისთვის ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა უკვე მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი.

ცხინვალი-გორის საავტომობილო ტრასაზე კი ხან ერთი ავტობუსი გამოჩნდებოდა წარწერით „ბორჯომი“, ხანაც სხვა – „ახალციხე“, „რუსთავი“, „თბილისი“, „ხაშური“. ცხინვალიდან დევნილები კონფლიქტის ზონაში ალტერნატიულ – თავიანთ მამაპაპისეულ კერაზე იმედისმომცემ არჩევნებზე მიიჩქაროდნენ.

ამომრჩეველთა ინტენსიურობასთან ერთად, იცვლებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსული მონაცემებიც. შუადღის ბრიფინგზე კომისიის თავმჯდომარემ ურუზმაგ ქარქუსოვმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ ზოგ საარჩევნო უბანზე – ნულში, ავნევში, ფრისში, ვანათში, მამისაანთუბანში ხმა უკვე მისცა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50-დან 75 პროცენტამდეო.

მოულოდნელად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაისმა სატელეფონო ზარი: ბრიტანელი ჟურნალისტები ურუზმაგ ქარქუსოვს სთხოვდნენ დახმარებოდა ცხინვალიდან გამოსვლაში, რომ შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში საარჩევნო უბნებზე გამგზავრებულიყვნენ. კომისიის თავმჯდომარემ მათ ბოდიში მოუხადა, ვაგლახ, რომ ვერ გიშველითო. და ვერც უშველიდა: ამ დროს უკვე ცხინვალში ქუჩა-ქუჩა დაძრწოდნენ მოხულიგნო-მოფაშისტო ვაჟბატონები, მოქალაქეებს ძალით მიერეკებოდნენ არჩევნებზე. პრეზიდენტობის ალტერნატიული კანდიდატის დიმიტრი სანაკოევის საცხოვრებელ სახლზე დიდი ასოებით დაეწერათ: „ოსი ხალხის გამყიდველი“. იქვე ქართული სიწმინდეც წაებილწათ: ჩვენი სახელმწიფო დროშა „გაესვასტიკებინათ“.

არჩევნები კი ცხინვალში „სრული სვლით“ მიმდინარეობდა. კოკოითს არჩევა არ სჭირდებოდა, რადგან იგი პრეზიდენტად დანიშნული უკვე ჰყავდა რუსეთის ხელისუფალთ. მაგრამ საზეიმო განწყობილება ცხინვალელებს დღის მეორე ნახევარში ჩაუშხამდათ. ელექტრონული პრესით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღმოაჩინეს 50 ათასი ცალი ვლადიკავკაზში დაბეჭდილი ბიულეტენი ვითომ ჯავის რაიონიდან წასული მოსახლეობისათვის დასარიგებლად. როგორც ერედვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, მათთვის ცნობილი იყო ვლადიკავკაზის რომელ სტამბაში და ვისი განკარგულებით იყო დაბეჭდილი ეს ბიულეტენები. თუ ვისთვის – ეს დღესავით ნათელიაო, აღნიშნეს ბრიფინგზე.

გუშინ ცნობილი გახდა არჩევნების წინასწარი შედეგები. ცხინვალში, როგორც მოსალოდნელი იყო, კოკოითმა გაიმარჯვა. ალტერნატიულ არჩევნებში – სანაკოევმა. ლიახვის ხეობაში, ამ ერთ ციდა მიწაზე, ორი პრეზიდენტი აირჩიეს: ლიახვის წყალგაღმა პრეზიდენტი კოკოითია, გამოღმა – სანაკოევი. შუა ჩაუდით მდინარე...

ლიახვის არც მარჯვენა, არც მარცხენა ნაპირზე ჩატარებულ არჩევნებს არანაირი ძალა არ აქვს. საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს მეგობარი ქვეყნები (თვით რუსეთის ჩათვლით!) არ ცნობენ მის შედეგებს. და მაინც: დიმიტრი სანაკოევი და მისი თანამოაზრენი საზოგადოების ის ძალაა, რომელიც თვლის, რომ დროა დამთავრდეს მტრობა და მთელი ეს გაუგებრობა ქართველებსა და ოსებს შორის და ოსი ხალხი დაუბრუნდეს თავისი ისტორიული განვითარების – ქართველებთან ძმობის, სიყვარულის, ნათელ-მირონობის გზას.

ცნობილია: რუსეთი თავის ქვეყანაში სეპარატისტებს სასტიკად უსწორდება, მაგრამ თუ ეს სარეველა სხვის ქვეყანაში აღმოცენდა, თავს ევლება, ნიადაგს უპოხიერებს, ზრდა-განვითარებისთვის სასათბურე პირობებსაც კი უქმნის. შორს რომ არ წავიდეთ, ჩეჩნეთიც იქვეა, კოკოითიცა და ბაღაფშიც. ხუთი წელია ცხინვალის პრეზიდენტი თავის ხალხს სამოთხეს ჰპირდება. ეს სამოთხე რუსეთია, სადაც, თურმე, რძის მდინარეები მოედინება, რომელსაც ნაპირები კარაქისა აქვს. ხალხსაც თავისი წინამძღოლისა სჯერა და წლიდან წლამდე მოთმინებით ელის როდის მოიგდებს კოკოითი ზურგზე სამხრეთ ოსეთს და როკის გვირაბით რუსეთში როდის გაიტანს. ამ კაცმა ეს რომ ვერ მოახერხა, აღგა და იმავე გვირაბით რუსეთიდან რუსული პასპორტები შემოიტანა და ფოჩიანი კანფეტებივით დაურიგა მოსახლეობას. ასე გაჩნდნენ ლიახვისა და ფრონეს ხეობაში (ხა-ხა!) „რუსეთის მოქალაქეები“, ვისაც, თუ რამე მოხდა (ის „რამე“ თავად რუსებმა თუ არ მოახდინეს!) იარაღით დაიცვან.

გულწრფელად მინდა მჯეროდეს, რომ ალტერნატიული არჩევნების შედეგები ყველაზე მეტად გაეხარდება... რუსეთს. ბოლო ხანებში პრეზიდენტმა პუტინმა არაერთგზის გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთს არანაირი პრობლემები საქართველოსთან არ აქვს, პრობლემები თავად საქართველოს აქვს ცხინვალელ ოსებთან და ჩვენ არაფერ შუაში ვართო.

12 ნოემბრის არჩევნებით ქართულ-ოსურ ურთიერთობაში დიდი შემობრუნება მოხდა. დაიწყო ამ ორი ხალხის შერიგების, ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების მშვიდობიანი და დემოკრატიული პროცესი. სწორედ ამას მისცეს ხმა კვირას გამართულ ალტერნატიულ არჩევნებში ოსმა, რუსმა, ქართველმა, სომეხმა, ებრაელმა და სხვა ეროვნების ლიახვისა და ფრონეს ხეობების, ზნაურისა და ახალგორის რაიონების ამომრჩევლებმა, კოკოითისაგან განსხვავებით, რომელმაც ხმები ძირითადად ცხინვალსა და ჯავაში „აკრიფა“.

**ასეთია 12 ნოემბრის არჩევნების შედეგები. სხვა რა უნდა აღერვიულებდეს რუსეთს, თუკი მას მართლაც არანაირი პრობლემები არ აქვს საქართველოსთან?**

**მაშ, გაუმარჯოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას საქართველოს სახელმწიფოში!**

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ სპეც. კორ.**

◉ „ჯვარს ეცვი თუ გინდა“...

# მინისტრი კი ალტერნატიულად დარბის...

**მთავრობაში საკადრო ცვლილებამდე რამდენიმე დღით ადრე ბატონ კახა ბენდუქიძეს რბილად, მაგრამ მაინც უკბინეს. თავად სახელმწიფო მინისტრს ამის გამო ხმაური არ აუტეხია, იცის, რომ მსუქან კანს კბილი ადვილად ესობა და მტერთაგან დაგესვლას შეგუებულია.**

მაინც რატომ უკბინეს? ჩვენთან კაკანებს და კვერცხს რუსეთში დებსო. მოკლედ, იმათი კაცი არისო, – დააბრალა პარლამენტარმა დავით ბერძენიშვილმა. ეს იქიდანაც ჩანს, რუსეთი რომ გაზს მოგვყიდის, მას საქართველოში ისევ რუსეთი ყიდულობსო, – იგულისხმა კახა ბენდუქიძე, რომელსაც რუსულ გაზთან ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.

ეს, რა თქმა უნდა, ბევრმა არ დაიჯერა, განსაკუთრებით საპარლამენტო უმრავლესობამ, რომელიც კახა ბენდუქიძეს იცნობს, როგორც გამყიდველს და არა როგორც მყიდველს.

თავად კახა ბენდუქიძემ ხომ არ დაიჯერა და არ დაიჯერა, პირიქით, გაკვირვებულიც კი დარჩა. რაც საქართველოში ჩამოვიდა, თითქმის ყველაფერი გაყიდა საკუთარი შარვლის გარდა (ესეც იმიტომ, რომ არავის მოერგო!) და რაღა მაინც და მაინც გაზს იყიდდა იმ რუსეთისგან, რომელსაც ამ ერთი წლის წინათ ჩვენი ამორტიზებული, დაფახფახებული და ჯართად ქცეული გაზსადენის შეტყუება დაუპირა?

– სადაური ლოგიკაა, – თქვა მაშინ ბატონმა სახელმწიფო მინისტრმა, – რუსეთი თავად ფულს აკეთებს, გაზის საფასურით გვლლეტს, მილებს კი ჩვენსას აზიანებს. ვერ გამიგია, რატომ უნდა გადავყაროთ ფული რუსეთის მიერ ამორტიზებული გაზსადენის შეკეთებაში? ჩემი აზრია, თავიდან მოვიცილოთ ეს ზარალიანი მილსადენი, მივყიდოთ რუსეთს და თავად იმტვრიოს თავი მის რეაბილიტაციაზეო.

მთავრობის წევრებმა, რომლებიც კარგად იცნობენ ბატონ კახა ბენდუქიძის ინტელექტუალურ და ბიზნესშესაძლებლობებს, ეს წინადადება უმალ აიტაცეს, მაგრამ ამერიკამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც რუსეთის მხარე დაიჭირა (მისი გაცუცურაკება




არ ინება!) და ქართული ენერგეტიკის მამებს სარფიანი საქმე ხელიდან გააგდებინა.

ამერიკის წყალობით ზარალს ერთხელ უკვე გადარჩენილმა რუსეთმა ჭკუა მაინც ვერ ისწავლა და კვლავ წაეპოტინა ქართულ გაზსადენს – დამითმეთ და ამ ზამთარსაც და იმ ზამთარსაც ბედსა გწევთო.

კახა ბენდუქიძეს კბილები კვლავაც აუკანკალდა გაზსადენის გასაყიდად, მაგრამ ამჯერად გატრუნვა ამჯობინა. ამის მიუხედავად, მაინც არ ასვენებენ, აქეთ-იქიდან კბენენ. იმავე ბერძენიშვილმა ბენდუქიძეს მარტო გაზსადენის კი არა, რუსეთისთვის საკუთარი ქონების მიყიდვაშიც დასდო ბრალი – თუ რუსეთის შემოგზავნილი არ არის, მაშ რატომ მიყიდა გაზპრომს თავისი აქციების მესამედიო!

ვაა, ეს რა ხალხს გადაეყარა, კაცოო. უნდოდა გაყიდვა და გაყიდა. ბოლოს და ბოლოს, სინდისი ხომ არ გაუყიდია, საკუთარი ქონება გაყიდა. რით ვერ გაიგო ამ ხალხმა ჩვენი სახელმწიფო მინისტრის ხასიათი. ეს ის კაცია, რომელიც ყველაფერს ყიდის და სანაცვლოდ არაფერს ყიდულობს, სინდისი რომ სინდისია, იმასაც კი არა.

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ამ ამერიკას რომ არ ჩაეყო ცხვირი ჩვენს საქმეებში, ბატონი ბენდუქიძე, ეჭვი არ შეგეპაროთ, სხვა ბევრ რამესთან ერთად, აქამდე გაზსადენსაც გამოუყვანდა წირვას და ხალხისთვის თავგადაკლული ენერგეტიკის მინისტრი დღეს გაზის საძებნელად ამდენ ალტერნატიულ სირბილს გადაურჩებოდა.

მოლაპარაკებები, იცოცხლეთ, მიდის და მიდის აზერბაიჯანთან, ირანთან, თურქეთთან. ვისთან აღარ (იმათთანაც კი, ვისაც გაზი საერთოდ არა აქვს!), მაგრამ საიდან რა გამოდნება, ამაზე წარმოდგენა თავად ენერგეტიკის მინისტრსაც არა აქვს. ეს გამოჩნდა პარლამენტის სხდომაზეც, სადაც გილაურს საზამთრო სამზადისთან დაკავშირებით გამოკითხვა მოუწყეს.

განა ღირს კი ამდენ კითხვებად და სირბილად ჩვენი ჟანგიანი გაზსადენი? ერთადერთი ეს ბუდრუგანა გაზსადენია, რომელიც რუსეთს შეგვიძლია შევატყუოთ იაფი გაზის სანაცვლოდ და ქვეყნისათვის დამაშვრალ ბენდუქიძეს ამის შესაძლებლობასაც ვუსპობთ. რა გვინდა, რას ვამუხრუჭებთ?!

ამასობაში კი ზამთარმაც მოგვიკაკუნა. ბენდუქიძე, კარგი, მსუქანია და სუსხისგან ქონი დაიცავს, მაგრამ მთავრობის სხვა წევრებს და გაძვალტყავებულ ხალხს რისი იმედი აქვთ?

**ოთარ ხუციშვილი**

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.



● ფორუმზე პირველი და ყველაზე დიდი აღმოჩენა ჩინელების სტუმართმოყვარეობა გახლდათ...

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ კონტაქტები

*ჩინეთში უკვე მესამედ გაიმართა ქალთა მსოფლიო ფორუმი, რომელშიც საქართველოდან საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია მონაწილეობდა. ფორუმზე საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორები გიული ალასანია, მანანა სანაძე და გიორგი ღლონტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე, ხოლო დიპლომატიურ აკადემიას მისი პრორექტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ერთადერთი აფროამერიკანისტი საქართველოში, თამარ ცინცაძე წარმოადგენდნენ.*

*სწორედ ქალბატონ თამარს ვთხოვეთ განემარტა ჩვენთვის ჩინელების ასეთი დაინტერესება ქალი-ხელმძღვანელის როლით, ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეში, როგორიც განათლებაა.*

# ჩინურმა სტუმართმოყვარეობამ ქართული დაჩრდილა



ქალი ჭკვიანი, მზრუნველი, ინტუიციით აღჭურვილი და, უზრალოდ, ლამაზი არსება გახლავთ, რომელსაც თვით ურჩხულის მოთვინიერებაც ძალუძს... ალბათ, ამიტომაც უყვართ ყველა ამ თვისებით შემკული ქალბატონი თამარ ცინცაძე მის ამჟამინდელ და ყოფილ სტუდენტებს, რომლებიც სრულიად არიან მინდობილი ამ არაჩვეულებრივ მანდილოსანს. ერთ-ერთი მათგანი, მისი ყოფილი სტაჟიორი, ჩინეთში საქართველოს საელჩოს მდივანი არჩილ სოხაძე, ქალბატონ თამარს პეკინში თვითმფრინავის ტრაპთან დახვდა. ამ მოულოდნელმა და სასიხარულო შეხვედრამ დაუდო სათავე იმ უამრავ სიურპრიზს და აღმოჩენას, რაც საქართველოს დელეგაციას წინ ელოდა.

— პირველი და ყველაზე დიდი აღმოჩენა ჩინელების საოცარი სტუმართმოყვარეობა გახლდათ. მათ თავისი ხელგაშლილობით და სტუმრის მიმართ გამოჩენილი სითბოთი, ჩემს თვალში, ქართული სტუმართმოყვარეობაც კი დაჩრდილეს, — ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, ხუთჯერადი კვებით და დღეში ორი ბანკეტით, უამრავი კულტურული ღონისძიება და ექსკურსია, რამაც ამ მოკლე ვადაში საკმაოდ დიდი წარმოდგენა შეგვიქმნა ამ საოცრებათა ქვეყანაზე და მის შრომისმოყვარე ხალხზე. მათ დელეგაციის თითო წევრს თანმხლები პირის, ვთქვათ მეუღლის, წამოყვანის უფლება მისცეს, ბოლოს კი ეს ყველაფერი იმით დააგვირგვინეს, რომ გზის ხარჯიც დაგვიფარეს და ისე გამოგვისტუმრეს.

**— რამდენი დღე დაჰყავით ასეთ განცხრომაში?**

— 10 დღე, 16-დან 25 აგვისტომდე, და ეს ათი დღე შესამჩნევად აისახა ჩვენზე... კილოგრამებში. ამას ადვილად შეამჩნევთ ფოტოსურათებზეც, ჩასვლამდე და წამოსვლის წინ.

**— ვინ მიგიწვიათ მსოფლიო ფორუმზე და რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა მასში?**

— მიგვიწვია ჩინეთის ელჩმა საქართველოში ვან კაი ვენმა და მისმა მეუღლემ, კონსულმა გუ პინმა. ფორუმზე, რომელიც სხვათა შორის, პეკინში ყრილობათა დარბაზში ტარდებოდა, 80 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი იყო ჩასული. ახლო წარსულიდან, ალბათ, კარგად გვახსოვს თუ რა საპატიო და მასშტაბური ღონისძიებების გასამართი ადგილი გახლავთ ყრილობათა სასახლე. ფორუმზე განიხილებოდა უმაღლესი განათლების სისტემის პრობლემები მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანასა და რეგიონში. მათი დაინტერესება სწორედ ქალი-პრეზიდენტით, ანუ ქალი-ხელმძღვანელით, რომელიც უმაღლეს სასწავლებელს უდგას სათავეში, გასაგებია, რადგან ქალს მრავალი უპირატესობა გააჩნია ამ საქმეში. ჩემი მოხსენების თემაც სწორედ ეს გახლდათ: „ქალი- ხელმძღვანელის როლი უმაღლეს განათლებაში".

**— იქნებ განგვიმარტოთ, რა უპირატესობებზეა საუბარი?**

— ქალს, გარდა მშვენივრად განვითარებული ორგანიზატორული ნიჭისა, საოცრად განვითარებული ინტუიცია აქვს. ქალმა რთულ სიტუაციაში მამაკაცზე უკეთ იცის თუ რა უნდა მოიმოქმედოს. ჩვენი აზროვნება და ყველას და ყველაფრის მიმართ დედობრივად მზრუნველი ბუნება გვაძლევს საშუალებას მივიღოთ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. რამდენჯერაც ვუგანე ჩემს ინტუიციას და ე.წ. „შინაგან ხმას", იმდენჯერ წავაგე. სუსტი სქესის ეს ძლიერი თვისებები სწორედ დედობრივი ინსტინქტიდან მომდინარეობს.

**— ამ ლოგიკით გამოდის, რომ არა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების, არამედ ქვეყნის სათავეშიც ხშირად ქალი-პრეზიდენტები უნდა იყვნენ?**

— ვნახოთ, შევადაროთ, იქნებ ჰილარიმ აჯობოს ამერიკის ისტორიაში საკმაოდ კარგი პრეზიდენტის სახელით დარჩენილ მის მეუღლეს — ბილს. ალბათ, ამის შემდეგ გვექნება იმის ხმამაღლა განცხადების უფლება, რომ ქალებს ამ საქმეში უფრო მეტი გვეთქმის.

**— საინტერესო ამბავი გამახსენდა: ჰილარი და ბილი ბენზინის გასამართ სადგურთან შეჩერდნენ. ჰილარს სადგურის მუშა გამოელაპარაკა. ბილი დაინტერესდა. ჰილარმა აუხსნა, რომ ეს ყმაწვილი ერთ დროს მას ეტრფოდა. ბილმა შემთხვევა არ გაუშვა ხელიდან და ცოლს „წაკბინა", — კიდევ კარგი ცოლად არ წაჰყევი, თორემ ახლა ხომ „ავტოგასამართი სადგურის დედოფალი" იქნებოდიო, რაზეც ჰილარიმ აუღელვებლად უპასუხა: „მე კი არ ვიქნებოდი „ავტოგასამართი სადგურის დედოფალი", ის იქნებოდა ქვეყნის პრეზიდენტიო. როგორ ფიქრობთ, არის ამ ტყუილ-მართალში ჭეშმარიტების მარცვალი?**

— რა თქმა უნდა, მეუღლეს უდიდესი წვლილი მიუძღვის მამაკაცის კარიერაში. ჩემს შემთხვევაშიც უფრო მეტი დატვირთვა ჩემზე მოდის, რადგან ჩემი მეუღლე, პოლიტოლოგი და აკადემიის რექტორი სოსო ცინცაძე მუდამ გადარბენაზეა და მუდამ საოცრად დატვირთული გახლავთ. მე, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ ავარიდო მას ბევრი წვრილმანი, თუმცა, კაცი რომ დაფიქრდეს, სწორედ ეს წვრილმანებია კაცს რომ ნამდვილ თავსატეხად და პრობლემად ექცევა და სიცოცხლეს უმწარებს! უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა დაგვჭირ-



და, რომ დიპლომატიური აკადემია სათანადო სიმაღლეზე აგვეყვანა. მისი დაცვაც კი ჩვენი „თავის ტკივილია". სოსო ხშირად რჩება იქ და პატრონობს იქაურობას, რადგან ტერიტორიის ნაწილს უკვე დაეპატრონენ ლტოლვილები და დღესაც არ გვაკლია მათგან პრობლემები. მოსაწესრიგებელია შენობის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც წვიმის დროს ის ატალახდება, რომ შენობამდე ვერ მიაღწევს კაცი, არადა, ყველაფერ ამის ფონზე ჩვენ უკვე 11 წელი შეგვისრულდა და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მივაღწიეთ. ჩვენი სტუდენტები უკვე ფართო ასპარეზზე გავიდნენ და ეს ყველასთვის ცნობილი და სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლების უდიდესი დამსახურებაა. ყოველ ოთხშაბათს სტუდენტებისთვის ვაწყობთ შეხვედრებს საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან, რომლებიც მათ ლექციებს უკითხავენ.

**— დიპლომატს, განათლების ფართო ჰორიზონტის გარდა, ბევრი სხვა თვისებაც უნდა გააჩნდეს, თუნდაც თანდაყოლილი არტისტიზმი...**

— გეთანხმებით, ამიტომ ჩვენ ვასწავლით კულტუროლოგიას, რომელიც სხვაგან თუ ჩვეულებრივ ისწავლება, ჩვენთან სულ სხვა ჭრილში ვაწვდით. ფაქტობრივად, ეს ჩემი კურსია, — ვასწავლით საბერძნეთის, ძველი რომის, ჩინეთის, ევროპის, რუსეთის კულტურას. ვმუშაობთ მრავალი ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევაზე, რადგანაც ევროპული მენტალიტეტი, გარკვეულად, ცივი, ხისტი გახლავთ, ჩვენი გონება კი არ არის შეგუებული ამგვარ სწორხაზოვნებას. სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენს სტუდენტებზე, თბილი, დედობრივი მზრუნველობით გაჯერებული მოპყრობა უფრო შედეგიანად მოქმედებს, ვიდრე მკაცრი ზომები, რომლებიც ასევე აუცილებელია სწავლის რთულ პროცესში, თუმცა არა სავალდებულო, რადგან ისინი ძალზე კარგად აცნობიერებენ საპატიო და მეტად საჭირო პროფესიის როლს და დანიშნულებას.

**— თქვენი აზრით, მთავარი, რაც მათ პირველ რიგში უნდა შეითვისონ ჩინელი მოაზროვნეებისაგან...**

— საამისოდ, ალბათ, კონფუცის მოძღვრების ორი პრინციპიც იკმარებდა, — „მხოლოდ წარსულის განჭვრეტით შეიძლება მომავლის განჭვრეტა" და „ნუ უსურვებ სხვას იმას, რასაც შენს თავს არ უსურვებდი".

**— ადრე თუ გქონიათ რაიმე შეხება ჩინეთთან?**

— გაგიკვირდებათ, მაგრამ ამგვარი „შეხება" მქონდა და მაქვს ყოველდღიურად, რადგან საოცრად მიყვარს ამ ქვეყნის კულტურა და ჩემს საკმაოდ მოზრდილ კოლექციას მუდამ ახალ და ახალ ჩინურ ნივთს ვამატებ, რომელიც ხან ამერიკიდან ჩამომაქვს და ხან ევროპიდან. აი, ჩინეთიდან კი ამის გაკეთება პირველად მომიწია. სხვაგვარად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩემს კოლექციაში დაცულმა ჩინური ფაიფურის ჭურჭელმა, კერამიკულმა ნაწარმმა, გობელენებმა და ნახატებმა, აგრეთვე ჩინური პოეზიისა და პროზის შესანიშნავმა ნიმუშებმა, თვით ჩვენს ოჯახში სტუმრად მოსული ჩინეთის ელჩის აღფრთოვანება და გაკვირვება გამოიწვია.

**— ჩინელების მასპინძლობაზე უკვე ვისაუბრეთ, რას გვეტყვით იქაურ ქართველებზე?**

— ჩვენი ელჩი ჩინეთში, მიხეილ უკლება, გვერდიდან არ მოგვცილებია, სულ ჩვენთან იყო, აგრეთვე ჩვენი აკადემიის კურსდამთავრებული არჩილ სოხაძე, რომლის ნახვამ დიდად გამახარა. სულ ახლახან შევიტყვე, რომ ჩინეთთან, კერძოდ მის აქაურ საელჩოსთან შეხება აქვს კიდევ ერთ ჩვენს აღზრდილ გოგონას — ნინო კაკიაშვილმა ერთ-ერთ რთულ კონკურსში გაიმარჯვა და ჩინეთის საელჩოში სამუშაოდაა მიწვეული.

ესაუბრა
**ქეთი ჯაყელი**

**სურათებზე: შეხვედრები ჩინეთში.**

◎ ინფორმაცია

## ეს არის თავისუფალი ვაჭრობა

საქართველოსა და ყაზახეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის არსებობის მიუხედავად, ბევრია საქონლის ჩამონათვალი, რომელიც საქართველოსა და ყაზახეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებულია.

კერძოდ, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები, მათ შორის ძმარიც.

აღნიშნულ ნუსხაში მოხვდა, აგრეთვე, თამბაქო და მისი ნაწარმი, აგრეთვე, შაქარი.

ამ პროდუქტებით ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის ჩვეული წესით მიმდინარეობს, ოღონდაც ისინი გათავისუფლებულნი არ არიან იმ შეღავათებისაგან, რითაც თავისუფალი ვაჭრობის დროს ესა თუ ის პროდუქტი სარგებლობს.

## ნავთობსადენმა 32.6 მილიონი ბარელი გაატარა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით 32.6 მილიონ ბარელი ნავთობია გადაზიდული. როგორც კომპანია „იოტას ინტერნატიონალ ლიმიტედ შერკეტი" განმარტავენ, აზერბაიჯანული ნავთობით 45 ტანკერი უკვე ავსებულია. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ დღეისათვის გეიდარ ალიევის სახელობის ტერმინალში 4.848 მილიონი ბარელი ნავთობი ინახება. რაც შეეხება ჯეიჰანის პორტს, იქ უკვე მზადყოფნაშია 2 ტანკერი, რომელიც ნავთობით ავსებას ელოდება.

## ტრანზიტი „თავისუფალია"

საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთები საბაჟო გადასახადებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადებისაგან გათავისუფლებულნი არიან.

მოქმედი კანონმდებლობით, ტრანზიტით გამავალი ტვირთებისთვის, გაუქმებულია, ასევე, საგზაო და სავალდებულო დეზინფექციის გადასახადი.

განურჩევლად წარმოშობის ქვეყნისა, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონლისათვის სატრანზიტო გადასახადი ერთნაირია.

## საზღვარგარეთიდან შემოსული პროდუქციის მოცულობა იზრდება

აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოში შემოსული პროდუქციის მოცულობამ 2004 წელს 156 მლნ. 397 ათას 900 დოლარი, ხოლო 2005 წელს 233 მლნ. 449 ათას 900 დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება საქართველოს მეორე უახლოეს მეზობელ ქვეყანას — სომხეთს, იქიდან საქართველოსკენ განხორციელებულმა იმპორტმა 2004 წელს 26 მლნ. 229 ათასი დოლარი, ხოლო 2005 წელს 39 მლნ. 294 ათას 100 დოლარი შეადგინა.

იმპორტში არანაკლები წილი უდევს ყაზახეთსაც, საიდანაც 2004 წელს საქართველოში 21 მლნ. 422 ათას 900 დოლარის იმპორტირებული საქონელი შემოვიდა, ხოლო 2005 წლისთვის ამ ციფრმა 11 მლნ. 551 ათას 400 დოლარი შეადგინა.

2004 წელს რუსეთის ფედერაციიდან 257 მლნ 771 ათას 200 დოლარის, 2005 წელს კი 384 მლნ. 349 ათას 900 დოლარის იმპორტი განხორციელებულა.

ХО-ЭОВ-ЭНО



- ცხინვალში აქვთ მხოლოდ რუსეთის და დსთ-ს ქვეყნების იმედი, რომლებმაც შეიძლება ცნონ საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის შედეგები
- სამხრეთ ოსეთში არჩევნებს ესწრებოდა მთელი მსოფლიოდან ჩასული 200 მეთვალყურე და ჟურნალისტი

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

**◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

## სამხრეთ ოსეთმა ხმა მისცა საქართველოს წინააღმდეგ




**თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ერთდროულად გაიმართა პრეზიდენტის არჩევნები და რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ. მოვლენათა საოცარი დამთხვევის შედეგად, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც აცხადებდა, რომ ახალ წელს ცხინვალში შეხვდებოდა, არჩევნების წინ გადადგა თანამდებობიდან. ამიტომაც, ნამდვილ „გაგანია ომს" არავინ აღარ ელოდა, და ყველაფერი შემოიფარგლა წვრილმან პროვოკაციათა სერიით, რისთვისაც მზად აღმოჩნდა თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.**

სამხრეთ ოსეთის მთავარი მილიციელის მიხეილ მინძაევის თქმით, „საქართველოს სპეცსამსახურებმა გადაიბირეს მრავალი დაქირავებული – ქისტები, აგრეთვე „აზიური ეროვნების" პირები, რომლებმაც გაიარეს სპეციალური მომზადება ავღანეთში მოთარეშეთა ბანაკებში". ამიტომ, – აღნიშნა მინძაევმა, – არჩევნების დროს საზღვარი საქართველოსთან მთლიანად გადაკეტილი იყო. მაგრამ პროვოკაციების თავიდან აცილება მაინც ვერ მოხერხდა. მაგალითად, გაძარცვეს რუსეთის ტელევიზიის პირველი არხის გადამღები ჯგუფი – ტელეჟურნალისტებს წაართვეს გენერატორი, რომელიც უზრუნველყოფდა სიუჟეტების გადაცემას პირდაპირ ეთერში. ბოროტგანმზრახველები ცხელ კვალზე დააკავეს – ისინი აღმოჩნდნენ რესპუბლიკის „ქართული" სოფლების მცხოვრებლები. ამის შემდეგ ქართულმა მხარემ მთელ სამხრეთ ოსეთში გამორთო სტაციონარული სატელეფონო კავშირი. ამავე დროს, თვითაღიარებული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა განაცხადა, რომ „მხილებულია რესპუბლიკის ამჟამინდელი პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ლიკვიდაციის გეგმები".

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს ბრალდებები უარყო. სამხრეთ ოსეთში არჩევნებს ესწრებოდა მთელი მსოფლიოდან ჩასული 200 მეთვალყურე და ჟურნალისტი, და თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტზე თუნდაც წარუმატებელი თავდასხმის განხორციელება სერიოზულად შეარყევდა „დემოკრატიული" საქართველოს იმიჯს.

**დიმიტრი სტეშინი,**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

**13 ნოემბერი.**

## რეფერენდუმი შიდა მოხმარებისთვის

**თვითაღიარებულმა სამხრეთ ოსეთმა აღიარების მიღწევის გზაზე გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი – 12 ნოემბერს გამართული რეფერენდუმის დროს რეგიონის მოსახლეობამ დაუჭირა მხარი საქართველოსგან სრულ დამოუკიდებლობას.**

რეგიონში ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ ევროკავშირი და შეერთებული შტატები არასდროს არ ცნობენ პლებისციტის შედეგებს, მაგრამ იქ მაინც აცხადებენ, რომ ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელდება. როგორც სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირინა გაგლოევამ აღნიშნა, მას შემდეგ, რაც განისაზღვრება კოსოვოს სტატუსი, შესაძლებელი გახდება საერთაშორისო აზრის კორექტირება. ჯერჯერობით კი, მიაჩნია გაგლოევას, ცხინვალში აქვთ მხოლოდ რუსეთის და დსთ-ს ქვეყნების იმედი, რომლებმაც შეიძლება ცნონ საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის შედეგები.

ამ მოსაზრებას იზიარებს თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო-საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევიც: „რესპუბლიკის მოსახლეობას იმედი აქვს, რომ რუსეთი კვლავაც ჩვენს გვერდით იქნება, მითუმეტეს, რომ ჩვენ ვართ რუსი ხალხის ნაწილი". ჯიოევის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც გახდება ცნობილი საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის შედეგები, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა სთხოვს რუსეთის ფედერაციას აღიაროს ეს შედეგები. გარდა ამისა, აღნიშნა თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაურმა, ცხინვალში ელიან, რომ „საერთაშორისო გაერთიანება, ბოლოს და ბოლოს, ყურად იღებს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის თხოვნას, რომელმაც გამოხატა თავისი ნება-სურვილი – აირჩია დამოუკიდებლობის გზა".

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს: „იმის მიუხედავად, სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმის შედეგები მოიპოვებს თუ არა საერთაშორისო აღიარებას, ეს ნებისმიერ შემთხვევაში მაინც გახდება ამ რეგიონის მოსახლეობის განწყობილების თავისებური ინდიკატორი, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რეალურ პოლიტიკაში". რუსეთის ფედერაციის საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში ასევე მიაჩნიათ, რომ „თბილისის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს დაძაბულობის გამწვავებას სამხრეთ ოსებთან ურთიერთობაში და, რომელსაც არ სურს მოქმედი შეთანხმებების და მიღწეული მორიგებების შესრულება, აიძულებს ცხინვალს გადადგას ადეკვატური ნაბიჯები. ასეთ ნაბიჯთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ რეფერენდუმის გამართვაც.

ამის პასუხად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა: „რუსეთის ფედერაცია გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონში დაგეგმილ ღონისძიებებს, რაც მოსკოვის მიერ განხორციელებული ანტიქართული პოლიტიკის კიდევ ერთი დადასტურებაა". თბილისში კვლავაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არჩევნებიც და რეფერენდუმიც



არალეგიტიმურია. ასეთივე განცხადება გააკეთეს სამხრეთ ოსეთში მოვლენების განვითარებამდე ეუთომ, ევროკავშირმა, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა. 12 ნოემბერს კი ამ ნუსხას ნატოც დაემატა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპსხეფერმა განაცხადა: **„ნატოს სახელით ვუერთდები სხვა საერთაშორისო ხელმძღვანელებს და უარვყოფ სამხრეთ ოსეთში განხორციელებული ეგრეთ წოდებული „რეფერენდუმის" და „არჩევნების" შედეგებს".**

ამავე დროს, სამხრეთ ოსეთის ქართველებით დასახლებულ სოფლებში, რომლებსაც, ფაქტობრივად, თბილისი აკონტროლებს, გაიმართა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ალტერნატიული არჩევნები, რომელთა შედეგების მიხედვითაც შეიქმნება ყოფილი ავტონომიის დევნილი ხელმძღვანელობა.

არჩევნების და რეფერენდუმის გამართვამდე კი სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ თითქოს საქართველო ამზადებდა რეგიონში ტერაქტების სერიას, მათ შორის სამხრეთ ოსეთის მოქმედი მეთაურის ედუარდ კოკოითის წინააღმდეგაც. ეს ჟურნალისტებს აცნობა თვითაღიარებული რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა მეთაურმა ალან პარასტაევმა (იგი დააპატიმრეს სამართალდამცავმა ორგანოებმაძ, რომელსაც თითქოს, დანაშაულობათა ჩადენისათვის აქეზებდნენ საქართველოს უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები. თბილისში ამ ბრალდებას მტკნარი სიცრუე უწოდეს.

**სვეტლანა გამოვა,**

НЕЗАВИСИМАЯ

**13 ნოემბერი.**

## არმია საქართველოს საზღვრებთან გავიდა

**ჩრდილოეთ კავკასიაში დასასრულს უახლოვდება წელიწადის ამ პერიოდისთვის ყველაზე მასშტაბური ანტიტერორისტული წვრთნა. როგორც რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების პრესსამსახურის უფროსმა პოლკოვნიკმა იგორ კონაშენკოვმა თქვა, „მანევრების დასკვნითი აკორდია ბატალიონების ტაქტიკური წვრთნა სერნოვოდსკის პოლიგონზე". წვრთნის ძირითადი ეტაპი კი, რომელშიც ამოქმედებული იყო „ხუთი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ათასამდე ერთეული სხვადასხვა დანიშნულების ტექნიკა, მათ შორის – 150 ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, აგრეთვე 20-ზე მეტი თვითმფრინავი და ვერტმფრენი, ჯერ კიდევ 7 ნოემბერს დაიწყო, თანაც მანევრების ყველაზე აქტიური ფაზა გასულ უქმე დღეებს დაემთხვა.**

აღსანიშნავია, რომ ასეთი მასშტაბური ღონისძიება ძალზე ძუნწად გააშუქეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, თუმცა წვრთნა მიმდინარეობდა ჩრდილოეთ ოსეთის მთიან ადგილებში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, ანუ საქართველოსა და თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრების სიახლოვეს.

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ნაწილების და შენაერთების ასეთი აქტიურობა, მით უმეტეს – საქართველოს საზღვრებთან, ნოემბერში დიდი იშვიათობაა. რუსეთის არმიაში ხომ „სასწავლო წელი" უკვე დასრულებულია. რეგლამენტის თანახმად, რომელიც ათწლეულების განმავლობაში შეიმუშავეს ჯარებში, ახლა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქში უნდა მიმდინარეობდეს საბრძოლო წვრთნის შედეგების შეჯამება და საბრძოლო ტექნიკის და შეიარაღების ექსპლოატაციის ზამთრის რეჟიმზე გადაყვანა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ტრადიცია დაირღვა. ასეთი რამ ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქში რამდენჯერმე უკვე მოხდა, მაგალითად, 1994 და 1999 წლებში, როცა ჯარები ემზადებოდნენ ჩეჩნეთში საომარი მოქმედების დაწყებისთვის.



როგორც ბესლანის მცხოვრებმა ნატალია ბურგუევამ განაცხადა, ჩრდილოეთ ოსეთში ამ მანევრებს მოსახლეობა უკავშირებს საქართველოში არსებულ არასტაბილურ მდგომარეობას და სამხრეთ ოსეთში დაგეგმილ რეფერენდუმსა და ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს. თუმცა, პოლკოვნიკმა კონაშენკოვმა უარყო რაიმე კავშირი წვრთნასა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებს შორის. „ეს წვრთნა საგეგმოა და იგი ხორციელდება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯარები უნდა დაეუფლონ საბრძოლო ოსტატობას წელიწადის ნებისმიერ დროს".

ჯარების წვრთნის მეორე ეტაპზე დახვეწეს პრაქტიკული მოქმედება უკანონო ბანდფორმირებების ლიკვიდაციისათვის გამიზნულ სპეცოპერაციათა მომზადებისა და განხორციელების მიზნით, – თქვა იგორ კონაშენკოვმა, – აგრეთვე განხორციელდა ღონისძიებები რუსეთის ფედერაციის საზღვარზე ბანდიტური ფორმირებების შემოჭრათა მოგერიების დროს მესაზღვრეთა დახმარების მიზნით".

„რუსეთი, რა თქმა უნდა, არ დაესხმება თავს საქართველოს, – მიაჩნია პოლიტიკურ პრობლემათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს გენერალ-პოლკოვნიკ ლეონიდ ივაშოვს, – მაგრამ ჩვენი ჯარების ასეთი აქტიურობა სავსებით გამართლებულია. იგი შემაკავებელ გავლენას ახდენს არა მარტო საქართველოს ხელმძღვანელობაში მოკალათებულ ზოგიერთ „ომის მოტრფიალეებზე", არამედ მთლიანად ნატოზეც. ჩვენ ყველას ვუჩვენებთ ძალას და მზადყოფნას, დავიცვათ ჩვენი ინტერესები ამ რეგიონში. ეს პოზიტიური მომენტია რუსეთის სამხედრო პოლიტიკაში".

ამავე დროს, ივაშოვს მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გააქტიურება ჩრდილოეთ კავკასიაში უკავშირდება ასევე სამხრეთ რუსეთის კონფლიქტურ რეგიონებში – ჩეჩნეთში, ინგუშეთში და სხვა – არსებულ საერთო არასტაბილურობას.

**ვლადიმერ მუხინი,**

НЕЗАВИСИМАЯ

**13 ნოემბერი.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576




# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს აუქციონს

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „თბილისის №4 სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის“ ბალანსზე რიცხული ლიფტების მარაგნაწილების (შემდგომში სარეალიზაციო ქონება) აუქციონის ფორმით რეალიზების მიზნით

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

• **სარეალიზაციო ქონება შედგება შემდეგი მარაგნაწილებისაგან:**

**1. ლიფტის კარების ჩარჩო – 48 ცალი;**
**2. ლიფტის კარების ფრთა – 76 ცალი;**
**3. ლიფტის კაბინის ჭერი – 6 ცალი;**
**4. ლიფტის კაბინის იატაკი – 6 ცალი;**
**5. ლიფტის კაბინის წინა პანელი – 5 ცალი;**
**6. ლიფტის რედუქტორი ჩარჩოთი – 1 ცალი;**
**7. ლიფტის რედუქტორის ჩარჩო (კარკასი) – 1 ცალი;**
**8. ლიფტის ელექტროკარადა – 4 ცალი;**
**9. ლიფტის კრონშტეინის ფეხი – 15 ცალი;**
**10. გადასაბმელი – 10 ცალი;**
**11. ზამბარა – 1 ცალი;**
**12. ბეტონის ტვირთები – 12 ცალი.**

• **სარეალიზაციო ქონების ადგილმდებარეობა**: ქ. თბილისი, მრევლიშვილის ქ.№2, ფილიალ „თბილისის №4 სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის“ საწყობი.

• **საწყისი გასაყიდი ფასი - 5200** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.

• **„ბე“ - 500** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

• **„ბიჯი“ – 250** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში

• **„მონაწილის ბილეთის“ ფასი – 100** ლარი.

• **განაცხადების მიღების ადგილი –** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-53-18, 56-33-70.

• **განაცხადების მიღების ვადა –** 2006 წლის 14 ნოემბრიდან 2006 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

• **აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო –** 2006 წლის 29 ნოემბერი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

• **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები –** „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

• **აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ –** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*2. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი*

• სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა.

*3. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება*

• საუაუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს მყიდველი, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და საუაუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ მყიდველს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.

• აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.

• აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, და ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მყიდველი.

• ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის მყიდველის მიერ სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდის დღიდან.

*4. გამოსასყიდი თანხის გადახდის ვადა*

• მყიდველი ვალდებულია, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მომსახურე საბანკო დაწესებულებაში (საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით) შეიტანოს ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

• თუ მყიდველი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ მიენიჭება საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.

• საკუთრების უფლება სარეალიზაციო ქონებაზე მყიდველს გადაეცემა აღნიშნული ქონების ღირებულების სრულად დაფარვის დღიდან.

*5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს,

• „ბე“-ს და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

• აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

• საუაუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

**6. დამატებითი დათქმა**

• სარეალიზაციო ქონება იყიდება ერთ ლოტად.

**სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.**

***შპს „საქართველოს რკინიგზა“***

---

სს „არაგვის“ აქციონერთა საყურადღებოდ:

2006 წლის 5 დეკემბერს, 14 საათზე გაიმართება აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე (ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ძ.

დღის წესრიგი:
1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. ძველი სამეთვალყურეო საბჭოს გამოწვევა;
3. ახალი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
4. სხვადასხვა.

---

## განცხადება

2006 წლის 27 ნოემბერს დღის 12 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაიმართება ს/ს „საქტრაქტორის“ კრედიტორთა კრება

მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის 32. ქუთაისის საქალაქო სასამართლო (სააპელაციო სასამართლოს შენობაძ.

---

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

# სოხუმის ფილიალი

## 2006-2007 სასწავლო წელს მიღებას აცხადებს შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

**მათემატიკური მოდელირება, სტატისტიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები** (მოდულები: ბუნებისმეტყველების მათემატიკური მოდელები და ტექნოლოგიები: სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება;
დაპროგრამების ტექნოლოგიები; გამოყენებითი სტატისტიკა და სადაზღვევო საქმეძ.

**მათემატიკური ანალიზი.**

**ელემენტარული პროცესები პლაზმაში და კონდენსირებულ გარემოში.**

**ბიოსამედიცინო ფიზიკა და ინჟინერია.**

**ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია.**

**კვანტური ქიმია.**

**კვების პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპერტიზა.**

**კარტოგრაფია და გეოინფორმატიკა.**

**გენეტიკა** (მოდულები: გამოყენებითი გენეტიკა; გენეტიკა და ბიოუსაფრთხოებაძ.

**მიკრობიოლოგია.**

**საბაღო-საპარკო დიზაინი.**

**ეკოლოგია** (მოდულები: რადიაციული ეკოლოგია; ბიოეკოლოგია; გეოეკოლოგიაძ.

**სოციოლინგვისტიკა.**

**ქართველური ენათმეცნიერება.**

**ქართული ლიტერატურის ისტორია** (მოდულები: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია; ახალი (XIXს) ქართული ლიტერატურის ისტორია).

**ფილოლოგია** (უახლესი ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორიაძ.

**ინგლისური ენა და თარგმანი (მოდულები:** პროფესიული ინგლისური და ლინგვისტიკა; ინფორმაციის მენეჯმენტი და თარგმანიძ.

**გერმანისტიკა და თარგმნა.**

**კომპარატივისტიკა.**

**რუსისტიკა.**

**ქართულ-სლავური ლიტერატურული ურთიერთობები.**

**ისტორია** (მოდულები: საქართველოს ისტორია; ძველი მსოფლიოს ისტორია; შუა საუკუნეების ისტორია; რუსეთის ისტორია).

**არქეოლოგია.**

**სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები** (მოდულები: საერთაშორისო ურთიერთობები და შავი ზღვის ქვეყნები; სოციალური ურთიერთობების მართვა; საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტექნოლოგიები (PR); ადგილობრივი თვითმმართველობა და მუნიციპალური მართვაძ.

**ეკონომიკა** (მოდულები: საერთაშორისო ეკონომიკა; მაკროეკონომიკა; რეგიონალური და მუნიციპალური ეკონომიკაძ.

**ბიზნესის ადმინისტრირება** (მოდულები: ფინანსები და საბანკო საქმე; მარკეტინგი; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტიძ;

**სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსანტების მიღება წარმოებს გასაუბრება-ტესტირების გზით.**

**საბუთები მიიღება 2006 წლის 30 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით.**

**მისამართი: თბილისი, ჯიქიას ქ. №9, ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული, ოთახი №206.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:**
**54 14 09, 893 76 98 80.**

**ვებ-გვერდი: www. sokhumi-su.edu.ge**


№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

● „ლობუშებს“ რაგბის საერთაშორისო საბჭოში მრავლად ჰყავთ ნათლიმამები და არბიტრები ჩვენს დაჩაგვრას არ ერიდებოდნენ

● ვლადიმერ კლიჩკომ მეშვიდე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა



◉ რაგბი

# საგზურის ბედი ჰეისის ნამუსზეც ჰკიდია

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მორაგბეთა მეტად საშური მატჩი გაიმართა საქართველოს და პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. ისინი 1997 წლიდან რვაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ანგარიში თანაბარი იყო – ოთხი გამარჯვება ოთხი მარცხის წილ, ოღონდ ლელოთა ბალანსით ვჯობდით მეტოქეს.**

მეცხრე პაექრობას სულ სხვა მნიშვნელობა და დატვირთვა ჰქონდა, რადგან 2007 წლის მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის საგზურისთვის იბრძოდნენ გუნდები.

წინა მატჩების სტატისტიკას თვალს თუ გადავავლებთ, ვნახავთ, რომ პორტუგალიელებს 5-ზე მეტი ქულით ბორჯღალოსნებისთვის არასდროს მოუგიათ. ამასაც იმიტომ ახერხებდნენ, რომ „ლობუშებს“ რაგბის საერთაშორისო საბჭოში მრავლად ჰყავთ ნათლიმამები და არბიტრები ჩვენს დაჩაგვრას არ ერიდებოდნენ. მაგალითად, 1997 წელს ლისაბონში ფრანგმა მსაჯმა ალენ ფერნანდესმა ფირასთასზე მატჩი აშკარად მოაგებინა (21:17) მასპინძლებს, რისთვისაც მოედანზევე დროშის ტარით გაილახა.

იტალიელი არბიტრი კარლო დამასკო ეროვნულ სტადიონზე გადა-



ურჩა ამგვარ „ბედნიერებას“ (არადა, კარგი მისატყეპი კი იყო). ყველა სადავო სიტუაციაში იგი სტუმართა მხარეს იხრებოდა, რითაც პორტუგალიელები (რომლებსაც ბორჯღალოსნებმა 11 მარტს შინ 40:0 მოუგეს) დიდი ანგარიშით წაგებას გადაარჩინა. რამდენიმე დღის შემდეგ (25 ნოემბერს) ლისაბონში განმეორებითი ორთაბრძოლა გაიმართება. ორი რაუნდის ჯამში გამარჯვებული გუნდი მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებს და მთავარი პრიზისთვის D ჯგუფში საფრანგეთს, ირლანდიას, არგენტინასა და ნამიბიას შეხვდება. დამარცხებულს საფრანგეთში მოსახვედრად გრძელი გზის გავლა მოუწევს აფრიკა – სამხრეთ ამერიკის გავლით.

შეძლეს თუ არა ბორჯღალოსნებმა დასახული ამოცანის შესრულება?

ეროვნულ სტადიონზე არცთუ ისე მრავლად მოსულმა გულშემატკივრებმა (ამის მიზეზი, ვფიქრობთ, ბილეთებზე საკმაოდ მაღალი ფასები იყო) ნათლად დაინახეს, რომ პორტუგალიელები გაზაფხულიდან შემოდგომამდე აშკარად გაძლიერებულან და მათთან იოლად ვერ გავისეირნეთ (ყველაფერს არბიტრს ნუ დავაბრალებთ), იმის მიუხედავად, რომ მე-6 წუთზე მასპინძელთა მორიგი იერიში ხინჩაგიშვილმა ლელოთი და ჯიმშელაძემ ზუსტი გარდასახვით დააგვირგვინეს. პირველ ტაიმში ჩვენების მომდევნო ცდებს შედეგი არ მოჰყოლია.

თამაშის სცენარი შესვენების შემდეგაც არ შეცვლილა. ბორჯღალოსნები გამუდმებით უტევდნენ, სტუმრები თითქმის უშეცდომოდ იცავდნენ თავს. ერთი შეტევა გამოეპარათ და ხამაშურიძემაც მეორე ლელო გაიტანა. ჯიმშელაძემ ამჯერადაც უზადოდ შეასრულა გარდასახვა...

საბოლოოდ გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა 17:3. გვეყოფა თუ არა ეს შედეგი ფინალში გასაღწევად, ორ კვირაში გაირკვევა. აქამდე გამართული მატჩების ტრადიციას თუ გავითვალისწინებთ, თუნდაც ხუთქულიან წაგებას, მაშინ თავი ქუდში გვაქვს და მსოფლიო თასის გადამწყვეტ ეტაპზე მეორედ ვიასპარეზებთ. თუკი უელსელი არბიტრი ჰეისი ნამუსზე ხელს აიღებს, მაშინ ყველაფერია მოსალოდნელი.

ასე რომ, დაველოდოთ 25 ნოემბერს.

**ვაჟა დანელია**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო**



◉ ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XI ტური.** „პალერმო“-„ტორინო“ 3:0, „პარმა“-„ინტერი“ 1:2, „მილანი“-„რომა“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „პალერმო“, „ინტერი“ – 27-27, „რომა“ – 23 ქულა.

**ბომბარდირი:** რიგანო („მესინა“) – 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „კალიარი“-„პალერმო“, „ინტერი“-„რეჯინა“, „რომა“-„კატანია“.

**ესპანეთი. X ტური.** „ბარსელონა“-„სარაგოსა“ 3:1, „რასინგი“-„სევილია“ 0:0, „ოსასუნა“-„რეალი“ 1:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 23, „სევილია“ – 22, „რეალი“ – 20 ქულა.

**ბომბარდირები:** ნისტელროოი („რეალი“), რონალდინიო („ბარსელონა“), მილიტო („სარაგოსა“), კანუტი („სევილია“) – 8-8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „მალიორკა“-„ბარსელონა“, „სევილია“-„ვალენსია“, „რეალი“-„რასინგი“.

**ინგლისი. XII ტური.** „ბლეკბერნი“-„მანჩესტერი“ 0:1, „ჩელსი“-„უოტფორდი“ 4:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ – 31, „ჩელსი“ – 28 ქულა.

**ბომბარდირი:** დროგბა („ჩელსი“) – 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „შეფილდი“-„მანჩესტერი“, „ჩელსი“-„ვესტ ჰემი“.

**გერმანია. XII ტური.** „ჰანოვერი“-„შტუტგარტი“ 1:2, „ვერდერი“-„ბორუსია“ 1:3, „შალკე“-„მაინცი“ 4:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შტუტგარტი“ – 24, „ვერდერი“, „შალკე“ – 23-23 ქულა.

**ბომბარდირი:** პანტელიჩი („ჰერტა“) – 8 გოლი.



**საფრანგეთი. XIII ტური.** „ლიონი“-„ვალანსიენი“ 2:1, „ლილი“-„მარსელი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ – 34, „ლილი“ – 24 ქულა.

**ბომბარდირები:** დინდანე („ლანსი“), ბანგურა („ლე მანი“) – 7-7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „სედანი“ – „ლიონი“, „სოშო“ – „ლილი“.

**ჰოლანდია. XII ტური.** „აიაქსი“-„ეინდჰოვენი“ 0:1, „ალკმაარი“-„ჰერაკლესი“ 5:0 (ორი გოლი **შოთა არველაძემ** გაიტანა).

**ლიდერთა ჯგუფი:** „ეინდჰოვენი“ – 31, „აიაქსი“ – 30, „ალკმაარი“ – 29 ქულა.



**ბელგია. XII ტური.** „ვესტერლო“-„გენკი“ 0:1, „ანდერლეხტი“-„სერკლი“ 2:0, „ბრიუგე“-„შარლერუა“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „გენკი“ – 32, „ანდერლეხტი“ – 27, „ბრიუგე“ – 23 ქულა.

**უკრაინა. XIV ტური.** „კარპატი“-„დინამო“ 1:1, „შახტიორი“-„ჩერნომორეცი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „დინამო“ – 36, „შახტიორი“ – 32 ქულა.

◉ ყიფიანის თასი

# გასარკვევი ცოტაღა დარჩა

**დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის II წრის სტარტზე გამოიკვეთა ის გუნდები, ვინც მომდევნო ეტაპზე თამაშის რეალურ შანსებს ინარჩუნებენ. გამონაკლისს II ჯგუფი წარმოადგენს, სადაც ყველანი განაგრძობენ „პლეიოფებში“ გასასვლელად ბრძოლას.**

**IV ტურის შედეგები: I ჯგუფი.** „სპარტაკი“-„ამერი“ 0:2, „კახეთი“-„ზესტაფონი“ 0:2.

„ამერი“ – 10, „ზესტაფონი“ – 7, „კახეთი“ – 4, „სპარტაკი“ – 1 ქულა.

**22 ნოემბერს ითამაშებენ:** „კახეთი“-„სპარტაკი“, „ზესტაფონი“-„ამერი“.

**II ჯგუფი.** „მესხეთი“-„ვიტ ჯორჯია“ 0:0, „ბორჯომი“-„ტორპედო“ 0:0.

„ვიტ ჯორჯია“ – 6, „ტორპედო“, „ბორჯომი“ – 5-5, „მესხეთი“ – 3 ქულა.

**22 ნოემბერს ითამაშებენ:** „ბორჯომი“-„მესხეთი“, „ტორპედო“-„ვიტ ჯორჯია“.

**III ჯგუფი.** „ნორჩი დინამოელი“-„დინამო“ 0:3, „ჩიხურა“-„ოლიმპი“ 1:0.

„ჩიხურა“ – 10, „დინამო“ – 9, „ოლიმპი“ – 4, „ნორჩი დინამოელი“ – 0 ქულა.



**22 ნოემბერს ითამაშებენ:** „ჩიხურა“-„ნორჩი დინამოელი“, „ოლიმპი“-„დინამო“.

**IV ჯგუფი.** „მეშაქრე“-„სიონი“ 0:2, „ბათუმი“-„მერანი“ 1:1.

„სიონი“ – 10, „ბათუმი“ – 8, „მერანი“ – 4, „მეშაქრე“ – 0 ქულა.

**22 ნოემბერს ითამაშებენ:** „ბათუმი“-„მეშაქრე“, „მერანი“-„სიონი“.

◉ კრივი

# დღესასწაული რინგზე

**როგორც უკვე ვწერდით, შაბათს ნიუ-იორკში IBF ვერსიით მძიმეწონოსანი უკრაინელი მოკრივე ვლადიმერ კლიჩკო უნდა შეხვედროდა ამერიკელ მეტოქეს კელვინ ბროკს. როგორც ამერიკიდან იტყობინებიან, შაბათს სასახლეში „მედისონ-სკვერ-გარდენი“ კრივის ნამდვილი დღესასწაული იყო.**

ჯერ ერთი, მთელი უზარმაზარი დარბაზი ოვაციებით და ფეხზე ადგომით შეხვდა ლეგენდარული მოკრივის მუჰამედ ალის გამოჩენას. მაყურებლებს თითქმის დაავიწყდათ კიდევაც კევინ კელი და მანუელი მედინე, რომლებიც ამ დროს რინგზე იბრძოდნენ. ალი აქ მოვიდა თავისი ქალიშვილის, WBC ვერსიით 76,2 კგ-მდე წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ლეილა ალის მხარდასაჭერად. ქალიშვილმაც იმედი არ გაუმტყუნა – უკვე მეოთხე რაუნდში „წირვა გამოუყვანა“ შელი ბერტონს.





რასაკვირველია, მთავარი ბრძოლა უკრაინელსა და ამერიკელს უნდა გაემართათ, სწორედ მათ საყურებლად მოსული გულშემატკივრებით გადაიჭედა დარბაზი. და აკი გაუმართლათ კიდეც. მეტად დაძაბული ორთაბრძოლა გამოდგა. თუ ამერიკელი რატომღაც თავით აპირებდა მეტოქის მოთვინიერებას, უკრაინელი სწორედ იმ თავს უშენდა მძლავრ მუშტებს. კლიჩკო მრავალფეროვანი შეტევებითა და კონტრშეტევებით მიიწევდა წინ და მეშვიდე რაუნდში უკვე ნოკაუტით დააფიქსირა თავისი გამარჯვება, რითაც არა მარტო ჩემპიონის საპატიო ტიტული შეინარჩუნა, არამედ ოკეანისგადაღმელთა აუდიტორიის გულიც მოინადირა, რაც ბევრ „უცხოელს“ ვერ მოუხერხებია.

ვლადიმერ კლიჩკოს ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცა ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ლენოქს ლიუისმაც.

**სურათებზე: ასე იმარჯვებს ვლადიმერ კლიჩკო, სახელოვანი მამის სახელოვანი ქალიშვილი – ლეილა ალი.**

- ბურთი სამქულიანი დისტანციიდან ჩააგდო კალათში და დაპირებული 1000 ლარი ჩაიჯიბა
- სპორტის ეგზოტიკური სახეობის მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი რიო-დე-ჟანეიროს განთქმულ კოპაკაბანას პლაჟზე მასპინძელთა ტრიუმფით აღინიშნა



### ტყვიის სროლა

## სტუმრებმა გვაჯობეს

**ვაკეში, ნინო სალუქვაძის ტირში, სამ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ტურნირი – „საქართველოს ღია თასი", რომელშიც მასპინძლებთან ერთად სამი აზერბაიჯანელი ჩუბინიც მონაწილეობდა. სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ოთხიდან სამი ოქროს მედალი სწორედ მათ წაიღეს.**

პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობის პირველ დღეს, როგორც გაუწყეთ, ჭაბუკებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რუსლან ლიუნოვი ავიდა. მეორე-მესამე ადგილები ბექა გოგინაშვილმა და ზესიკ სირაძემ გაინაწილეს. გოგონებში პირველობა არავის



დაუთმო ნიჯარი ბაგიროვამ, რომელმაც სამი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ მარი გოგუაძეს. მესამე იყო თათია უშვერიძე. სტუმრებს კაცებში მონაწილე არ ჰყავდათ, ამიტომ აქ საპრიზო ადგილები მასპინძლებმა გაიყვეს: 1. სერგი ჩიტაიშვილი, 2. ალექსი კუჭუხიძე, 3. ლევან ძადაგიძე.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა შეჯიბრების დასკვნითი დღე ქალთა შორის, სადაც ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული და ბრინჯაოს მედალოსანი გამოდიოდნენ. კარგად იასპარეზა ათენის ოლიმპიადის მესამე პრიზიორმა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ირადა აშუმოვამ, რომელმაც აზერბაიჯანელთა დელეგაციას მესამე ოქროს მედალი მოუპოვა. მეორე ადგილი ოლიმპიური თამაშების მონაწილემ, გუნდურში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანმა ნინო უჩაძემ დაიკავა. მასპინძელი ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

### კალათბურთი

## ფულის მადლი

**ვაჟთა XVI ეროვნული ჩემპიონატის I წრის დასკვნითი მატჩის – „ავიამშენი"-თსუ დაწყების წინ სპორტის სასახლეში აღსანიშნავი ფაქტი მოხდა: ავიატორთა თილისმამ, ცნობილმა მომღერალმა მერაბ სეფაშვილმა ჩინებულად გამოიყენა სუპერლიგის ინიციატივით ბოძებული შანსი, ბურთი სამქულიანი დისტანციიდან ჩააგდო კალათში და დაპირებული 1000 ლარი ჩაიჯიბა.**

ეტყობა, მისი განწყობა ლევან მოსეშვილის გუნდსაც გადაედო – ბაბიაშვილის, ხოშტარიასა და ბერიშვილის ძალისხმევით ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონებმა პირველივე პერიოდში მოიპოვეს სოლიდური უპირატესობა – 32:15, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა – სტუდენტებმა შეხვედრის ბოლომდე ვერ შეძლეს შოკიდან გამოსვლა – 59:93.

V ტურის დანარჩენი თამაშების შედეგები: „აზოტი"-სტუ 107:52, „დინამო"-„მაქაბი" 97:72.

**სატურნირო მდგომარეობა:** „აზოტი" – 5, „ავიამშენი" – 4, თსუ – 3, სტუ, „მაქაბი", „დინამო" – თითო მოგება.

**ეროვნული ჩემპიონატი 25 ნოემბერს განახლდება.**



**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

### პლაჟბურთი



## ისევ ისინი

**ბრაზილიელებს დღესაც გველის ნაკბენივით ახსოვთ შორეულ 1950 წელს „მარაკანაზე" მეზობელ ურუგვაელებთან წაგებული „მუნდიალის" ფინალი – 2:1.**

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი მიილია, მაგრამ პრინციპული მეტოქეობა ყველა დონეზე გრძელდება. გამონაკლისს არც ქვიშის ფეხბურთი წარმოადგენს – ბურთი ხომ აქაც მრგვალია.

სპორტის ეგზოტიკური სახეობის მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი რიო-დე-ჟანეიროს განთქმულ კოპაკაბანას პლაჟზე მასპინძელთა ტრიუმფით აღინიშნა. მათ 7000 მაყურებლის თანდასწრებით გადამწყვეტი მატჩი სწორედ ურუგვაის გუნდს მოუგეს – 4:1. ბრინჯაოს მედლებისთვის გამართულ „დამამშვიდებელ ფინალში" ფრანგებმა პორტუგალიის ნაკრებს სძლიეს – 6:2.

### ორბიტაზე

## ენენ-არდენის ტრიუმფი

**ჩოგბურთის მცოდნეებმა სწორად განსაზღვრეს, რომ ქალთა შორის მადრიდის დასკვნითი ტურნირის გამარჯვებული ბელგიელი ენენ-არდენი იქნებოდა. ეს რწმენა უფრო გაუღრმავდათ, როცა მან ტურნირზე წინსასვლელი გზა გადაუკეტა ერთ-ერთ ფავორიტს – მარია შარაპოვას.**

ფინალში ჟიუსტინის მეტოქის ვინაობა კი მართლაც ძნელი დასადგენი გამოდგა. ბევრი ვარაუდობდა, რომ ფინალი ბელგიური იქნებოდა, მაგრამ კლიისტერსმა ვერ შეძლო არცთუ ბრწყინვალედ მოთამაშე ამელი მორესმოს წინაღობის გადალახვა და ბევრისთვის მოულოდნელად ფინალში სწორედ ფრანგი ჩოგბურთელი გავიდა.

კვირას მადრიდში ფინალურ მატჩში ჟიუსტინ ენენ-არდენ-



მა ბრწყინვალედ იასპარეზა და დაამარცხა თავისი მრისხანე მეტოქე ამელი მორესმო – 6:4, 6:3. ამ გამარჯვებით ბელგიელმა მილიონი დოლარიც მოიპოვა და მსოფლიო რეიტინგში პირველი ადგილიც. მეორეზე მარია შარაპოვაა.

## კაბის ქვეშ მუდამ შიშველია

**ცნობილი არგენტინელი ფოტომოდელი პამელა დავიდი, ახლა ერთ-ერთი სპორტული შოუს წამყვანი რომაა, მსოფლიო სახელს იძენს.**

20 წლის ლამაზმანის სავიზიტო ბარათი მოშიშვლებული ჩაცმულობა და გულახდილი განცხადებებია, მატჩების მიმოხილვისას რომ აკეთებს.

„მე მუდამ სექსუალურად ვიცვამ, დღისითაც და ღამითაც, – განაცხადა პამელამ ღია ეთერში, – კაბის ქვეშ კი მუდამ აბსოლუტურად შიშველი ვარ".

ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ პამელამ მონაწილეობა მიიღო ფოტოსერიაში, რომლის დროსაც არაფერი ეცვა ტრუსების გარდა, ტანზე კი საღებავებით არგენტინის ნაკრების მაისური ჰქონდა დახატული.

ამას წინათ მას ჩილეს დემოკრატიული პარტიის მდივანმა ბრალი დასდო იმაში, რომ ის „დისკრიმინაციას ახდენს და შეურაცხყოფს ქალურ ღირსებას". ამ, ფაქტობრივად, სასაცილო ბრალდებამ მას უფრო გაუთქვა სახელი.



### ვისაც გაკაჟება სურს

## ჯანსაღი სულის დასაბუდებლად

**დღეს პროფესიული სპორტი მთელ მსოფლიოში არნახულად ვითარდება. ნებისმიერ სახეობაში მაღალი კლასის სპორტსმენთა გამოსვლები გულშემატკივართა განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს. რაც შეეხება გამაჯანსაღებელ სპორტს, ის მასობრივ ხასიათს ატარებს. მისი სხვადასხვა სქესის, ასაკის და ფიზიკური მდგომარეობის პირთათვის, გარკვეული დიფერენციებით, მაგრამ ასევე შეჯიბრების სახით გამართვა უმჯობესია.** უკვე აღარ მიიჩნევენ, რომ ფიზიკური კულტურა სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი, ხოლო ფიზიკური აღზრდა კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილია. განვითარებულ ქვეყნებში ტერმინი სპორტი, ფიზიკური აღზრდის გარეშე გამოიყენება, რაც სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან, როგორც გამაჯანსაღებელ, ისე პროფესიულ სპორტს საფუძვლად უდევს ფიზიკური აღზრდა, რომელიც უპირველესად ადამიანის (სპორტსმენის) საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას გულისხმობს. გამაჯანსაღებელი სპორტის დანერგვა ხდება სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, წარმოებებსა და სოფლებში, ჯანმრთელობის ცენტრში (ჯგუფური), ძალოვანთა ნაწილებში. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გამაჯანსაღებელი სპორტითაა დაკავებული იმ განსხვავებით, რომ პროფესიულ სპორტში ათლეტთა წვრთნა უფრო მეცნიერულ საფუძველს ემყარება.

გამაჯანსაღებელი სპორტით მეცადინეობა აუცილებელი ფაქტორია ყველა ასაკის ადამიანისათვის. ბოლო დროს სკოლამდელ დაწესებულებებში – საბავშვო ბაღებში მეტი ყურადღება ექცევა ბავშვთან ფიზიკური ვარჯიშით მეცადინეობას, თუმცა მათი უმეტესობა მეთოდურად არ არის გამართლებული, რადგან სათანადო დონის პედაგოგები არ გვყავს.

არც საჯარო სკოლებსა და კოლეჯებში ტარდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები მაღალკვალიფიციურად. არადა, ეს აუცილებელია, რადგან ფიზიკური დატვირთვის სწორი დოზირება ადამიანის ჯანმრთელობისთვის აუცილებელ დადებით ემოციებს იწვევს, რაც, თავის მხრივ, გაჯანსაღების ერთ-ერთი საწინდარია.

სამწუხაროდ, უფროსი თაობის უდიდესი ნაწილი გამაჯანსაღებე-



ლი სპორტით ნაკლებად არის დაკავებული. რატომღაც გვავიწყდება, რომ ადამიანი აუცილებლად უნდა ეწეოდეს აქტიურ (მოძრავ) ფიზიკურ ცხოვრებას, რისი განხორციელებაც ყველაზე ეფექტურად ჯგუფური, ან ინდივიდუალური წესით ვარჯიშებისას შეიძლება.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ქალაქებსა და დაბებში ძალიან ბევრი დახურული და ღია სპორტული ბაზა შეიქმნა, რაც ორგანიზმის გაკაჟების საშუალებას იძლევა.

გამაჯანსაღებელი სპორტით ადამიანის ორგანიზმის გაჯანმრთელება ბევრადაა დამოკიდებული იმ ადამიანებზე, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ ამ საქმეს. მათთვის აუცილებელია, მოსამზადებელი ან კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გავლა. ეს კურსები კი სისტემატურად უნდა ფუნქციონირებდეს როგორც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში, ისე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, ასევე ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროების საერთო ხელმძღვანელობით.

სამწუხაროდ, არასათანადო სიმაღლეზე დგას გამაჯანსაღებელ სპორტში მოვარჯიშეთა სამედიცინო შემოწმებაც. ჯანდაცვის ორგანოებში, პოლიტიკურ სისტემაში მომუშავე ექიმთა უმრავლესობა მოსახლეობის მასობრივი საექიმო შემოწმებისას, არ იყენებს ფართოდ დამკვიდრებულ ფუნქციური გამოკვლევის იმ ტესტებს (სინჯებს), რომელთა ჩატარებისას სხვადასხვა ხასიათის დოზირებული ფიზიკური დატვირთვები გამოიყენება. ამ მეთოდებით განხორციელებული გამოკვლევები საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური შესაძლებლობა, ორგანიზმის შეგუების (ადაპტაციის) უნარი კუნთური მუშაობის მიმართ. დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ ვარჯიშს. ჯანმრთელმა ადამიანმა ყოველდღე ფეხით ათ კილომეტრამდე უნდა გაიაროს. თუ იგი სიარულისას წუთში 50-70 ნაბიჯს დგამს, ამგვარად წონაში ვერ დაიკლებს და ვერც გული გავარჯიშდება სათანადოდ. წონაში დაკლება მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი წუთში 120 და მეტი ნაბიჯით იწყებს სიარულს. ძუნძულით სირბილი ბევრად უფრო ეფექტურია. გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულმა პირებმა მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით უნდა ივარჯიშონ. საჭიროა გვახსოვდეს, რომ სიარულისა თუ სირბილისას მოქმედებაში მოდის ისეთი მექანიზმები (ძლიერდება სუნთქვა, ჩონჩხის კუნთების შეკუმშვა-გაფართოება), რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს გულის კუნთს მუშაობაში, რაც აუმჯობესებს ადამიანის ამ სისტემის ფუნქციონირების უნარს. სასურველია, ჩვენს ქვეყანაში მეტი ყურადღება დაეთმოს მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და შრომის უნარის ამაღლებას. გამაჯანსაღებელი სპორტი წარმოადგენს სწორედ იმ მასობრივ ღონისძიებას, რომელიც განაპირობებს ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო ძალების გააქტიურებას და მისი იმუნური სისტემის მდგრადობას, ეს კი ორგანიზმის გაჯანმრთელებას გულისხმობს.

**რომანოზ სვანიშვილი,**
**ფიზიკური რეაბილიტაციის და სპორტული მედიცინის დარგის პროფესორი.**



- მათ უნაოჭდებათ კანი, სცვივათ თმები, ძვრებათ კბილები და ათი წლის ასაკში საუკუნეს მიტანებულ მოხუცებს ჰგვანან
- იშვიათი ვინმე მოიძებნება, რომელმაც იცის ამ მოდური სასმელების „ბიოგრაფია“

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

**მედიცინა**



# ყველაზე საშინელი დაავადება – ჩვილთა ხანდაზმულობა

**ამ უცნაურ დაავადებას მედიკოსები „პროგერიას“ უწოდებენ. ბავშვები დაბადებიდან 6-12 თვემდე ნორმალურად იზრდებიან, შემდეგ კი იწყება მართლაც რომ საშინელება – მათ უვითარდებათ ხანდაზმული ადამიანების სიმპტომები. პროგერიით დაავადებული ბავშვები თავიანთ ნორმალურ თანატოლებთან შედარებით ათჯერ უფრო სწრაფად ბერდებიან. მათ უნაოჭდებათ კანი, სცვივათ თმები, ძვრებათ კბილები და ათი წლის ასაკში საუკუნეს მიტანებულ მოხუცებს ჰგვანან. ისინი მხოლოდ 5-დან 13 წლამდე ცოცხლობენ.**

ნაადრევად მოხუცებულობის სინდრომს პირველად საუკუნის წინათ დააკვირდნენ. გასაკვირი არცაა, ამგვარი დაავადება 8 მილიონი ახალშობილიდან მხოლოდ ერთს ემართება. პროგერია (ბერძნულად pro-ნაადრევი, goronte – მოხუცი) – ძალზე იშვიათი გენეტიკური დაავადებაა. ბავშვი ერთ წელიწადში 10-15 წლით ბერდება. ნაადრევ სიკვდილიანობას იწვევს მთელი რიგი დაავადებები, რომლებიც მათ ემართებათ – გლაუკომია, რამდენჯერმე გადატანილი ინფარქტი და ინსულტი ათეროსკლეროზის ფონზე, კატარაქტა, კბილთა სრული ცვენა და სხვა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც პროგერიით დაავადებულებს 20 წელიც უცოცხლიათ, მაგრამ ძალიან იშვიათად.

ამგვარი დაავადებით ახლა მსოფლიოში 42 ადამიანი ცხოვრობს... აქედან 14 შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, 5 – რუსეთში, დანარჩენი კი ევროპის კონტინენტზე. მათ ახასიათებთ ჯუჯა სიმაღლე – მაქსიმუმ ერთი მეტრი, მათი წონა კი 15-20 კილოგრამის ფარგლებში მერყეობს. ძალზე თხელი კანის ქვეშ საერთოდ არა აქვთ ცხიმის საფარი, რის გამოც სისხლძარღვები მოუჩანთ, უჭირთ გადაადგილება. შედარებით მოზრდილ თავის ქალაზე ძალიან წვრილი და წაგრძელებული ნიკაპი აქვთ, რის გამოც მათი სახე ფრინველისას წააგავს. ეს საცოდავი ბავშვები ძალზე წააგვანან ერთმანეთს.

ახლა რამდენიმე მათგანის შესახებ. 12 წლის სეტ კუკი 80 წლის მოხუცსა ჰგავს. იგი ერთ მეტრზე ოდნავ მაღალია, მაგრამ 11, 5 კილოგრამს იწონის. იგი ყოველდღიურად ღებულობს ასპირინსა და ათობით სხვა დასახელების წამალს, რადგან ხანდაზმული ადამიანისთვის დამახასიათებელი ყველა ავადმყოფობა აქვს. იური ბერნეტი ათი წლისაა. ხუთი წლისა იყო, რომ იშემური დაავადებაც შეეყარა. იგი საავადმყოფოს ხშირი სტუმარია. მკურნალობენ იგივე პრეპარატებით როგორც იშემიით დაავადებულ მოხუცებს. სამი წლის ასაკიდან იურის დედა სხვადასხვა ტელეპროგრამებში აღებინებდა მონაწილეობას, რათა თავისი გამოცდილება გაეზიარებინა პროგერიით დაავადებულთა ახლობლებისათვის.

რაც შეეხება რუსეთელ ალვიდას გუდელია უსკასს მას პროგერია 20 წლის ასაკში შეეყარა და სულ რამდენიმე თვეში მიხრწნილ მოხუცს დაემსგავსა. მხოლოდ პლასტიკური ოპერაციის საშუალებით დაემსგავსა საშუალო ასაკის მამაკაცს. ახლა იგი 32 წლისაა.

ბოლო ხანებამდე ექიმებმა ვერ დაადგინეს ამ საშინელი სენის გამომწვევი მიზეზები. სულ ახლახანს ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს რომ „ბავშვთა ხანდაზმულობას“ იწვევს ცალმხრივი მუტაცია. გენომის კვლევის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის ფრენსის კოლინზის თქმით, ეს დაავადება შთამომავლობითი არ არის. მუტაციას იწვევს დნმ-ს მხოლოდ ერთი ნუკლეოციდის ცვლილება. ხდება „სიბერის“ ფენომენის „გაღვიძება“ და პროგერიით დაავადებულთა გარდაცვალების მიზეზი ღრმა სიბერით გამოწვეული ფორმებია. ახლა დადგენილია, რომ დაავადებას იწვევს LMNA გენის მუტაციური ფორმა.



**სურათებზე: ასე გამოიყურებიან დაავადებული ბავშვები.**

**სასმელი**

# „კოკა-კოლა“, „პეპსი-კოლა“ და... საცობი!

**მე რომ მკითხოთ, „ლაღიძის“ სამშობლოში „კოკა-კოლაზე“, „პეპსი-კოლაზე“, „ფანტაზე“ თუ „სპრაიტზე“ რომ ვგიჟდებით ცოტა გასაკვირია, მაგრამ რას ვიზამთ, ვიღაც საქმის კაცმა ამ სფეროში მიაკვლია ფულის „საბადოს“ და „ლაღიძე“ მოკრძალებულად გამოიყურება.**

**ასეა თუ ისე, „კოკა-კოლა“ და „პეპსი-კოლა“ მტკიცედ შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში და უკან ვერავინ დააბრუნებს. ოღონდ იშვიათი ვინმე მოიძებნება, რომელმაც იცის ამ მოდური სასმელების „ბიოგრაფია“.**

ყველაფერი კი 1866 წელს, ამ ასორმოცი წლის წინათ დაიწყო:

ატლანტელმა ფარმაცევტმა ჯონ სმიტმა სიფხიზლის ორგანიზაციის მოთხოვნით დაიწყო გზის ძებნა, რათა მოეცილებინა ეგრეთწოდებული, „ფრანგული ღვინოს“ „კოკასაგან“ სპირტი. თანაც ისე, რომ არ დაეკარგა თავისი მატონიზებელი და მასტიმულირებელი თვისებები.

ბატონმა სმიტმა მრავალი ექსპერიმენტის შემდეგ შესძლო ეს! – სპირტი შეცვალა უებარი მატონიზებელი საშუალებით, რომლითაც ასე მდიდარია აფრიკული ტყის კაკალი კოლა! და სასმელს „კოკა-კოლა“ უწოდა. მაშინ „კოკა-კოლა“ ჯერ კიდევ არ იყო გაზიანი, მაგრამ, შემთხვევით, როდესაც ერთ ნაბახუსევ ჯენტლმენს „კოკა-კოლა“ უბრალო წყლით გაუზავეს, მან აღფრთოვანებულმა წამოიძახა: – აი, მესმის! – ამ სიტყვებმა „კოკა-კოლას“ გზა დაულოცა მსოფლიო ბაზრისაკენ. ასე, თითქოსდა უბრალოდ, დაიბადა „კოკა-კოლა! დღეს კომპანია „კოკა-კოლა“ მსოფლიოს უდიდეს კომპანიებს შორის მეხუთე ადგილზეა. მძიმე იყო მისი განვლილი გზები, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ წარმატებები და ჩავარდნები, ინტრიგები და „ბრძოლები“. და ამ გზაზე მისი უპირველესი კონკურენტი გახლდათ „პეპსი-კოლა“.

„კოკა-კოლას“ მსგავსად „პეპსი-კოლაც“ სამხრეთ შტატებში დაიბადა. გადამდგარმა ოფიცერმა ძელებ ბრებხემმა, „კოკა-კოლას“ ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით, 1894 წელს, ქალაქ ნიუ-იორკში გახსნა საკუთარი აფთიაქი, სადაც საკუთარი რეცეპტით დამზადებულ სითხეს სთავაზობდა მომხმარებელს, როგორც კუჭის წყლულის საწინააღმდეგო საშუალებას. 1902 წელს სითხეს საბოლოოდ „პეპსი-კოლა“ ეწოდა. სულ მალე ძელებ ბრებხემი ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა...







დაიწყო „ასწლიანი ომი“, – „კოკა-კოლა“, „პეპსი-კოლა“! სასტიკი დაუნდობელი ომი, რომელიც დღესაც გრძელდება! ომი, სადაც ყველანაირ ხერხებსა და მეთოდებს იყენებდნენ. მათ შორის, რა თქმა უნდა, რეკლამას!

რეკლამა სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა „საცობების თამაშმა“. მან უკვე აპრობაცია გაიარა მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. ამასობაში „საცობების“ თამაშმა, საქართველოშიც შემოაღწია. საქართველოში არ ვიცი, მაგრამ რუსეთში რეკლამამ თითქმის სამჯერ გაზარდა „კოკა-კოლას“ და „პეპსი-კოლას“ გასაღება. ბიზნესი, ბიზნესია! „მომავალი მილიონერები“ მოგების იმედით ყიდულობენ და ყიდულობენ „საცობებს“, ყიდულობენ და მიირთმევენ ახალგაზრდები და ხანში შესულები, ქალები და მოზარდები... სვამენ ბევრს და უზომოდ, იქნებ, რომელიმე საცობში იპოვონ მოგება.

ერთი „კოკა-კოლას“ გამყიდველი ქალი ამბობდა – „სასწაული ვნახე, სამმა ბავშვმა ერთი ყუთი „კოკა-კოლა“ აქვე დალიაო!..

...ექსპერტები კი გვაფრთხილებენ:

ყველანაირი სასმელი, რომელსაც საფუძვლად უდევს კაკალი კოლა და ყავა, ამაღლებს გუნება-განწყობილებას, განსაკუთრებით ზემოქმედებას ახდენს ნერვულ სისტემაზე. ეს მცირე დოზით, გადამეტებული კი, არასასურველად მოქმედებს ორგანიზმზე. ამიტომაა, რომ დაკვირვებული მშობლები არ ასმევენ ბავშვებს ყავას. კოლას სასმელების მირთმევას კი, რატომღაც არ უზღუდავენ, ეს მაშინ, როდესაც ისინი საკმაოდ მდიდარია კოფეინით. ამასთან „კოკა-კოლას“ თუ „პეპსი-კოლას“ ხომ მცირე ზომის ფინჯნით არ მიირთმევენ? ერთი ფინჯანი ყავა შეიცავს 80-120 მილიგრამ კოფეინს, ჩაი – 30 მგ-ს; „კოკა-კოლა“ და „პეპსი-კოლა“ – 25-50 მილიგრამს. გამოდის, რომ დიდი რაოდენობით მათი მიღებისას ისინი მეტ კოფეინად შედიან ორგანიზმში, რაც არა მარტო ბავშვებისთვის არის მავნებელი. ზედმეტი კოლა, შაქარი და წყალი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ჰიპერტონიით, სისხლ-ძარღვთა, გულით ავადმყოფთა და შაქრიანი დიაბეტიანებისთვის. ხოლო, ვისაც ჯერ კიდევ არ აწუხებს ეს დაავადებები, მას სრული შანსი აქვს შეიძინოს იგი!

ასე რომ, დალიეთ „კოკა-კოლა“ თუ „პეპსი-კოლა“, მაგრამ ზომიერად! ნუ გამოეკიდებით საცობებს!!

**ზაურ ფიფია**

**ყველაფერი ყველაფერზე**

## ვანილის ნაყინი „ვიაგრას“ ცვლის

**„ვანილის ჩვეულებრივი ნაყინი, რომელიც ტროპიკული ორქიდეის წვენს შეიცავს, ცვლის იმპოტენციის საწინააღმდეგო პრეპარატს, „ვიაგრას“! – ასკვნიან გერმანელი მკვლევარები, რომლებმაც ერთმანეთს შეადარეს პოპულარული საშუალება და ჩვეულებრივი ვანილი.**



ჯერ კიდევ ძველი აცტეკები ვანილს შოკოლადის ფქვილში ურევდნენ, რათა გაეხანგრძლივებინათ სასიყვარულო ვნებანი. ვანილი ამაგრებს გულსა და ნერვებს, შველის მუცლის შებერვას. ახლა კი აღმოჩნდა, რომ უებარი საშუალება ყოფილა იმპოტენციის წინააღმდეგაც. ვანილის ნაყენის მირთმევა სასარგებლო და სასიამოვნოა, როგორც სიცხეში, ასევე ფიზიკური სიახლოვის დროსაც. ის არაფრით ჩამოუვარდება „ვიაგრას“ და რაც მთავარია, გაცილებით იაფი ღირს.

## რატომ არის ვერცხლი „შემნახველი“?



**ვერცხლის ეს თვისება ადამიანებმა ადრევე შეამჩნიეს: რამდენხანაც უნდა იდგეს წყალი ვერცხლის ჭურჭელში, ის ყოველთვის ახალი იქნება, სუნიც და გემოც არ შეეცვლება.** რა ზემოქმედებას ახდენს მასზე ვერცხლი? მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ვერცხლის (და სხვა კეთილშობილი ლითონებისაცძ იონთა ზემოქმედების შედეგად იცვლება მიკრობთა უჯრედების ელექტროფიზიკური თვისებები. ლითონი გავლენას ახდენს ენერგეტიკულ პროცესებში მონაწილე აქტიურ ცენტრებზე. ეს არღვევს უჯრედთა ენერგეტიკულ მექანიზმს. სწორედ ეს პროცესი შეიძლება გამოვიყენოთ წყლის წმენდის მეთოდის სრულყოფისათვის. ასე რომ, შეინახეთ წყალი ვერცხლის ჭურჭელში, ან ჩააგდეთ ვერცხლის „ნატეხი“ სასმელი წყლის ჭურჭელში.

## მუსიკა სისხლძარღვთა წნევას აწესრიგებს



**თანამედროვე ყოფაში მუსიკა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ საშუალებად იქცა. ცნობილმა ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტებით დაადგინეს, რომ ჩქარი ტემპის მუსიკის მოსმენის დროს ადამიანი სწრაფად ჭამს. მათ დაასკვნეს, რომ XX საუკუნის კომპოზიტორის ფრედერიკ დებიუსის მუსიკის ჩართვისთანავე მეტროსა და რკინიგზის სადგურებს ტოვებენ ბოროტმოქმედები.** სოციოლოგების აზრით, ეს მუსიკა კი არ აშინებს, არამედ აღაფრთოვანებს ხულიგნებს. ექსპერიმენტებმა ცხადყვეს, რომ ყველაზე აგრესიული ყმაწვილებიც კი მშვიდდებიან მოცარტის მუსიკის მოსმენისას. ეტყობა, მოცარტის ბგერათა ჰარმონია სისხლძარღვთა წნევას აწესრიგებს, ამშვიდებს.. აშშ-ში ჯორჯიის შტატის გუბერნატორმა წესად შემოიღო ახლად ნამშობიარები დედებისთვის მოცარტის მუსიკის ჩანაწერების ჩუქება. სპეციალისტების აზრით, მოცარტის მუსიკა არამარტო ამშვიდებს, არამედ ბავშვებს ინტელექტუალურ, მათემატიკურ და, განსაკუთრებით, საინჟინრო მონაცემებს უნვითარებს.

# სხვადასხვა

„დაადგინეს: ბატონი კონსტანტინე გამსახურდია დატოვებულ იქმნეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად, დასავლეთი ევროპის ისტორიის კათედრასთან ა.წ. 1 აპრილიდან 1922 წლის 1 ივნისამდე სტიპენდიით“.



## თქვენ ეს იცოდით?

# კონსტანტინე გამსახურდიას თურმე უნივერსიტეტში საპროფესოროდ ამზადებდნენ



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომების ოქმებში ბევრი საინტერესო მასალაა თავმოყრილი. მათ შორის არის ოქმი 1921 წლის 15 აპრილის სხდომისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მდივნობდა დიმიტრი უზნაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ანდრია რაზმაძე, დიმიტრი უზნაძე, ივანე ბერიტაშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი.

სხდომაზე აღიძრა შუამდგომლობა, რათა ბატონი კონსტანტინე გამსახურდია საპროფესოროდ მოსამზადებლად დაეტოვებინათ დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრაზე, სტიპენდიით ერთი წლის ვადით. „დაადგინეს: ბატონი კონსტანტინე გამსახურდია დატოვებულ იქმნეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად, დასავლეთი ევროპის ისტორიის კათედრასთან ა.წ. 1 აპრილიდან 1922 წლის 1 ივნისამდე სტიპენდიით“.

თუ როგორ წარიმართა ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობა, არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ 1922-1926 წლების პროფესორთა საბჭოს სხდომების ოქმებში არაფერია ნათქვამი, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია დიდი მწერლის ცხოვრებიდან და იგი გამოადგება მისი ბიოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

**დურმიშხან ცინცაძე**

## სასამართლო

# ცხრა წელიწადი ითარეშა



**ახლახანს უზენაესმა სასამართლომ 32 წლის ნოდარ დუდაევის საქმე განიხილა და თავისუფლება 15 წლით აღუკვეთა. მას ბრალი ცხრა წლის განმავლობაში ჩადენილ 13 სხვადასხვა დანაშაულში დაედო, საიდანაც ორი მკვლელობით დასრულდა.**

როგორც გამოძიებით ირკვევა, დუდაევს ძირითადად შეხლა-შემოხლა პოლიციის თანამშრომლებთან ჰქონია, რაც ბოლოს მათთვის იარაღის წართმევით და დაყაჩაღებით მთავრდებოდა ხოლმე. მის დაკავებას კი სამართალდამცველები რატომღაც ვერ ახერხებდნენ...

1995 წლის 6 მაისს გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში გიორგობის დღესასწაულს ზეიმობდნენ. ამ დღეს მამუკა ფაკაურს და ზურაბ გიუნაშვილს, ფაკაურის ნათესავებმა იური და ზურაბ ხუბულოვებმა გამოუარეს და ზემო არცევში საქეიფოდ დაპატიჟეს, ოთხეულმა მანქანა ნაძვნარში გააჩერა და სუფრა გაშალა. ცოტა ხნის შემდეგ მათთან მიდის იგივე სოფელში მცხოვრები, ნასვამი ნოდარ დუდაევი და მისვლისთანავე მამუკა ფაკაურს ეუბნება: „ვინ იცის, რამდენი ოსი გეყოლება მოკლული“. თან მოულოდნელად სახეში ხელს ურტყამს. ფაკაურმა ეს ბრალდება უარყო, თუმცა ის და გიუნაშვილი დუდაევმა და ხუბულოვებმა მანქანაში ძალით ჩასვეს და ტყისკენ წაიყვანეს. მისვლისთანავე ჯერ ფაკაური გადმოიყვანეს მანქანიდან, დანის და რკინის ჯოხის გამოყენებით მრავლობითი ჭრილობა მიაყენეს. მან გონება დაკარგა. იფიქრეს, მოკვდაო. ახლა გიუნაშვილის ჯერი დადგა. იგი ისე სცემეს, რომ ადგილზე გარდაიცვალა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ფაკაური გონზე მოვიდა და გზამდე ჩამოვიდა. ექიმებმა იგი სიკვდილს გადაარჩინეს.

1997 წლის 2 თებერვალს დუდაევი სოფელ არცევში მეზობლებთან ერთად ქუჩაში იმყოფებოდა. ამ დროს მანქანით გამოირა ფლავისმანში მცხოვრებმა ბესარიონ თენაძემ, რომელთანაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. მან შურისძიების ნიადაგზე იარაღის გამოყენებით გააჩერებინა მანქანა და გადმოსულს ავტომატიდან რამდენჯერმე ესროლა. შემდეგ გარდაცვლილის ავტომატიც აიღო და მიიმალა.

იმავე წლის 21 დეკემბერს დუდაევი გამოძიებით დაუდგენელ ოთხ პირთან ერთად სოფელ მეჯვრისხევის ცენტრში, სადაც უამრავი ადამიანი იმყოფებოდა, ავტომატით შეიარაღებული წინ დაუდგა მანქანით მიმავალ როსტომ მახათაძეს, კონდახით ჩაუმტვრია წინა საქარე მინა და ფიზიკურად გაუსწორდა. იქვე მდგომებს კი სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და გაუჩინარდა...

ერთი კვირის შემდეგ დუდაევი თავის სოფელში, ავტომატით შეიარაღებული აჩერებს მანქანას, რომელშიც გოჩა ელიაური და არკადი ბიბილური ისხდნენ. ჯდება მათთან ერთად და მუქარით სერგო ციციაშვილის სახლის ეზოში მიჰყავს, სადაც მათ შეშის ნაჭრით სცემს, ამ დროს შეკრებილი ხალხის დახმარებით ნაცემებმა შემთხვევის ადგილს თავი დააღწიეს, მანქანა კი დუდაევმა მათ, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაუბრუნა.

1997 წლის 6 მაისს შსს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს განყოფილების ინსპექტორები გიორგი კოდაშვილი, ალექსანდრე უთურაშვილი, გიორგი არსენაშვილი და ნოდარ მინიკაშვილი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე სოფელ მეჯვრისხევში იმყოფებოდნენ. შემდეგ არსენაშვილი და უთურაშვილი სოფელ არცევის შესასვლელისკენ წავიდნენ. გზაზე გორის შს სამმართველოს საპატრულოს თანამშრომელი გელა დუდაური შეხვდათ და საუბარი დაუწყეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ავტომანქანა გაჩერდა, საიდანაც მთვრალი, ავტომატით შეიარაღებული დუდაევი გადმოვიდა. მან ოსურ ენაზე დუდაურს საუბარი დაუწყო, შემდეგ კი არსენაშვილს და უთურაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და იარაღის გადაცემა მოსთხოვა. მის შეჩერებას დუდაური შეეცადა, თუმცა მას კონდახი სახეში ჩაარტყა და მოიშორა. ამ დროს ნოდარ დუდაევის მანქანაში მყოფი სამი პიროვნებაც გადმოვიდა და პოლიციელებს მიწაზე დაჯდომა უბრძანა, შემდეგ იარაღიც წაართვეს და არსენაშვილი მძიმედ დაჭრეს, თუმცა დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად იგი სიკვდილს გადაურჩა.

იმავე წლის 27 მაისს სოფელ ტყვიავში მცხოვრები მამუკა გიგუაშვილი სოფელ არცევში მიდიოდა. მანქანას მეორე ფურგონიანი მანქანა წამოეწია და გადასწრებისას მარცხენა ფრთა დაუზიანა. იმ მანქანაში ნოდარ დუდაევი, დავით ციციაშვილი და მერაბ დვალიშვილი აღმოჩნდნენ, რომლებმაც გიგუაშვილს ცემა დაუწყეს და იარაღის მუქარით არხის პირას წაიყვანეს. ძირს გადმოსვეს და ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს. შემდეგ კი უცხო ოჯახში მიჰყავთ, ჭრილობას უმუშავებენ და კვლავ არხის პირას აბრუნებენ, სადაც ხალხის ჩარევით გიგუაშვილს ათავისუფლებენ.

იმავე დღეს, საღამოს პოლიციელები მიხეილ იჩქითი და იაკობ ბეჟაშვილი სოფელ ახალუბანში საკუთარ მანქანას აკეთებდნენ. ამ დროს დუდაევი, დვალიშვილი და ციციაშვილი ავტომატებით შეიარაღებულნი მივიდნენ. მათ იარაღის ტარების ნებართვა მოსთხოვეს, ამით განაწყენებულებმა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და გაიქცნენ.

1998 წლის 26 ივნისს გორის რაიონის პოლიციის თანამშრომლები დავით იაკობიძე, თამაზ ჩიხლაძე და დავით შევარდნაძე სოფელ ქვეშში სამსახურებრივი მოვალეობის მიზნით იმყოფებოდნენ. მათ მანქანის საბურავი დაეშვათ და ძირს გადმოვიდნენ. ამ დროს დუდაევმა, მალხაზ ციციაშვილმა და გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა სროლა ატეხეს, შემდეგ გასტაცეს „მაკაროვის“ სისტემის ტაბელური იარაღები და შევარდნაძის ავტომანქანის საბარგულში იაკობიძე, ძალის გამოყენებით ჩააგდეს, ჩიხლაძე კი – უკანა სალონში. ისინი სოფელ არცევის ტერიტორიაზე ფერმის ნანგრევთან წაიყვანეს, სადაც ანთებული სიგარეტებით აწამებდნენ. დაუზიანეს და გაუძარცვეს მანქანა, პოლიციელებს ფული წაართვეს და ამის შემდეგ გაათავისუფლეს.

1998 წლის 28 აგვისტოს პოლიციის თანამშრომელი დათო დოთიაშვილი და ლევან თაყაძე სამსახურის მანქანით სოფელ მეჯვრისხევში იმყოფებოდნენ. ისინი ბენზინის ჩასასხმელად გაჩერდნენ. ამ დროს მათთან ნოდარ დუდაევი მიდის და თაყაძეს პისტოლეტს სთხოვს. იმის შემდეგ, რაც იგებს, რომ თაყაძე პოლიციის თანამშრომელი არ არის და, შესაბამისად, არც იარაღი აქვს, ავტომატიდან გასროლით ჩაამსხვრია ციმციმა და დახვრიტა საბურავები. ხმაურზე მათთან პოლიციელი ნუგზარ ვარდანაშვილი მიდის და წესრიგისაკენ მოუწოდებს. დუდაევი მასაც თაყაძესთან ერთად მუხლებზე აყენებს და შემთხვევის ადგილიდან მიდის.

1998 წლის 23 სექტემბერს დუდაევი გამოძიებით დაუდგენელ პიროვნებებთან ერთად მეჯვრისხევში ცენტრალურ გზაზე არსენ ოქრუაშვილს საკუთარ მანქანას ართმევს. დაზარალებული ამის შესახებ პოლიციას ატყობინებს, რის შემდეგაც თანამშრომლები დავით ქიტუაშვილი და ჯამბულ მასურაშვილი მასთან ერთად თავდამსხმელების მოსაძებნად მიდიან. ჯარიაშენი-აძვისთავში გატაცებული მანქანით დუდაევი მიადგათ და იარაღიდან სროლა დაუწყოთ. საპასუხო გასროლის შემდეგ, ის იძულებული ხდება, „ნადავლი“ მიატოვოს და მიიმალოს.

იმავე წლის 10 ოქტომბერს კი რუსეთის სამშვიდობო ჯარების ეფრეიტორი სერგეი დენგინი ჯარისკაცებთან ერთად სოფელ არცევში იმყოფებოდა. ჯარისკაცებსა და დუდაევს შორის შეკამათება მოხდა. კონფლიქტის მოსაგვარებლად ჩარეული დენგინი დუდაევმა მძიმედ დაჭრა.

2002 წლის 9 ივნისს დუდაევმა უცნობ პირებთან ერთად სოფელ ქვეშში მცხოვრები, არასრულწლოვანი ნინო ნუკრაძე მოიტაცა, რომელიც ახალციხის რაიონის სოფელ ზაყარაში წაიყვანეს. გოგონამ ღამით გაპარვა მოახერხა და პოლიციას შეატყობინა.

2004 წლის 16 მარტს საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა დუდაევი გამთენიისას დააკავეს. დაკავებისას მან პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც იგი დაიჭრა.

პროცესზე დუდაევის ადვოკატმა განსასჯელის მიმართ მსჯავრდებულის ყველა ეპიზოდში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა, რასაც დუდაევიც დაეთანხმა და თავი ყველა ბრალდებაში უდანაშაულოდ გამოაცხადა. თუმცა სასამართლომ მათი შუამდგომლობა არ გაითვალისწინა და 9 წლის მანძილზე მოთარეშე მკვლელი, ჩვენი აზრით, მაინც მსუბუქად დასაჯა.

**ლელა მანაველიშვილი**

## გახსენება

# მაგული ალასანია



ორმოცი დღე გავიდა, რაც შენი საფიცარი ოჯახის კარი სამუდამოდ გამოიხურე... დატოვე ის თბილი კერა, სადაც შენი ქმარ-შვილისა და შვილიშვილების ულამაზესი ოჯახია და ოქროყანისკენ იმ სასაფლაოზე დაიდე სამუდამო ბინა, შენმა დანატოვარმა რომ ხშირ-ხშირად დაგხედონ...

ჩემო მაგული, შენ ხომ შვილების თავდავიწყებით სიყვარულშიც გამორჩეული აღმოჩნდი. ქართველი დედის ფენომენი ხომ სრულიად უნიკალურია მთელ მსოფლიოში... შენს გულშიც შვილების სიყვარული საოცარი ტრაგიზმითა და სიმძაფრით დატრიალდა. სწორედ ამიტომაც განსაკუთრებით აუტანელია უშენობა, როგორც მეუღლისთვის ბატონ ტრისტან ალასანიასათვის, ისე ოჯახის ყველა წევრისათვის, რადგან ჭეშმარიტად ქართული, ლამაზი ოჯახის დედაბოძი წაიქცა...

არადა, ეს ღრმად ქრისტიანული ტრადიცია ერთგული მეუღლისა და დედობისა, რა ინტელიგენტური სათნოებითა და ლაზათიანად ატარე ამ წუთისოფელში. მადლობელი ვართ ყველაფრისათვის, მადლობელი ვართ იმისათვისაც, რომ რძლადშემოსულ ჩემს ქალიშვილს მაიასაც დედობრივი სითბო და სიყვარული არ დააკელი.

უსაზღვროდ გვაკლიხარ და ვერასოდეს ვერაფრით ვერ შეივსება უშენობა.

ჩემო მაგული, მჯერა, ნათელში ხარ შენი მადლითა და სიკეთით. შენი ხსოვნაც მარადიულია, რადგან ღირსეული შვილები აღუზარდე ქვეყანას, რომლებიც საფიცარ დედას არასოდეს დაივიწყებენ. შენი უმწიკვლო ცხოვრება მაგალითად ექნებათ შვილიშვილებს.

**მძახალი ციცინო ხარხელაური ოჯახით**

მეუღლე ლირა, შვილები ეკატერინე, მაკა, შვილიშვილები ბერდია, სალომე კუნელაურები, მეგი, გიორგი მაჩაიძეები, სიძე კახა კუნელაური, ძმა მურადი, ბიძაშვილები დიმიტრი, გიორგი, ალექსანდრე, რძლები ირინა ჟორდანია, ალექსანდრა ბასილაია, სიდედრი ეთერ ლატარია, ცოლისძმა მურთაზ ჭანტურია იუწყებიან

ლონგინოზ (გიზო) დიმიტრის ძე თოფურიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 XI, 17 სთ. გამოსვენება 16 XI, 14 სთ. მისამართი: ზაზა ფანასკერტელის (ბახტრიონის) 1, I კორ. მე-9 სადარბაზო.

## ინფორმაცია

# ძებნილი ემზარ ცინცაძე დააკავეს



**ფინანსური პოლიციის მიერ დაკავებულია ძებნილი, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „ავტოფარეხის“ დირექტორი ემზარ ცინცაძე.**

როგორც ჯი-ეიჩ-ენს ფინანსურ პოლიციიდან აცნობეს, მან დსთ-ის ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით ჩამოსული 18 ქვეყნის დელეგაციის ავტოტრანსპორტით მომსახურების ხარჯები განზრახ „გაბერა“, რეალური თანხა მძღოლებს გადაუხადა, დანარჩენი კი თავად მიითვისა.

ასევე დაკავებული არიან ძებნილები, შპს „დინექს-2002“-ის დირექტორის მოადგილეები გია პირველაშვილი და გიორგი გურული. ისინი შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ახდენდნენ ზესტაფონში სილიკო-მანგანუმის ნარჩენების მოპოვებასა და რეალიზაციას.

დაკავებულ ძებნილთა შემდგომ ბედს სასამართლო განსაზღვრავს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

შპს „საქნავთობობიექტსერვისი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე:
თბილისი, ტაშკენტის შესახვევი №7.
ტელ:. 377-955. მობ (899)456-333.
მობ (877)90-88-00.

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.

№ 223. სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2006 წელი.



- ამ დღიდან 100 000 მფარველი შეემატა საქართველოს
- გზები თუ ხიდები, ჩვენს მთასა და ბარში, კვლავაც ასაშენებელ-დასამშვენებელია



## სულიერება

# წმიდანი ათნი ბევრნი (100 000) მოწამენი, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულნი



**გუშინ, 13 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ 100 000 მოწამეთა ხსენება აღნიშნა. ქრისტიანულ საქართველოს კეთილმსახური მეფის, წმიდა თამარის გარდაცვალების შემდეგ ძნელბედობის ჟამი დაუდგა.**

...ჩინგის ყაენისაგან ძლეულ ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი დედაწულიანურთ აიყარა და საქართველოსკენ დაიძრა. ამ დროს საქართველოს თამარ მეფის ასული – რუსუდანი განაგებდა... დამარცხდა ქართველთა ლაშქარი. გავიდა ხანი... ჯალალედინმა შეკრიბა ჯარი და კვლავ თბილისისკენ დაიძრა.

ბრძოლის პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა“, დიდად დაჯაბნეს ხვარაზმის სულთანი, მაგრამ ღამით თბილისელმა სპარსელებმა უღალატეს ქართველებს, ქალაქის კარი გააღეს და მტერი თბილისში შემოუშვეს. ჟამთააღმწერელი ამის შესახებ წერს: – „ჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან და რომელსამე თუალნი წარსცვივდიან და რომელსამე ტვინი დაეთხიის...“ ეს იყო უსაშინლესი სისხლიანი დღე ქართლის ცხოვრებისა.

თბილისის ქუჩები და მტკვარი გვამებით ავსებულა. სისხლის მდინარეს წაულეკავს ქალაქი. ზორცვებად ეყარნენ დახოცილები.

სულთანმა სიონის ტაძრის გუმბათი მოარღვევინა და ბრძანა ზედ თავისი „ბილწი“ ტახტის დადგმა. მისივე ბრძანებით სიონის ტაძრიდან გამოასვენეს მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები, მტკვარზე გადებულ ხიდზე დაასვენეს და თბილისელებს უბრძანეს „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკუეთა თავთა“ ელოდა.

ასი ათასი ქართველი შეეწირა ამ დღეს წმიდა ხატების თაყვანისცემასა და სარწმუნოების დაცვას. ამ დღიდან 100 000 მფარველი შეემატა საქართველოს, რომელთა ხსენება ყოველთვის „ქებით აღესრულების“ მათ სამშობლოში.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## ლარის კურსი

**14 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3131 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7325 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2268 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0651 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9848 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4581 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4512 ლარი. |

## პერიოდიკა

# ახალ გზებს „შარაგზა“ სჭირდება

ამ ხელისუფლების ოპონენტებიც კი აღიარებენ, რომ საქართველოში, მართლაც არნახული ტემპით შენდება საავტომობილო გზები, ვითარდება ინფრასტრუქტურა, მაგრამ გზები თუ ხიდები, ჩვენს მთასა და ბარში, კვლავაც ასაშენებელ-დასამშვენებელია. ამ დროს კი, სწორედაც რომ საჭირო და აუცილებელი გახდა სპეციალური გაზეთის გამოცემა, რომელიც რეგულარულად მოუთხრობს მკითხველებს ჩვენი ქვეყნის გზების აღმშენებლობაზე, მშენებელ, გამრჯე ადამიანებზე, გააცოცხლებს „აბრეშუმის გზის“ ისტორიას, საქართველოს გზების როლს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობისათვის, ისაუბრებს ნაკლოვანებებზე...

ვის უნდა ეთავა ეს საქმე, ანუ გაზეთის გამოცემა?.. რა თქმა უნდა, ბატონ **თამაზ შილაკაძეს** – ღვაწლმოსილ, დამაშვრალ პიროვნებას, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერსა და გამომგონებელს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პროფესორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს... უბრალოდ, ორი სიტყვით – გულმხურვალე თბილისელს!

ჰოდა, დატრიალდა ბატონი თამაზი, დღე-ღამე გაასწორა და საქართველოს მგზავრთა საზოგადოების (რომელსაც იგი ხელმძღვანელობს) დაფუძნებით გამოსცა გაზეთი **„შარაგზა“** (იგია მთავარი რედაქტორიც).

ეს თორმეტგვერდიანი ფერადი გამოცემა სავსეა საინტერესო მასალებით, თუმცა, როგორც ბატონი თამაზი ამბობს, ეს მხოლოდ დასაწყისია და რედაქცია ეცდება უკეთესი და უკეთესი ნომრები გამოუშვას!

მაშ, ღმერთმა ჰქნას, რომ „შარაგზა“ არა მარტო მგზავრთათვის იქცეს საინტერესო გამოცემად.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ანეკდოტები

მასწავლებელი გაკვეთილზე ბავშვებს ცხოველთა შესახებ ესაუბრება. გაკვეთილის ბოლოს კი გადაწყვეტს შეამოწმოს, რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა მასალა და კითხულობს:

– ნიკა, რისთვის არის საჭირო ცხვარი?

– მატყლის მისაღებად.

– სწორია, ვარდო, რისთვის გვჭირდება ქათამი?

– რათა კვერცხი დადოს.

– ყოჩაღ. რისთვის არის, მიხო, საჭირო ძროხა?

– რათა გაკვეთილი აგვიხსნას და დავალება მოგვცეს!

* * *

რობინზონ კრუზომ ოქროს თევზი დაიჭირა. ახლა მისთვის კვირაში ხუთი პარასკევაა.

* * *

სანამ პოლიციაში მუშაობას დავიწყებდი, წყნარად მეძინა, ვიცოდი, რომ მიცავდნენ



მუშაობისას ცუდად მეძინა, ვიცავდი.

ახლა, მას შემდეგ, რაც პენსიაზე გამიშვეს, საერთოდ არ მძინავს... ვიცი, ვინც მიცავს.

* * *

გორილამ ზოოპარკში ბანანები დამალა. მეორე დღეს ბანანები არ დახვდა. გაბრაზებულმა განცხადება გამოაკრა:

„ვინ მომპარა ბანანები? მივაგნებ და ყურებსა და თათებს დავაგლეჯ“. გორილა.

მეორე დღეს ნახა, რომ მისი განცხადების გვერდით მეორე განცხადებაცაა გამოკრული:

„დავნაძლევდეთ, რომ ვერ დააგლეჯ“. პითონი.

* * *

– ოი, გოგოებო, რომ იცოდეთ, რა დაკომპლექსებული ვარ ჩემი გარეგნობის გამო!

– მერე რატომ? მე მომბაძე! მე მაგალითად, სულაც არა ვარ დაკომპლექსებული შენი გარეგნობის გამო.

# მილოცვა

ქართული ფილოსოფიური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, ცნობილ მკვლევარსა და კეთილშობილ პიროვნებას, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ მიხეილ მახარაძეს ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით,
ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
**ირაკლი კალანდია**

## გვემრავლოს!

# ემატოს საქართველოს!



**სამშობიარო სახლ „ბიბიდას“ მორიგე ექთანმა დარეჯან თაბუკაშვილმა გვაცნობა:**

– ოქტომბრის თვის განმავლობაში ჩვენთან 81 ბავშვი დაიბადა, ყველა ჯანმრთელი გაეწერა, ხოლო ნოემბრის 7 დღეში 7 ბავშვი გაჩნდა. მათ შორის არიან რაიონებიდან ჩამოსულებიც. ამ სამშობიარო სახლმა ოქტომბრის ერთ თვესა და ნოემბრის ერთ კვირაში საქართველოს 88 მოქალაქე შემატა.

ვულოცავთ!

**ნათელა ფაილოძე**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## კადრი




# განცხადება

სამედიცინო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი და გაერთიანებული ქართული ბანკი პირველად საქართველოში გთავაზობთ ერთობლივ პროექტს – პაციენტს ყველა სახის სადიაგნოსტიკო და სტაციონარული მომსახურება (ნეიროქირურგიული, ზოგადქირურგიული და გინეკოლოგიური ოპერაციები) გაეწევა ბანკის მიერ გაცემული უპროცენტო კრედიტის საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს (პაციენტებს) აღნიშნულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ ინსტიტუტის ადმინისტრაციას.

მისამართი: თევდორე მღვდლის ქ. 13.
ტელ: 94-02-89; 899 54-60-32.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.